

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

645-93  
1981

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

2. 1981



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА

17.050

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



2. 1981

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი  
ТБИЛИСИ

ქ. შარტის სპ. სპ. სსრ  
სახელმწიფო რესტავ.  
პ ი ბ ლ ი თ ე ბ ა

**სარედაქციო კოლეგია:** ა. გუნია (რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ვ. მელქაძე, ი. მიქელაძე, ი. ფუტკარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ზოშტარია (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гуния А. Л. (редактор), Гугушвили П. В., Долидзе И. С., Лилуашвили Т. С., Мелкадзе В. И., Микеладзе И. С., Путкарадзе Я. В., Тодуа Г. С., Хоштария Т. С. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1981

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-95-46 ტელეფონ

---

გადაეცა წარმოებას 24.III.81; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.VIII.81; შუცვ. 1131; ანაწყობის  
ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10,2;  
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 8,5; უე 14147; ტირაჟი 900;

ფასი 70 კაპ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мециниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

■

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

**ეკონომიკა**

ა. თეთრაული, საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ტემპები და სტრუქტურა	5
ბ. წარმოელი, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ეკონომიკური საკითხები	21
გ. კაპილიმა, ხ. ჰურაკვიძე, ა. ართმელაძე, რეგიონული ეკონომიკური სისტემების განვითარებისა და ფუნქციონირების მეთოდოლოგიური საკითხები	34
დ. დათუნაშვილი, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები აჭარის კოლმეურნეობებში	40
თ. ქავთარაძე, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის ზოგიერთი საკითხი ოჩამჩირის რაიონში	49
თ. შურაძე, ბრუნვის ვადასახადის არსის საკითხისათვის	57
თ. კანდელაკი, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხისათვის	69
პ. სიგოშვილი, სამეურნეო ანგარიშშიანობის შესაძლებლობათა გამოთანაბრება	78

**სამართალი**

ი. გოქიაშვილი, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის რეგიონული პრობლემები (აფხაზეთის ასსრ მაგალითზე)	87
ი. ტყეშელაშვილი, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება	95

**რეცენზია, ინფორმაცია, ჟრონიკა**

გ. გველსინანი, ე. შიჭვაბიშვილი, მონოგრაფია პოლიტიკური ეკონომიის აქტუალურ მეთოდოლოგიურ საკითხებზე	105
--	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИКА

А. И. ТЕТРАУЛИ, Темпы и структура развития промышленности Грузинской ССР . . . . .	5
Г. Ш. ЦЕРЕТЕЛИ, Экономические вопросы охраны и рационального использования природных ресурсов . . . . .	21
М. В. КЕКЕЛИДЗЕ, Ш. С. ЧУРКВЕИДЗЕ, А. Р. АРТМЕЛАДЗЕ, Методологические вопросы моделирования развития и функционирования региональной экономической системы . . . . .	34
Л. Е. ДАТУНАШВИЛИ, Пути повышения экономической эффективности в колхозах Аджарии . . . . .	40
Т. П. КAVTAPADZE, Некоторые вопросы перевода сельского хозяйства Очамчирского района на индустриальную основу . . . . .	49
Т. Г. КУРДАДЗЕ, К вопросу о сущности налога с оборота . . . . .	57
Т. Г. КАНДЕЛАКИ, К вопросу о сельскохозяйственной интенсификации . . . . .	69
Г. Г. СИБОШВИЛИ, Выравнивание хозрасчетных возможностей . . . . .	78

### ПРАВО

И. В. ГОДЗИАШВИЛИ, Региональные проблемы преступности несовершеннолетних (на примере Абхазской АССР) . . . . .	87
Ю. И. ТКЕШЕЛАШВИЛИ, Криминологическая характеристика личности несовершеннолетних правонарушителей . . . . .	95

### РЕЦЕНЗИЯ, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

М. И. ГВЕЛЕСИАНИ, Э. Г. МЕКВАБИШВИЛИ, Монография об актуальных методологических проблемах политической экономики . . . . .	105
--	-----

### არჩილ თეთრაული

#### საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ტენდენციები და სტრუქტურა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მიმდინარეობდა სოციალისტური მრეწველობის განვითარების და კაპიტალისტური მრეწველობის შეზღუდვისა და ლიკვიდაციის პროცესი. ამ პერიოდში, უწინარეს ყოვლისა, განხორციელდა სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაცია. უკვე 1924 წელს სოციალისტური მრეწველობის წილად მოდიოდა მთლიანი პროდუქციის 87,6%. მათ შორის: სახელმწიფოებრივი მრეწველობის წილად — 80,4%, კოაპერაციული მრეწველობის — 7,2%, ხოლო კაპიტალისტური და წვრილი კერძო მრეწველობის — 12,4%. 1928 წელს სოციალისტური მრეწველობის წილად მოდიოდა მთლიანი პროდუქციის წარმოების 95,9%. მათ შორის, სახელმწიფოებრივი მრეწველობის წილად 86,6%, კოაპერაციული მრეწველობის — 9,3%, ხოლო კაპიტალისტური და წვრილი კერძო მრეწველობის — 4,1%. ამგვარად, სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში 1924 წლის 87,6% -დან 1928 წლისათვის გაიზარდა 95,9%-მდე, ე. ი. 8,3%-ით და შესაბამისად შემცირდა კაპიტალისტური და წვრილი კერძო მრეწველობის ხვედრითი წონა. უკვე მეორე ხუთწლეულის დასაწყისში, საქართველოს მრეწველობაში, სოციალისტური მრეწველობის ფორმებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს.

საქართველო, რომელიც რევოლუციამდე მეფის რუსეთის განაპირა, ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, სამეურნეო აღორძინების, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელების შედეგად, გადაიქცა განვითარებული და მრავალდარგოვანი მრეწველობის რესპუბლიკად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, არსებითად, ახლად შეიქმნა საქართველოს თანამედროვე მრეწველობა, აშენდა და ამოქმედდა ათასზე მეტი ახალი, უმაღლესი ტექნიკით აღჭურვილი სამრეწველო საწარმო, წარმოიშვა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები. ამასთან ერთად, თანმიმდევრულად განხორციელდა რესპუბლიკის ძველი დარგების ძირეული გარდაქმნა და რეკონსტრუქცია. სოციალისტური მრეწველობის განვითარების კვალობაზე მომზადდა და სამრეწველო წარმოებაში აქტიურად ჩაება ათასობით ინჟინერ-ტექნიკოსი და მაღალკვალიფიციური მუშა, მკვეთრად ამაღლდა მრეწველობის მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონე. საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოება უკვე 1940 წელს, 1913 წელთან შედარებით, 10,2-ჯერ გაიზარდა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

ომამდელ და ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სსრ მრეწველობა მაღალი და მყარი ტემპებით ვითარდებოდა. რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების საშუალო წლიურმა ზრდამ პირველ ხუთწლეულში (1929—1938 წწ.) 23,8% შეადგინა, მეორე ხუთწლეულში (1933—1937 წწ.) — 15,8%, მესამე ხუთწლეულის სამ წელიწადში (1938—1940) კი — 10,5%<sup>2</sup>.

პირველი ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო ჩვენი ქვეყნის გადაქცევა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად. ამ ამოცანის განხორციელებისას კომუნისტური პარტია ემყარებოდა ვ. ი. ლენინის დებულებას მძიმე მრეწველობის განვითარების აუცილებლობის შესახებ. ვ. ი. ლენინი წერდა: „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნა“<sup>3</sup>.

ამ პერიოდში, საქართველოში დაიწყო მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება. საფუძველი ჩაეყარა ჰიდროელექტროენერგეტიკისა და სათბობის წარმოების ზრდას, წარმატებით ვითარდება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა და მის საფუძველზე ზესტაფონში ფერომარგანეცის წარმოება<sup>4</sup>.

ამავე დროს, შემდგომ პერიოდში, მეორე და მესამე ხუთწლეულის მანძილზე მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ბაზაზე დაჩქარდა რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს სსრ მრეწველობა მთლიანად საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა და დაიწყო ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის წარმოება.

საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდა და მისი დარგობრივი სტრუქტურა ომისშემდგომ წლებში ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ამ პერიოდში საქართველოში წარმოიშვა ახალი დარგები, მწყობრში ჩადვა მთელი რიგი მსხვილი საწარმოები: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, რუსთავის ქიმიური კომბინატი და სინთეზური ბოჭკოს ქარხანა და სხვ.

საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპები ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრილი 1).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარება მიმდინარეობდა განუხრელი და სწრაფი ტემპით. 1978 წელს, 1940 წელთან შედარებით, რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 14,0-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1978 წელს, 1913 წელთან შედარებით, შესაბამისად 144-ჯერ. ამ ზრდას განაპირობებდა შრომის ნაყოფიერების და მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის სისტემატური გადიდება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გავლა.

საქართველოს სსრ მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარება ხასიათდება განუხრელი და მაღალი ტემპებით. ამასთან, სხვა დარგებთან შედარებით, უფრო მაღალი და წინგამსწრები ტემპით იზრდება მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი, ელექტროენერგეტიკული, ქიმიური და საშენ მასალათა მრეწველობა.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 584.

<sup>4</sup> ი. მიქელაძე, საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის საკითხები, თბ., 1976., გვ. 80.



საყურადღებოა აღინიშნოს, რომ თუ საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1961—1965 წლებში 7,84% შეადგენდა, 1966—1970 წლებში — 8,9%, და 1971—1975 წლებში — 6,8%, ელექტროენერგეტიკის ზრდის ტემპი იყო შესაბამისად 11,1%, 10,0%, 5,4%, ქიმიური მრეწველობისა—16,9%, 14,7% 8,0%, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისა — 15,5%, 8,8%, 10,5% საშენ მასალათა მრეწველობისა — 6,9%, 8,4%, 8,0%. რესპუბლიკის მრეწველობის ამ პროგრესული დარგების დაჩქარებული განვითარება უზრუნველყოფდა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ცხრილი 1

საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი 1913—1978 წწ. (პროცენტობით წლებთან)

წელი	1913	1940	1945	1950	1960	1965	1970	1975	1976	1977	1978
1913	100										
1921	50										
1940	1022	100									
1945	821	80	100								
1950	1589	156	194	100							
1960	3959	389	482	249	100						
1965	5582	547	679	351	141	100					
1970	8544	836	1040	537	216	153	100				
1975	11833	1153	1440	744	299	212	139	100			
1976	12579	1225	1523	787	316	224	147	106	100		
1977	13383	1310	1628	842	338	240	157	113	107	100	
1978	14440	1405	1690	903	363	257	168	121	115	107	100

რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების ზრდის შესახებ არსებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდასთან ერთად, ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდება მძიმე მრეწველობის პროდუქციის ისეთ სახეობათა წარმოება, როგორცაა ფოლადი, თუჯი, ნავლინი, ელექტროენერჯია, ლითონსაჭრელი ჩარხები, სამავისტრალო ელმავლები, სატვირთო ავტომობილები და სხვ. დასახელებული პროდუქციის წარმოების განუხრელი ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს მრეწველობის ხვედრითი წონა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით აღნიშნული პროდუქციის საერთო-საკავშირო წარმოებაში.

ამეამად, მრეწველობას უკავია ძირითადი და წამყვანი ადგილი საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, რაც გამოიხატება იმით, რომ 1977 წელს მის წილად მოდიოდა რესპუბლიკაში წარმოებული ერთობლივი პროდუქტის 60,3%, ხოლო ეროვნული შემოსავლის — 40,9%. ამასთან, მრეწველობის ეს ხვედრითი წონა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ვ. მეღაძის მიერ ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, მრეწველობის

<sup>3</sup> საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

ხვედრითი წონა საქართველოს სსრ ეროვნულ შემოსავალში 1913 წელს მხოლოდ 18,9%-ს შეადგენდა<sup>6</sup>.

საქართველოს სსრ მრეწველობის განუხრელი და სწრაფი ტემპებით ზრდა განპირობებულია ისეთი ძირითადი ფაქტორების მოქმედებით, როგორცაა შრომის ნაყოფიერების გადიდება და მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის ზრდა.

საქართველოს სსრ მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარების შედეგად, განუხრელად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების სისტემურ გადიდებას ადასტურებს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 2).

ცხრილიდან ჩანს, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, 1978 წელს, 1960 წელთან შედარებით, 142%-ით გაიზარდა, ხოლო 1940 წელთან შედარებით 376%-ით. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერების ყოველი წლიური ზრდის ტემპი 4—9%-ის ფარგლებში მერყეობდა.

#### ც ხ რ ი ლ ი 2

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი საქართველოს სსრ მრეწველობაში 1940—1978 წწ. (კოლმეტურნობათა მრეწველობის ვარჯშე, ერთ მომუშავეზე მთლიანი პროდუქციის გამოშვებების მიხედვით)<sup>7</sup>

წ ლ ე ბ ი	პ რ ა ე ნ ტ ო ბ ი თ				წინა წელთან შედარებით
	1940 წ.	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	
1940	100				
1950	118	200			107
1955	160	136			109
1960	197	167	100		99,7
1965	239	203	121	100	
1970	316	269	161	132	109
1971	328	279	167	138	104
1972	331	282	169	139	100,9
1973	353	300	180	148	107
1974	382	324	194	160	108
1975	416	353	212	174	109
1976	432	366	220	181	104
1977	452	384	230	189	105
1978	476	405	242	195	107

შედარებით განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდებოდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული, ძირითადი დარგების მიხედვით.

<sup>6</sup> ვ. მ ე ლ ქ ა ძ ე, სოციალისტური კვლავწარმოება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1966, 83-176.

<sup>7</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცს მასალების მიხედვით.

მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის დარგებში მიმდინარეობდა შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდა. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში მოქმედებს შრომის ნაყოფიერების განუზრუნველყოფილი ზრდის ეკონომიკური კანონი. ამავე დროს, ცალკეულ წლებში, განსაკუთრებით 1971—1972 წლებში, რესპუბლიკის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, კერძოდ, ელექტროენერგეტიკაში, შავ მეტალურგიაში, საშენ მასალათა მრეწველობაში ადგილი ჰქონდა შრომის ნაყოფიერების ზრდის საგრძნობ შეფერხებებს და ზოგჯერ შემცირებასაც კი, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო რესპუბლიკის ძველი ხელშეშლის მიერ სახალხო მეურნეობის მართვაში დაშვებული სერიოზული შეცდომებითა და დარღვევებით, სუბიექტივიზმითა და ვოლუნტარიზმით.

ჩვენ მიერ ჩატარებული გაანგარიშებიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში, უმეტესი წლების მიხედვით, მთლიანი პროდუქციის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია მუშაკთა რიცხოვნობის ზრდა. ამ ფაქტორის წილად მოდის რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის ნამატის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ამ დარგში გაფართოებული კვლავწარმოების განხორციელების უპირატესად ექსტენსიურ გზაზე მეტყველებს. ჩვენი გაანგარიშებით, ფაქტორთა გავლენის გაზომვის პროპორციული განაწილების მეთოდის გამოყენების პირობებში, რესპუბლიკის მრეწველობაში ჩაბმული მუშაკების რაოდენობისა და შრომის ნაყოფიერების ცვლილების გავლენა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე, ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრილი 3 ).

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1959, 1960, 1961, 1963, 1964, 1966, 1967, 1974, 1976 წლებში საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საერთო ნამატის მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებულია მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის გადიდებით, რაც მატერიალური წარმოების ამ დარგის განვითარებაში ექსტენსიური ფაქტორის საგრძნობ როლზე მიუთითებს.

ეს გარემოება ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ წლებში რესპუბლიკის მრეწველობის რიგი ახალი დარგების — ელექტროტექნიკური მრეწველობის, ქიმიური მრეწველობისა და სხვ. ინტენსიური განვითარების, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდის გამო. შედარებით უფრო სწრაფი ტემპებით იზრდებოდა მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ინდუსტრიული დონის ამაღლებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით ეს გარემოება გარკვეულ ფარგლებში კანონზომიერი და დადებით მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული. ის გარემოება, რომ რიგი წლების მიხედვით საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საერთო ნამატის უმეტესი ნაწილი მოდის მუშაკების რიცხოვნობის გადიდებაზე, ნაწილობრივ გაპირობებულია; აგრეთვე, რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დაბალი დონითა და ზრდის ტემპებით. ამასთან, საყურადღებოა, რომ 1962 და 1965 წლებში საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მატების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი (1962 წ. 75,5%, 1965 წ. 69,1%) გამოწვეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით.

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე მიღებული საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნამატის მაჩვენებლები ცალკეული წლების მიხედვით ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია, რაც თავის მხრივ გაპირობებულია იმით, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე და ტემპები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

ც ხ რ ი ლ ი 3

მუშაკთა რიცხოვნობისა და შრომის ნაყოფიერების ცვლილების გავლენა საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობაზე (ბრუნვის გადასახადის ჩათვლით, შესაღარისი ფასებით)<sup>8</sup>

წ ლ ე ბ ი	მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნამატი	
	მუშაკთა რიცხოვნობის ცვლილების გავლენა (ხვედრი წონა %-ით ჯამისადმი)	შრომის ნაყოფიერების გავლენა (ხვედრი წონა %-ით ჯამისადმი)
1969	55,4	44,6
1960	88,7	11,3
1961	74,0	26,0
1962	24,5	75,5
1963	86,8	13,2
1964	62,4	37,6
1965	30,9	69,1
1966	53,1	46,9
1967	62,9	37,1
1970	62,3	37,7
1974	63,1	36,9
1975	53,3	46,7
1976	24,6	75,4
1977	30,1	69,9

სსრ კავშირის შესაბამის მაჩვენებელთან შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები შედარებით დაბალია. შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში 1977 წელს, 1940 წელთან შედარებით, 7-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოს სსრ მრეწველობაში 4,5-ჯერ.

საქართველოს სსრ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის საჭიროა: მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვა და შრომის ტექნიკურ შეიარაღებაში არსებული ჩამორჩენის დაძლევა; განსაკუთრებით მოძველებული მანქანა-იარაღების ახლით შეცვლის ფართოდ განხორციელება, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეების უფრო რაციონალური გამოყენება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება; წარმოების სპეციალიზაციისა და კომპერირების შემდგომი განვითარება, რესპუბლიკაში მრეწველობის რიგი პროგრესული დარგების სწრაფი ტემპებით განვითარება. ამჟამად, რესპუბლიკის მრეწველობის მთელი რიგი პროგრესული დარგების განვითარება ჯერ კიდევ არასაკმარისია. მრეწველობის ასეთ პროგრესულ დარგებს, რომლებიც განსაკუთრებით უნდა განვითარდნენ რესპუბლიკაში, მიეკუთვნება ქიმიური, ელექტროტექნიკური, რადიოელექტრონული, ხელსაწყოთმშენებელი და სხვ.

<sup>8</sup> ცხრილი შედგენილია და მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სსრ ცსს მასალების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ფაქტორების ვალრმაგებული გამოკვლევისათვის აუცილებელია ამ ფაქტორების მოქმედების ანალიზი განხორციელდეს რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვითაც. ამ გზით შესაძლებელია კონკრეტულად განისაზღვროს მრეწველობის ამა თუ იმ დარგის პროდუქციის ზრდის ძირითადი ფაქტორები და არსებული გამოყენებული რეზერვები.

სათანადო მასალების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით, მთლიანი პროდუქციის ზრდის ფაქტორების მოქმედება განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდებოდა.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მუშაკთა რიცხოვნობის ცვლილების გავლენა საქართველოს სსრ მრეწველობის ძირითადი დარგების მთლიანი პროდუქციის ზრდაზე 1960—1977 წწ. შემდეგი მონაცემებით გამოიხატებოდა (იხ. ცხრილი 4).

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი მეტყველებს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება შედარებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა შავ მეტალურგიაში, სათბობის მრეწველობაში, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში. აღნიშნულ დარგებში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნამატის უმეტესი ნაწილი მოდის შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სათბობის მრეწველობაში მოხდა მუშაკთა რაოდენობის შემცირება მთლიანი პროდუქციის მოცულობის ზრდის პირობებში, ე. ი. მრეწველობის ამ დარგში მთლიანი პროდუქციის მთელი ნამატი შრომის ნაყოფიერების ზრდის წილად მიიღებოდა და მის ხარჯზე მიმდინარეობდა მეორე ფაქტორის საწინააღმდეგო, უარყოფითი გავლენის გადაფარვაც.

## ცხრილი 4

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგთა მთლიანი პროდუქციის ზრდის ფაქტორების თანადარღობა (პროცენტობით მთელი ნამატის მიმართ 1960—1977 წლებში)<sup>9</sup>

მრეწველობის ძირითადი დარგები	შრომ-ს ნაყოფიერების ცვლილების გავლენა (ხვედრიწონა %-ით ჯამისადმი)	მრეწველობაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობის ცვლილების გავლენა (ხვედრიწონა %-ით ჯამისადმი)
შავი მეტალურგია	65.2	34.8
სათბობის მრეწველობა	100.0	—
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	63.3	36.7
მსუბუქი მრეწველობა	43.5	56.5
კვების მრეწველობა	50.7	49.3

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის ზოგიერთ დარგში შრომის ნაყოფიერების მიღწეული ღონე და ზრდის ტემპები ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია. ეს ვარაუდობა განსაკუთრებით შეეხება საქართველოს სსრ მსუბუქ მრეწველობას, რომელშიც შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად 1960—1978 წლებში მოდის

<sup>9</sup> მონაცემები გაანგარიშებულია საქართველოს სსრ ცსს საფუძველზე.

მოლიანი პროდუქციის მთელი ნამატის მხოლოდ 43,5%, ხოლო მუშაკთა რიცხვის გადიდებით—56,5%. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე და ზრდის ტემპები ჯერ კიდევ დაბალია და პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ამ ტემპების დაჩქარებას, რაც მიღწეულ უნდა იქნეს მსუბუქ მრეწველობაში და მის ძირითად საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვითა და შრომის ტექნიკური შეიარაღებულობის მკვეთრი ზრდით, საწარმოო სიმძლავრეების უფრო რაციონალური გამოყენებით, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებით, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით, მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრული განხორციელებით, სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფით.

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, აგრეთვე, რომ მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით, შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად მთლიანი პროდუქციის ზრდის შედარებით მცირე ნაწილი (50,7%) მიიღება რესპუბლიკის კვების მრეწველობაში, აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აუცილებელია კვების მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შემდგომი დაჩქარება.

ც ხ რ ი ლ ი 5

მუშაკთა რაოდენობისა და შრომის ნაყოფიერების ცვლილების გავლენა საქართველოს სსრ მრეწველობის წმინდა პროდუქციის მოცულობაზე (ბრუნვის გადასახადის ჩათვლით, შესაღარიხი ფასებით)<sup>10</sup>

წ ლ ე ბ ი	მრეწველობის წმინდა პროდუქციის ნამატა	
	მუშაკთა რაოდენობის ცვლილების გავლენა (ხვედრითი წონა %-ით ჯამისადმი)	შრომის ნაყოფიერების გავლენა (ხვედრითი წონა %-ით ჯამისადმი)
1969	127,0	— 27,0
1960	318,2	—118,2
1961	58,0	42,0
1962	19,7	80,3
1963	42,9	57,1
1964	97,0	3,0
1965	27,0	73,0
1966	81,9	18,1
1967	37,9	62,6
1968	81,1	18,9
1969	97,0	3,0
1970	7,2	92,8
1971	6,3	93,7
1972	—8,4	108,4
1973	—2,3	102,3
1974	14,6	85,4
1975	18,6	81,4
1977	36,2	63,8
1978	9,9	90,1

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის მთელი რიგი პროგრესული დარგების განვითარება ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩენილია. მრეწველობის ისეთ პროგრესულ დარგებს, რომლებიც განსაკუთრებით

<sup>10</sup> ცხრილი შედგენილია და მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

უნდა განვითარდნენ ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, მიეკუთვნება ელექტრო-ენერგეტიკული, ქიმიური, რადიოელექტრული, რადიოტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და სხვ.

საქართველოს სსრ მრეწველობის წმინდა პროდუქციის წარმოებისათვის დამახასიათებელია განუხრავი და სწრაფი ზრდა. სათანადო გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის წმინდა პროდუქციის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია მუშაკთა რაოდენობის გადიდება, და მის ხარჯზე მიიღება მრეწველობის წმინდა პროდუქციის საერთო ნამატის დიდი ნაწილი. ჩვენს მიერ ჩატარებული გაანგარიშებით, ფაქტორთა გავლენის გაზომვის პრობორციული განაწილების მეთოდის გამოყენების პირობებში, მუშაკების რაოდენობისა და შრომის ნაყოფიერების ცვლილების გავლენა რესპუბლიკის მრეწველობის წმინდა პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 5).

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის წმინდა პროდუქციის ნამატიდან შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მთელი რიგი ცვლილებების მიხედვით ჯერ კიდევ შედარებით მცირე ნაწილი მიიღება, რაც ამ წლებში რესპუბლიკის მრეწველობაში გაფართოებული კვლავწარმოების უპირატესად ექსტენსიური გზის ფართოდ გამოყენებაზე მეტყველებს. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან წილად გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე და ტემპები მთელი რიგი წლების მანძილზე დაბალი იყო და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა შესაბამის საერთო-საქავეშირო მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე, კერძოდ, 1950—1972 წლებში საქართველოს სსრ თავისი სამრეწველო განვითარების ტემპით სერიოზულად ჩამორჩებოდა როგორც საერთო-საქავეშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებს. ამაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები.

1950—1972 წლების განმავლობაში მთლიანად სსრ კავშირში მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 10,7-ჯერ გაიზარდა, საქართველოს სსრ-ში — 6,5-ჯერ, 1960—1972 წლებში შესაბამისად — 2,6-ჯერ და 2,3-ჯერ. ეს მონაცემები თვალნათლივ გვიჩვენებენ საქართველოს სსრ სამრეწველო წარმოების განვითარების ტემპების მნიშვნელოვან ჩამორჩენას საერთო-საქავეშირო შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1972 წელს, 1940 წელთან შედარებით, გაიზარდა საქართველოს სსრ-ში 8,8-ჯერ, სსრ კავშირში — 13,7-ჯერ, რსფსრ-ში — 11-ჯერ, უკრაინის სსრ-ში — 8,3-ჯერ, ბელორუსიის სსრ-ში — 13-ჯერ, უზბეკეთის სსრ-ში — 8,5-ჯერ, ყაზახეთის სსრ-ში — 19-ჯერ, აზერბაიჯანის სსრ-ში — 5,5-ჯერ, ლიტვის სსრ-ში — 31-ჯერ, მოლდავეთის სსრ-ში — 25-ჯერ, ლატვიის სსრ-ში — 27-ჯერ, ყირგიზეთის სსრ-ში — 19-ჯერ, ტაჯიკეთის სსრ-ში — 9,9-ჯერ, სომხეთის სსრ-ში — 21-ჯერ, თურქმენეთის სსრ-ში — 6,8-ჯერ, ესტონეთის სსრ-ში — 28-ჯერ<sup>11</sup>.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ გა-

<sup>11</sup> საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

მოავლინა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლოვანებები, დასაბამი მისცა რესპუბლიკაში ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ უკომპრომისო და გადამწყვეტ ბრძოლას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მათ შორის მრეწველობის განვითარებაში არსებული ჩამორჩენის დაძლევას.

საქართველოს სსრ მრეწველობისა და განსაკუთრებით მისი პროგრესული დარგების პროდუქციის ზრდის ტემპები მნიშვნელოვანად დაჩქარდა 1973—1980 წლების მანძილზე, რის შედეგადაც განხორციელდა საერთო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მაჩვენებლებისაგან საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ტემპების მიხედვით არსებული ჩამორჩენის ნაწილობრივ დაძლევა. ამ გარემოებაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით, 21%-ით გაიზარდა, ნაცვლად გვემით გათვალისწინებული 17,8 პროცენტისა, მათ შორის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 31%-ით, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის—16%-ით, სათბობის მრეწველობის—21%-ით, საშენ მასალათა მრეწველობის—24%-ით, ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობის—21%-ით, მსუბუქი მრეწველობის—21%-ით, კვების მრეწველობის—21%-ით. ამავე პერიოდში, შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის მრეწველობაში 15%-ით გადიოდა. საყურადღებოა, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1978 წელს 7,4%-ით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება კი—5,6%-ით. ამ წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით საქართველოს სსრ პირველ ადგილზე გამოვიდა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

საქართველოს სსრ მშრომელების დიდ წარმატებაზე მეტყველებს ის, რომ რესპუბლიკა ზედიზედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამ წარმატებებში აისახა, როგორც მრეწველობის, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაში მიღწეული პოზიტიური შედეგები.

ამავე დროს, რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებაში ადგილი აქვს სერიოზულ ხარვეზებს და ნაკლოვანებებს, რაც განაპირობებს მთლიანად მრეწველობისა და მისი ცალკეული დარგების განვითარების ტემპების რამდენადმე შენელებას არსებულ შესაძლებლობასთან შედარებით.

აქ, პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სსრ მრეწველობაში და მის ცალკეულ დარგებში წარმოების ზრდის ინტენსიური ფაქტორების უფრო სრულად გამოყენებას, წარმოების გადაყვანას ინტენსიური განვითარების რელსებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას.

წარმოების ზრდის ინტენსიური ფაქტებიდან განსაკუთრებული როლი განეკუთვნება შრომის ნაყოფიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა გადაჭარბებით სრულდება, როგორც ზევით უკვე აღინიშნა, ამ ფაქტორების როლი ჯერ კიდევ დაბალია სამრეწველო პროდუქციის მატებაში.



საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა (მთელი მრეწველობა, პროცენტებით გამოხატული)<sup>12</sup>

დ ა რ კ ე ბ ი	მილიანი პროდუქტა						პროცენტი საწარმოო ფონდები					
	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.
მთელი მრეწველობა	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
მთ შორის												
1. ელექტროენერჯიკა	1,7	1,6	1,9	3,3	3,0	2,7	20,1	21,2	21,3	23,1	21,1	20,3
2. სათბობი მრეწველობა	5,4	4,2	3,2	3,7	3,1	3,3	5,1	5,0	5,3	5,4	4,6	4,9
3. შიგნითი მრეწველობა	3,4	5,5	5,1	6,2	5,3	4,9	12,3	15,1	16,7	17,6	18,9	18,1
4. ქიმიური და ხელოვნური მრეწველობა	1,2	2,4	3,5	4,7	4,6	4,3	9,1	9,3	9,3	9,2	8,2	7,8
5. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	3,5	10,6	12,7	12,3	12,7	13,1	11,8	13,7	12,1	11,8	12,9	13,2
6. ზეირის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობა	5,5	4,6	3,2	3,0	3,3	3,3	2,3	2,7	2,8	2,9	3,0	3,4
7. საშენ-მასალის მრეწველობა	3,3	4,3	4,4	4,9	4,9	5,0	6,7	6,9	7,1	6,8	8,1	7,7
8. მსუბუქი მრეწველობა	21,3	21,8	18,0	18,9	19,9	20,2	6,6	7,3	7,3	6,5	7,3	7,4
9. კვების მრეწველობა	46,9	42,0	44,9	39,9	39,9	39,3	15,6	16,0	16,2	15,7	15,8	16,1

<sup>12</sup> შედგენილია საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

მრეწველობაში გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის გამოკვლევისათვის მეტად მნიშვნელოვანია ნაჩვენები იქნეს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თანამედროვე მდგომარეობა და მისი სპეციფიკური თავისებურებანი, უქანასკნელ პერიოდში ამ დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები და დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა, მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის გზები. ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მრეწველობის დარგებს შორის რაციონალური პროპორციების დამყარების პირობები და ხელი შევეწყოთ გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებას.

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა უქანასკნელ წლებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 6).

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი მეტყველებს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას მთლიანი პროდუქციის და ძირითადი საწარმოო ფონდების მიხედვით, საერთო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გარკვეული სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია. საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება გამოიხატება იმით, რომ საერთო-საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით, რესპუბლიკის მთლიან პროდუქციაში წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების ხვედრითი წონა შედარებით დაბალია. საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკური თავისებურებაა აგრეთვე, კვების მრეწველობის პროდუქციის მაღალი ხვედრითი წონა, რაც 1978 წელს რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 39% შეადგენდა. ეს თავისებურება განპირობებულია, ჯერ ერთი, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კვების მრეწველობის განვითარებისათვის არსებული მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ბაზით, მეორეც, გარკვეული ზომით, იგი გამოწვეულია წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების შედარებით დაბალი განვითარების დონით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კვების მრეწველობის — ჩაის, საკონსერვო, თამბაქოს და სხვ. ხვედრითი წონა, მისი აბსოლუტური ზრდის პირობებში საქართველოს მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 46,9%-დან (1950 წ.) 39%-მდე (1878 წ.) შემცირდა, რაც, ბუნებრივია, რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დონის შემდგომი ზრდის შედეგია. აქვე აღსანიშნავია, რომ კვების მრეწველობის ცალკეული ქვედარგების მიხედვით ეს პროცესი განსხვავებული მაჩვენებლებით ხასიათდებოდა, კერძოდ, ჩაის მრეწველობის ხვედრითი წონა მთლიანად პროდუქციაში 1950 წლის 19,7 პროცენტთან, 1978 წლისათვის 7,9 პროცენტამდე შემცირდება, თამბაქო-წყოსი შესაბამისად—3,0 პროცენტთან 2,1 პროცენტამდე, საკონსერვო მრეწველობის ხვედრიწონა დარჩა იგივე დონეზე 12,8 პროცენტი, ხოლო ღვინის მრეწველობაში ეს პროცესი არსებითად განსხვავებული ტენდენციით გამოიხატა, სახელობრ, ამ დარგის მიხედვით ადგილი ჰქონდა ხვედრითი წონის გადიდებას, კერძოდ 1970 წლის 8,3%-დან 1978 წლის 12,1%-მდე<sup>13</sup>.

<sup>13</sup> საქართველოს სსრ ცსს მასალების მიხედვით.

ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი მეტყველებს, რომ განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში ადგილი აქვს საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობის წამყვანი დარგების — ელექტროენერგეტიკის, შავი მეტალურგიის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, საშენ მასალათა მრეწველობის და სხვ. შედარებით უფრო სწრაფი ზრდის ტენდენციას.

საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობის დარგების შედარებით უფრო სწრაფი ზრდისა და მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მათი ხვედრითი წონის ამარღობის ეს პროცესი რესპუბლიკის მრეწველობის ინდუსტრიული დონის შემდგომი ზრდის შედეგია და იგი პროგრესულ ტენდენციად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა გვიჩვენებს, რომ შეიძლება გამოიყოს დარგთა სამი ჯგუფი: პირველი, ესაა დარგები, რომელთა ხვედრითი წილი მრეწველური წარმოების მოცულობაში სისტემატურად იზრდებოდა, ასეთია ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. მეორე ჯგუფის დარგების ხვედრითი წილი სისტემატურად მცირდებოდა, ესენია სათბობის მრეწველობა, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობა. დარგთა მესამე ჯგუფის ხვედრითი წილი სხვადასხვა პერიოდში არათანაბრად იცვლებოდა (შავი მეტალურგია, საშენ მასალათა მრეწველობა, კვების მრეწველობა)<sup>14</sup>.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებისათვის დამახასიათებელია მძიმე მრეწველობის მთელი რიგი წამყვანი დარგების კერძოდ, მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის, ელექტროენერგეტიკის სწრაფი ტემპებით განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგების სწრაფი და მაღალი ტემპებით განვითარების შედეგად უახლოეს მომავალში მათი ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში და წმინდა პროდუქციაში მნიშვნელოვნად ამაღლდა. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრეწველობის დარგების — კვებისა და აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის, რამდენადმე ქვანახშირის, ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის მნიშვნელოვანი (აბსოლუტური) ზრდის პირობებში შესაბამისად შემცირდება მათი ხვედრითი წილი საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციისა და წმინდა პროდუქციის წარმოებაში. ეს გარემოება შესაბამისად გამოიწვევს სათანადო ცვლილებებს რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოებაში.

განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში მრეწველობა ასრულებს წამყვან და გადამწყვეტ როლს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოებაში. ამა თუ იმ ქვეყნის ინდუსტრიული დონის განვითარების კვალობაზე მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის ორ ძირითად დარგს — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის თანაფარდობის ცვლილება. მრეწველობის ხვედრითი წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში იზრდება, ხოლო სოფლის მეურნე-

<sup>14</sup> ვ. ა დ ვ ა ძ ე, საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურის შემდგომ პერიოდში, თბ., 1970, გვ. 176.

2. „მაინე“, ეკონომიკისა და საპრობლემის სერია, 1981, № 2

ქ. მარაშის სსრ. სსრ  
 სახელმწიფო რესპუბლიკა  
 ა ი ბ ლ ი თ მ ე ქ ა

17.050

ობის—მცირდება. თუ ამ თვალსაზრისით ავიღებთ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მაგალითს, დავინახავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ წარმოების სტრუქტურაში. აღსანიშნავია, რომ 1913 წელს მრეწველობის წილად მოდიოდა რუსეთის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 35,8 პროცენტი, ხოლო ეროვნული შემოსავლის 34,9%. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა განხორციელების შედეგად, უკვე 1929 წლისათვის მრეწველობის ხვედრითი წონა სსრ კავშირის ეროვნულ შემოსავალში 41,7% შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობისა—35,1%, 1937 წელს შესაბამისად—53,7% და 25,7%. აღსანიშნავია, რომ უკვე ომამდე 1940 წელს სსრ კავშირის მრეწველობაში შეიქმნა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 57,3 პროცენტი, ხოლო 1978 წელს — 64,7 პროცენტი.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში წამყვან და გადამწყვეტ როლს მრეწველობა ასრულებს. ამასთან, შესაბამისი მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივმა სტრუქტურამ, რაც იმით გამოიხატა, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობაში რამდენადმე ამიღლდა ინდუსტრიული დარგების — მრეწველობისა და მშენებლობის ხვედრითი წონა.

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს სსრ, როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტით მოსახლეობის ერთ სულზე, ისე მრეწველობის ხვედრითი წონით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტში საგრძნობლად ჩამორჩებოდა საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს.

საქართველოს სსრ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ამ სტრუქტურაში არასაკმაო ადგილი უჭირავს მრეწველობას, ანუ ეს სტრუქტურა საკმაოდ ინდუსტრიული არ არის. ეს ვარაუზება აუცილებელს ხდის ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის სწრაფი ტემპებით განვითარებას.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს სსრ მრეწველობის დარგებიდან მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება ყველზე უფრო სწრაფი, მთლიანად სამრეწველო წარმოებასთან შედარებით წინგამსწრები ტემპებით იზრდებოდა და მისი ხვედრითი წონა შესაბამისად მაღლდებოდა.

საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის სტრუქტურაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ისეთი ახალი დარგების აღმოცენებით, როგორიცაა ელექტროტექნიკური და ხელსაწყობთმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა და სხვ.

საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა მოითხოვს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების აუცილებლობა გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის მოცულობის შემდგომი გადიდების ინტერესებითა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საპირობით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული შემოსავლის გადიდებისა და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების საშუალებათა მწარ-

მოებელი დარგების და, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის შრომატევადი დარგების მანქანათმშენებლობის, კერძოდ, მისი ქვედარგების—ელექტროტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის და სხვ. აგრეთვე ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, შავი და ჯერადი მეტალურგიისა და სხვ. დაჩქარებული ტემპებით განვითარებას.

საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის ზრდისა და არსებული შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის, კერძოდ, ჩაის, ლენის, საკონსერვო და სხვ. შემდგომი სწრაფი ტემპებით განვითარებას, რისთვისაც ჩვენს რესპუბლიკას მდიდარი და ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსები, ფართო შრომითი და სხვ. შესაძლებლობანი აქვს.

სკკპ XXVI ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, რომელიც ითვალისწინებს, რომ XI ხუთწლედში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გვადიდოთ მრეწველობის პროდუქციის წარმოება 30—33 პროცენტით, ელექტროენერჯის გამოშვება 1,2-ჯერ, მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება 1,6-ჯერ, ქიმიური მრეწველობისა—1,5-ჯერ, მსუბუქი და კვების მრეწველობისა 1,3-ჯერ, მათ შორის ხილბოსტნეულის კონსერვების 1,7-ჯერ<sup>15</sup>. დასახულია ამოცანა, რომ XI ხუთწლედში გავითვალისწინოთ ელექტროტექნიკური, ელექტრული, რადიოტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის უპირატესი ზრდა.

მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმის წარმოებასთან განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურის და, კერძოდ, მრეწველობის სტრუქტურის შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

А. И. ТЕТРАУЛИ

## ТЕМПЫ И СТРУКТУРА РАЗВИТИЯ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В статье исследованы особенности взаимосвязи между темпами экономического роста и изменениями главных пропорций в промышленности Грузинской ССР, установлено влияние изменения производительности труда и количества работников на рост валовой и чистой продукции промышленности республики, определены пути совершенствования внутриотраслевых пропорций.

В валовой продукции промышленности Грузии сравнительно низок удельный вес отраслей, производящих средства производства. В

<sup>15</sup> სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ. 6 მარტი, № 56.

этом отношении специфическую особенность представляет также относительно высокий удельный вес продукции пищевой промышленности. Эту особенность следует объяснить как наличием в республике необходимой для развития пищевой промышленности богатой сельскохозяйственной сырьевой базы, так и в известной мере сравнительно низким уровнем развития ряда отраслей, производящих средства производства.

Отраслевая структура промышленности Грузинской ССР требует дальнейшего улучшения и совершенствования. Необходимость этого диктуется интересами дальнейшего увеличения объема национального дохода и рационального использования трудовых ресурсов республики с учетом того, что с этой целью решающее значение имеет развитие ускоренными темпами отраслей, производящих средства производства, и прежде всего — машиностроения (его подотраслей — электротехнической промышленности, приборостроения и др.), промышленности строительных материалов и др.

Для увеличения национального дохода и рационального использования имеющихся трудовых ресурсов Грузии важное значение имеет также развитие в дальнейшем быстрыми темпами легкой и особенно пищевой (чайной, винодельческой, консервной и др.) промышленности; республика располагает для этого богатыми и благоприятными природными ресурсами, значительными трудовыми резервами и другими возможностями.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აღწარმოებისა და კაპი-  
ტალური დაბანდებთა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილებამ

Г. Ш. ЦЕРЕТЕЛИ

## ЭКОНОМИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ ОХРАНЫ И РАЦИОНАЛЬНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ ПРИРОДНЫХ РЕСУРСОВ (НА ПРИМЕРЕ ЛЕСНЫХ РЕСУРСОВ)

Природные ресурсы, являющиеся частью производительных сил, создают естественную базу материального производства. Их значение в развитии производства, хотя и не является решающим, но тем не менее весьма велико. Степень обеспеченности ими народного хозяйства, их дифференцированность по качеству и местоположению оказывают существенное воздействие на производство, ускоряя или замедляя процесс его развития.

На современном этапе развития советской экономики особую актуальность приобретает вопрос научного изучения природных богатств. Хотя стоит отметить, что не все виды природных ресурсов являются объектом изучения экономики, а лишь те из них, которые изменяют свое естественно состояние под прямым или косвенным воздействием человека и полезность которых (для общества) изменяется в результате трудовой деятельности людей. В этом свете большое значение имеет правильная формулировка определения природных ресурсов.

В литературе существует много определений понятия «природные ресурсы», соответствующих конкретным целям исследований, которые ставили перед собой авторы. обстоятельный обзор и критический анализ уже имеющихся определений и методов классификации природных ресурсов содержатся в работах А. А. Минца<sup>1,2</sup>.

Четкое определение понятия природных ресурсов содержится в работе К. Г. Гофмана<sup>3</sup>, которое, по нашему мнению, является наиболее приемлемым с позиций социально-экономической проблематики.

С точки зрения рассматриваемой нами проблемы, мы считаем возможным сущность природных ресурсов определить следующим образом:

под природными ресурсами следует понимать тела и силы природы, используемые (или потенциально пригодные для использования) в качестве средств труда (земля, водные пути, вода для орошения и т. д.), источники энергии (гидроэнергия, запасы горючих, ископаемых и т. д.), сырья и материалов (запасы минерального сырья, леса, ресурсы технологической воды и т. д.), или непосредственно в качестве предметов потребления (питьевая вода, дикорастущие плоды, ягоды и т. д.), изменение (исходного) естественного состояния которых в процессе их использования затрагивает интересы народного хозяйства в обозримой перспективе.

Наша страна обладает огромным природным потенциалом. Она

1 А. А. Минц. Естественные ресурсы: содержание понятия и некоторые вопросы классификации. В кн.: «Природа и общество», М., 1968.

2 А. А. Минц. Экономическая оценка естественных ресурсов. М., 1972.

3 К. Г. Гофман. Экономическая оценка природных ресурсов в условиях социалистической экономики. М., 1977, с. 14.

располагает весьма разнообразными и высокоэффективными природными ресурсами. «Даже при современном уровне наших знаний можно с полной уверенностью утверждать, что уже открытые природные ресурсы обеспечивают в перспективе высокие темпы дальнейшего роста социалистического производства»<sup>4</sup>. Тем не менее в последние годы резко возрос интерес к проблеме их охраны и рационального использования. Это обусловлено, с одной стороны, ростом населения, в связи с чем увеличивается спрос на продукцию земледелия, лесного хозяйства, добывающих отраслей промышленности, а с другой стороны, сокращением природных источников этих продуктов вследствие истощения, перевода земельных и лесных угодий под градостроение, промышленные застройки, дороги и т. п. В этих условиях общество вынуждено тратить все больше средств на охрану и воспроизводство многих видов природных ресурсов. Воспроизводство природных ресурсов превращается, в силу признанных причин, в особую сферу общественного производства. В то же время из-за целого ряда исторических причин воспроизводство и эксплуатация природных ресурсов в нашей стране оказались в значительной мере вне сферы действия механизма экономических оценок, с помощью которых стимулируется воспроизводство и рациональное использование всех видов других производственных ресурсов, употребляемых в народном хозяйстве. Между тем экономическая оценка природных ресурсов, являясь стимулятором их рационального использования, способствует эффективному развитию общественного производства, а это последнее, в свою очередь, требует воспроизводства и рационального использования всех видов производственных ресурсов.

С другой стороны, если определены номера связующих уравнений, то согласно инструкции комплекса программы ТБЛ-76 самостоятельно можно формировать блоки моделей отдельных объектов производства-потребления и блоки оптимизации доставки отдельных видов продукции.

Таким образом, процесс подготовки информации к модели и формирования самой модели делится на части по отраслевому и территориальному признакам. В блочной модели развития многоотраслевого комплекса на уровне страны экономические районы будут представлены несколькими узлами, но многоотраслевой структурой экономики. Аналогично в блочной модели области или автономной республики они будут представлены некоторым количеством узлов, как правило, — основных транспортных узлов, находящихся вблизи граничных точек. Данная информация достаточна для составления блоков-моделей функционирования и развития объектов, находящихся на территории рассматриваемой области. Указанные блоки предназначены для включения в модель экономического района, а в более агрегированном виде и в блочную модель страны.

Анализ известных критериев оптимальности показывает, что для вышеприведенных принципов формализации модели системы экономики наиболее целесообразно использовать условие максимизации абсолютного экономического эффекта<sup>7</sup>.

Исходя из структуры комплекса программы ТБЛ-76 целесообразно поставить задачу оптимизации функционирования и развития многоотраслевого комплекса (в частности, регионального комплекса экономики автономной республики) в следующем виде (статическая постановка задачи):

$$EKX + CX \pm GX \rightarrow \min \quad (2)$$

$$A_{01}X_1 + A_{02}X_2 + \dots + A_{0q}X_q = B_0$$

$$A_{11}X_1 = B_1 \quad (3)$$

$$A_{c2}X_2 = B_2$$

$$\dots \dots \dots$$

$$A_{cq}X_q = B_q$$

$$0 \leq a \leq X \leq b, \quad (4)$$

где  $E$  — нормативный коэффициент эффективности капиталовложений,  $K$  — удельные капиталовложения,  $C$  — годовые эксплуатационные издержки,  $G$  — цены на потребляемую и вывозимую продукцию регионального комплекса (знак «+» ставится при потреблении, а «-» при вывозе),  $X(X_1, X_2, \dots, X_q)$  — вектор переменных задач,  $q$  — число блоков задачи,  $A_{11}, A_{22}, \dots, A_{qq}$  — подматрицы собственных множеств уравнений отдельных блоков,  $a, b$  — соответственно нижний и верхний пределы изменения вектора переменных  $X$ .

Составление математической модели оптимизации народного хозяйства на уровне автономной республики (области) требует предварительного технико-экономического анализа отраслевой и территориальной

<sup>7</sup> Канторович Л. В., Богачев В. Н., Макаров В. Л., Об оценке эффективности капитальных затрат. «Экономика и математические методы», 1970, т. VI, вып. 6, с. 811—826.

ной структуры и выявления тенденций развития экономики. В результате анализа можно выделить ряд отраслей, развитие которых обусловлено исключительно местными условиями и ресурсами, в том числе социально-экономическими и экономико-географическими.

Вопросы развития остальных отраслей, как правило, должны рассматриваться в оптимальной народнохозяйственной модели, составленной в виде задачи (2) — (4). При этом на уровне автономной республики (области) существенное значение приобретает учет социальных факторов, в частности, наличия и воспроизводства трудовых ресурсов.

В качестве внешних условий развития народного хозяйства автономной республики принимаются цены и допустимые пределы изменения объектов ввозимой и вывозимой продукции. Указанные внешние условия определяются согласно расчетам, которые проводятся на верхних уровнях управления с учетом агрегированной модели автономной республики. На основе тех же расчетов выявляются характеристики неопределенности объема ввоза — вывоза и соответствующих цен.

С учетом неопределенности вышеуказанной информации производятся вариантыные расчеты по дезагрегированной модели автономной республики. По анализу результатов расчета выявляются экономически эффективные отрасли или предприятия, а также малоэффективные объекты (отрасли) независимо от неопределенного характера информации (выявляются устойчивые решения). Дальнейшему анализу подлежат развитие оставшихся предприятий или отраслей в условиях неопределенности с применением формализованных методов и интуитивного отбора.

Работы по созданию единой модели развития региональной экономики могут быть проведены поэтапно. Для первого этапа возможно использование результатов научных исследований по оптимизации топливно-энергетического комплекса Грузинской ССР<sup>8</sup>. В задаче рассматривались подсистемы энергоснабжения (углеснабжения, газоснабжения, снабжения мазутом и нефтепродуктами, а также электроэнергетическая система — первые 6 блоков, энергоемкие потребители республики и локальные системы энергоснабжения — 11 городов и 8 укрупненных районов республики (всего 25 блоков)<sup>9</sup>.

Таблица 1  
 Значение замыкающих затрат (объективно-обусловленных цен)  
 топливных ресурсов:

Р а й о н	З и м а			Л е т о		
	Природный газ	Мазут	Уголь	Природный газ	Мазут	Уголь
Пункт ввоза	25,7	24,5	25,2	23,6	22,6	22,5
Тбилиси	26,2	25,7	27,4	24,3	23,8	24,8
Рустави	25,9	25,6	28,0	23,9	23,7	25,4
Сухуми	28,7	25,2	26,4	26,7	23,2	23,8
Батуми	28,2	24,2	27,1	26,2	22,2	24,4

<sup>8</sup> Чурквездзе Ш. С., Липартелиани Д. В., Джапаридзе В. Р., Артмеладзе А. Р. Особенности оптимизации управления развитием энергетического хозяйства региона. «Энергетика и транспорт», 1980, № 5, с. 17—24.

<sup>9</sup> Хачатурян Р. А., Чурквездзе Ш. С., Опыт решения задач большой размерности на ЭВМ среднего класса. — «Экономика и математические методы», 1976, т. 12, вып. 5, с. 982—988.



В таблице № 1 приведены некоторые показатели результатов расчетов, анализ которых показывает эффективность предложенных в данной статье подходов.

Изучение свойств подсистем экономики (разномасштабность и устойчивость оптимальных параметров) позволит составить эффективные алгоритмы управления процессом счета и достигнуть приблизительно двухкратного сокращения машинного времени (см. табл. 2).

Таблица 2

Характеристика процесса сходимости решения задач оптимального развития топливно-энергетического комплекса республики

	Общий алгоритм управления процессом счета			При учете в алгоритме свойства устойчивости замыкающих затрат		
	6	11	15	4	5,5	8,5
Время счета на ЭВМ М-222 (час)	6	11	15	4	5,5	8,5
Погрешность по функции (%)	2-3	0,6-0,8	0,1-0,2	2-3	0,5-0,6	0,1-0,16

На следующих этапах работы могут быть последовательно при- бавлены модели других отраслей экономики в виде дополнительных са- мостоятельных блоков.

Результаты проведенных расчетов показывают, что предложенная методика формирования экономико-математических моделей и способы их применения могут быть успешно реализованы в рамках общегосу- дарственной системы сбора и обработки информации для учета, плани- рования и управления народным хозяйством (ОГАС), для решения на- роднохозяйственных задач, связанных с принятием сложных социально- экономических решений межотраслевого, межведомственного и межре- гионального характера.

В настоящее время с применением изложенных в данной статье подходов разработана экономико-математическая модель оптимизации экономического и социального развития региона и ведутся работы по созданию информационного обеспечения. Вся система расчетов в по- следующем будет использована в процессе планирования и управления развитием народного хозяйства Аджарской АССР.

Указанная модель в агрегированном виде может быть использована в качестве территориального блока модели оптимизации развития на- родного хозяйства Грузинской ССР.

Представлена Институтом кибернетики АН ГССР

## ლინა ღათუნაშვილი

 ეკონომიკური მემცენარეობის ამაღლების გზები აჭარის  
 კოლმეურნეობებში

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1979 წლის 27 სექტემბერს მიღებული დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, დიდ ამოცანას სახავს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე. იგი განსაზღვრავს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებას, ითვალისწინებს ეკონომიკის, დარგობრივი სტრუქტურის, წარმოებრივი სპეციალიზაციის სრულყოფას და საქართველოს სს რესპუბლიკის, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებლის როლის შემდგომ ამაღლებას შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი კულტურების: ჩაის, ციტრუსების და ტექნიკური კულტურების მთლიანი პროდუქციის წარმოებაში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აჭარის ასსრ კოლმეურნეობებს, რომელთა ხვედრიწონა აჭარის ასსრ საზოგადოებრივი მეურნეობის მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1978 წელს უდრიდა 68%. ამავე წელს აჭარის ასსრ კოლმეურნეობები აწარმოებდნენ საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ წარმოებული ჩაის 13,7%, ციტრუსების—64%, ტუნგოს—18,3% და თამბაქოს—20%.

1975—1978 წლებში აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში იზრდებოდა როგორც მთლიანი, ასევე საქონლური პროდუქციის წარმოება. მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით გაიზარდა 50897 ათასი მანეთიდან 53571 ათას მანეთამდე, ანუ 5,3%, ხოლო საქონლური პროდუქციის მატება ტოლი იყო 9,5%.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მაღალი ხვედრიწონა უკავია მემცენარეობის პროდუქციას, რაც 1975 წელს უდრიდა 92,1%, ხოლო, 1978 წელს—94,1%. მემცენარეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში მაღალია ციტრუსების, თამბაქოს, ჩაის, და ტუნგოს ხვედრიწონა.

1975—1978 წლებში აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში საშუალოდ შეიმჩნეოდა მემცენარეობის მთლიანი პროდუქციის ზრდა (პროცენტობით): მარცვლეულის წარმოებაში—16,9, კარტოფილის—30,2, ციტრუსების—0,8, ჩაის—22,5 და დაფნის ფოთლის წარმოებაში—8,2. ამავე პერიოდში იზრდებოდა მემცენარეობის ცალკეული კულტურების საპექტარო მოსავლიანობა: მარცვლეულის—31,1%, კარტოფილის—29,8%, ბოსტნეულის—59,3%, ხილის—2,4%, ყურძნის—32,4%, ჩაის—20,2%, ხოლო თამბაქოს, ტუნგოს,

ციტრუსების და დაფნის საექტარო მოსავლიანობაში შეიმჩნეოდა შემცირების ტენდენცია შესაბამისად (პროცენტობით): 27, 56, 17, 7, 11, 8. თავისებურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის წარმოებაში. სახელდობრ, აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ამ კულტურების საექტარო მოსავლიანობა, ხოლო გაიზარდა მთლიანი მოსავალი. ამ მოვლენის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ციტრუსების და დაფნის ნარგავთა ფართობის გადიდება, შესაბამისად 22,5% და 22,3%-ით, რაც მიგვითითებს იმ ფაქტზე რომ აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში აღნიშნული კულტურების წარმოების გადიდებისათვის უპირატესად მიმართავენ ექსტენსიურ მეთოდს, რაც პროდუქციის წარმოების გადიდების ნაკლებად ეფექტური საშუალებაა.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში დაბალი ხვედრიწონა უკავია მეცხოველეობის პროდუქციას, რაც 1975 წელს ტოლი იყო 7,9%, ხოლო 1978 წელს 5,9%. მიუხედავად ამისა აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა პირუტყვის სულადობა 4,1%, რძის წარმოება—12,9%, ღორის ხორცის—2,2-ჯერ, ხოლო შემცირდა ძროხის ხორცის წარმოება 30,6%, თაფლისა—46,9%, აბრეშუმის პარკისა—0,5%. მიუხედავად იმისა, რომ პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლები გაიზარდა, მაგ., 100 ძირითადი დედა ღორიდან მიღებული გოჭები 1000 სულადან 1041 სულამდე, ძროხის საშუალო წველადობა 1201 კგ-დან 1302 კგ-მდე და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადღღამისო წონამატი 141 კგ-დან 146 კგ-მდე, აღნიშნული ზოგიერთი მაჩვენებელი საქართველოს სსრ კოლმეურნეობის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებზე მაინც დაბალი იყო, სადაც ერთი ძროხის საშუალო წველადობა 1978 წელს უდრიდა 1600 კგ, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადღღამისო წონამატი ტოლი იყო 201 კგ-ისა.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაბალი დონე, უპირველეს ყოვლისა, ვაპირობებულობს საკვების ნაკლებობით. კოლმეურნეობებში მაღალია უხეში და წვნიანი საკვების დეფიციტი. რესპუბლიკის მთიან რაიონებში, როგორცაა ქედა, ხულო, შუახევი, შედარებით მაღალია ბუნებრივი სათიბი-საძოვრების ხვედრიწონა (71,9%, 88,4%, 88,8%). მაგრამ, იმის გამო, რომ არსებული შესაძლებლობით მათ ინტენსიურად არ იყენებენ, აღნიშნული სათიბი-საძოვრები ვერ აკმაყოფილებს საკვებზე საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებას. მეცხოველეობის დარგის საკვებით უზრუნველყოფისათვის საჭიროა პერიოდულად ვაწარმოთ სათიბი-საძოვრების ზედამირული გაუმჯობესების ღონისძიებანი, ამავე დროს ჯოგის სტრუქტურულ შემადგენლობაში ავამაღლოთ ჯიშისანი ფურების ხვედრიწონა, ყურადღება გავამახვილოთ სარემონტო მოზარდელის მიზანმიმართულ გამოზრდაზე, მინიმუმამდე შევამციროთ ბერწიანობის პროცენტი, რისთვისაც აუცილებელია საჭირო რაოდენობის კარგი სანაშენე ბუღამწარმოებლები, და ამასთან ერთად ფართოდ დაენერგოთ ხელოვნური დათესვის პრაქტიკაც.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა ეკონომიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელთა დონეზე.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში საშუალოდ 1 ცენტ. სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქციაზე შრომითი დანახარჯები 1975—1978 წლებში შემცირდა (პროცენტობით): მარცვლეულის წარმოებაში 16,1, კარტოფილის — 28,7, ბოსტნეულის — 10,9, ხილის—22,3, ჩაის — 25,0, რძის— 5,9, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის — 26,2, თაფლის — 45,1.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შესაბამისი მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შრომითი დანახარჯი შემცირდა (პროცენტობით): სიმინდის წარმოებაში 8,9, თამბაქოს — 7,2, კარტოფილის — 7,3 ბოსტნეულის — 9,1 ყურძნის — 20,9 ჩაის — 21,8 ხილის — 27,3 რძის — 8,4 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატზე — 10,4.

საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქციის წარმოებაზე შრომითი დანახარჯების შედარებამ გვიჩვენა: მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში შემცირდა შრომითი დანახარჯები 1 ცენტ. სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქციაზე, აღნიშნული მდგომარეობა მაინც არაადამიკაყოფილებელია, რაც იმაში გამოიხატება, რომ აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში გაცილებით მეტი შრომა იხარჯება 1 ცენტ. სიმინდის, თამბაქოს, კარტოფილის, ბოსტნეულის ჩაის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის, თაფლისა და აბრეშუმის პარკის წარმოებაზე, ვიდრე საშუალოდ საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, რაც პროცენტებში შესაბამისად ასე გამოიხატება: 63,8; 31,6; 34,3; 53,8; 3,2; 41,5; 22,7; 38,5.

როგორც ცნობილია, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე სამუშაო დროის დანახარჯების შემცირება იწვევს. ამ დროს იზრდება წარმოებული პროდუქციის რაოდენობა მეურნეობაში დასაქმებულ ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე. აღნიშნული მაჩვენებლით განისაზღვრება როგორც შრომის ნაყოფიერების დონე, ასევე სამუშაო ძალის დასაქმებულობის ხარისხი.

1975—1978 წლებში აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 7,4%, ხოლო მემცენარეობის პროდუქცია — 9,7%. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობებში დასაქმებულ საშუალო წლიურ მუშაკთა რაოდენობის შემცირებას, მეცხოველეობის წარმოების შემცირების ტემპები უფრო მაღალი იყო, ვიდრე საშუალო წლიურ მუშაკთა რაოდენობის შემცირების ტემპი, რამაც განაპირობა ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის შემცირება 25,1%.

შრომის ნაყოფიერების ცვლილება სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებაზე შეიძლება დავახასიათოთ შრომის ნაყოფიერების ინდექსით.

$$J \text{ შრ. ნაყოფ.} = \frac{\sum t_0 x_1}{\sum t_1 x_1}, \text{ სადაც } t - \text{ არის შრომის დანახარჯები}$$

ცალკეული სახის პროდუქციაზე,  $g$  — ცალკეული სახის პროდუქციის რაოდენობა, ხოლო მოცემულ ფორმულაში მრიცხველისა და მნიშვნელის სხვაობა იძლევა იმ სამუშაო დროის ეკონომიკას  $\Delta t$ -ს, რომელიც მიიღება პროდუქციის მთლიანი მოცულობისათვის საანგარიშო წელს:  $\Delta t = \sum t_0 x_1 - \sum t_1 x_1$

$$\text{საიდანაც } i \text{ შრ. ნაყოფ.} = \frac{\sum t_0 g_1}{\sum t_1 g_1} = \frac{27346099}{23896263} = 1,44$$

რაც მიგვიითებებს იმაზე, რომ 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაიზარდა 14,4%-ით. დროის ეკონომია ამავე პერიოდში შეადგენდა  $\Delta t = \sum t_0 x_1 - \sum t_1 x_1 = 27346099 - 23896263 = 3445836$  კ(სთ.).

შრომის ნაყოფიერების ინდექსური გაანგარიშება აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში  
(1975—1978 წწ.)

პროდუქციის სახეები	შრომითი დანახარები 1 ცენტ. პროდუქციაზე კ/სთ		პროდუქციის მოცულობა საანგარიშო წელს ცენტ.	შრომითი დანახარები საანგარიშო წლის მთლიანი პროდუქციის მოცულობაზე კ/სთ	
	საბაზისო წელი t <sub>0</sub>	საანგარიშო წელი t <sub>1</sub>		საბაზისო წლის შრომის ნაყოფიერების დონესთან t <sub>0</sub> g <sub>1</sub>	საანგარიშო წლის შრომის ნაყოფიერების დონესთან t <sub>1</sub> p <sub>1</sub>
მარცვლეული (სიმინდი)	36	30	31914	11498,4	9582,0
თამბაქო	324,7	361	23486	7625904,2	8478446
ხილი	22,9	17,8	6627	6649,9	6644,8
ყურძენი	44,9	49,3	17005	763524,5	88346,5
ჩაი	42,5	31,9	381701	16222292	12176261
ძროხის წონა-მატრი	150,8	141,9	5431	820081	771202
რძე	18,9	16,1	97114	1835454,6	1553824
ლორი	163,6	167	371	60695,6	61457
ს უ ლ:				27346099	23896263

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების დონეზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან უპირველესად უნდა გამოვყოთ:

1. სამუშაო ძალის აღჭურვა წარმოების საშუალებებით, განსაკუთრებით შრომის იარაღებითა და ენერგეტიკული რესურსებით,

2. არსებული ტექნიკის მალამწწარმოებლური გამოყენება,

3. წარმოებისა და შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულყოფა (წარმოების კონცენტრაცია, შრომის კოოპერაცია, შრომის დანაწილება),

4. მუშაკთა კვალიფიკაციის ამალება,

5. მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის წარმოებაში დანერგვა,

6. მშრომელთა მატერიალური დაინტერესებულობის ამალება და სხვ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 1975—1978 წლებში აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულებაში. გადიდა თვითღირებულების დონე სოფლის მეურნეობის მთელ რიგ პროდუქტებზე, როგორც საშუალოდ აჭარაში, ასევე მასში შემავალ ხუთივე რაიონის კოლმეურნეობებში. მაგ., საშუალოდ რესპუბლიკაში 1 ცენტ. თამბაქოს თვითღირებულება გადიდა 19,2%, ყურძენის — 15,0%, ხილის — 7,4%, კარტოფილის — 4,6%, ციტრუსების — 1,2%, ჩაის — 3,0%, ბოსტნეულის — 8,0%, რძის — 6,6%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის — 22,3%, ლორის წონამატის — 21,0%, აბრეშუმის პარკის — 21%.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში იზრდება შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქციის წარმოებაზე, აქვე აღვიღო აქვს 1 ცენტ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულებაში.

1 ციფრობრივი მასალა აღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკური სტატისტიკური სამმართველოში კოლმეურნეობათა შესაბამისი წლების წლიური ანგარიშებიდან.

რებულების გადიდებას, რაც გაპირობებულია იმ გარემოებით, რომ აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში უფრო სწრაფი ტემპით იზრდება შრომის ანაზღაურება, ვიდრე შრომის ნაყოფიერება. მაგ., 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით, 1 ცენტ. კარტოფილის წარმოებაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 28,7%, შრომის ანაზღაურება კი — 30%-ით. ჩაის წარმოებაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა შესაბამისად — 10,9% და 15%. მარცვლეულის წარმოებაში — 10,1% და 50%. რძის წარმოებაში — 5,9% და 22,1%. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ, იმ დარგებში, სადაც შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი აღემატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად დიდდება.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში მემცენარეობის პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანახარჯები ხვედრი წონის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ყველაზე მაღალი ხვედრიწონით წარმოდგენილი არის შრომის ანაზღაურება, რაც 1975—1978 წლებში უდრიდა (პროცენტობით): მარცვლეულის წარმოებაში (სიმინდი)—1, 41, 6, 45, 4, 1, თამბაქოს წარმოებაში—66,5—62,8, ყურძნის წარმოებაში—59,6—53,7, ჩაის ფოთლის წარმოებაში—69,6—70,6, ხილის წარმოებაში—33,3—35,9, ხოლო დანახარჯები თესლსა და სარგავ მასალაზე მაღალია სიმინდის (33,3—22,7) და კარტოფილის (44,1—40, 2%) წარმოებაში. ორგანულ და მინერალურ სასუქებზე დანახარჯებს მაღალი ხვედრიწონა უკავიათ კარტოფილის (4,7—6,4%), ყურძნის (3,6—3,2%) და ხილის წარმოებაში, ხოლო შედარებით დაბალი თამბაქოსა (1,9—2,1%) და ჩაის ფოთლის წარმოებაში (2,5—1,9%).

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში მემცენარეობის ყველა დარგის პროდუქციის თვითღირებულებაში მნიშვნელოვნად მაღალი ხვედრიწონა უკავია საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯებს, რაც უდრიდა (პროცენტობით): სიმინდის წარმოებაში—16,6—13,6, თამბაქოს წარმოებაში — 11,6—11,3 ჩაის ფოთლის წარმოებაში — 12,6—14,0, ხოლო ხილის წარმოებაში — 12,2—13,2, ასევე მაღალია დანარჩენი ხარჯების ხვედრიწონა თამბაქოს (15,1—16,7), კარტოფილის (11,4—15,8), ყურძნის (16,0—20,9) და ხილის წარმოებაში (27,8—21,9).

სხვა ხარჯები როგორცაა: ავტოტრანსპორტი, ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია და ძირითად საშუალებათა მიმდინარე რემონტი, დაბალი ხვედრიწონით არის წარმოდგენილი მემცენარეობის პროდუქციის თვითღირებულებაში.

დარგების მიხედვით მემცენარეობის პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ თამბაქოს, კარტოფილის, ყურძნის თვითღირებულებაში თუმცა მაღალია შრომითი დანახარჯების ხვედრიწონა, მაგრამ შეიმჩნევა ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში ეს ხარჯები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ასევე მცირდება თესლისა და სარგავი მასალების, ავტოტრანსპორტის, ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის და ძირითად საშუალებათა მიმდინარე რემონტის ხარჯები. შედარებით იზრდება ორგანული და მინერალური სასუქების, დანარჩენი ხარჯების, საერთო-საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯების ხვედრიწონა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში თამბაქოს, კარტოფილის და ყურძნის წარმოებაში შედარებით ამაღლდა მექანიზაციის დონე, რამაც ცოცხალი შრომის დანახარჯების ეკონომია გამოიწვია, ამასთან, არსებული მანქანა-იარაღების მწარმოებლურმა გამოყენებამ შეამცირა ავტოტრანსპორტის ხარჯები. 1 ჰექტარ ნათესზე მარცვლეულის

(სიმინდის) მოსავლიანობის ზრდამ 13 ცენტ-დან 18 ცენტ-მდე და კარტოფილის მოსავლიანობის გაღებამ 52,9 ცენტ-დან 68,7 ცენტ-მდე განაპირობა თესლისა და სარგავი მასალების ეკონომია, შესაბამისად 31%-ით და 8,9%-ით.

მარცვლეულის წარმოებაში მექანიზაციის დონის ამაღლებამ და ცოცხალი შრომის დანახარჯების შემცირებამ, შესაბამისად განაპირობა საერთო სამეურნეო და საერთო საწარმოო ხარჯების შემცირება, ხოლო თამბაქოს და კარტოფილის წარმოებაში შრომითი დანახარჯების შემცირებამ არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ამ დარგში საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯების დონეზე, რაც აღნიშნულ პერიოდში თითქმის უცვლელი დარჩა. ხილისა და ჩაის ფოთლის წარმოებაში შრომის ანაზღაურების ზრდის პროპორციულად გადიდდა აღნიშნული ხარჯების ოდენობაც.

სხვა დანახარჯები, როგორც არის თესლი და სარგავი მასალები, მაღალია სიმინდისა და კარტოფილის წარმოებაში, რაც დარგის თავისებურებით არის გაპირობებული, 1975—1978 წლებში ეს ხარჯები შემცირდა შესაბამისად 31,9% და 8,9%. მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის ფართობი შემცირდა 10,3%-ით, ხოლო კარტოფილის — 0,9%-ით, 1 ჰა ფართობზე მოსავლიანობის ზრდამ განაპირობა სიმინდისა და კარტოფილის პროდუქციის წარმოების ზრდა 16,7% და 30,2%-ით.

აჭარის ასრ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებაში მაღალი ხვედრიწონით არის წარმოდგენილი შრომითი დანახარჯები, დანახარჯები საკვებზე, საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო, აგრეთვე სხვა დანარჩენი ხარჯები, ხოლო შედარებით დაბალი ხვედრიწონა უკავია ძირითად საშუალებათა ამორტიზაციას და ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტს.

დანახარჯების ასეთი დაჯგუფება მეცხოველეობის დარგის სპეციფიკობიდან გამომდინარეობს, რადგან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და ქათმის, როგორც სულადობრივი, ასევე წონამატის მისაღებად ძირითადი საკვებია, ამიტომ დანახარჯები მეცხოველეობაში როგორც თავის, ასევე ნაყიდ საკვებზე დიდი ოდენობით მოდის. დანახარჯები საკვებზე არა მარტო კველა დანახარჯზე უფრო მაღალი ხვედრიწონით არის წარმოდგენილი, არამედ ზრდითაც ხასიათდება. მაგ., რძის წარმოებაში 5,0%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატზე — 3,2%. აბრეშუმის პარკის წარმოებაში — 2,3%-ით, საკვებზე დანახარჯების შემცირება შეინიშნება ღორის წონამატის წარმოებაში 2,7%-ით.

საკვებზე დანახარჯების მაღალი ხვედრიწონა და ზრდის ტენდენცია მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ აჭარის ასრ კოლმეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა საკუთარი საკვებწარმოების განვითარებას, რის გამოც კოლმეურნეობებს დიდი რაოდენობის საკვების ყიდვა უხდებათ. ამავე დროს, კოლმეურნეობებში ადგილი აქვს დაბალი ყუათიანი საკვებით პირუტყვის გამოკვებას, რაც იწვევს ნორმით გათვალისწინებულზე მეტი საკვებერთეულის ხარჯვას. მეცხოველეობის პროდუქციის ზრდა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლება აჭარის ასრ კოლმეურნეობებში ძირითადად უნდა წარმართოს ადგილობრივ მინდვრად საკვებწარმოებისა და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მოსავლიანობის ამაღლების ბაზაზე, უხეში, წვნიანი და მწვანე საკვებზე მოთხოვნილება ძირითადად ადგილზე წარმოებული საკვებით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო

ნაწილი უნდა შეეცდოს გარედან შესყიდულის საფუძველზე. არა მარტო უნდა გაიზარდოს საკვების წარმოების მოცულობა, არამედ საჭიროა გაუმჯობესდეს მისი სტრუქტურული შემადგენლობა, გადიდდეს წვნიანი და მწვანე საკვების ხვედრიწონა და ამაღლდეს მონელებადი ცილების რაოდენობა საკვებ ერთეულზე. კოლმეურნეობებში ძირითადად საკუთარი, მაღალყუთიანი და კალორიული საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფა მინიმუმამდე შეამცირებს მასზე დანახარჯებს, რაც დადებითად იმოქმედებს მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

აჭარის ასრ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის დარგში მექანიზაციის დაბალ დონეზე მიუთითებს შრომითი დანახარჯების მაღალი ხვედრიწონა. მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობებში შრომითი დანახარჯები არა მარტო მაღალია, არამედ შეინიშნება მისი ზრდის ტენდენციაც, რაც პროცენტებში გამოხატული ტოლია: ღორის წონამატის წარმოებაში 4,7, თაფლის წარმოებაში 2,9, ხოლო შემცირება შეინიშნება რძისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის წარმოებაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საკვლევ პერიოდში მექანიზებულად სწარმოებდა პირუტყვის დარწყყლება, საკვების მიწოდება, ძროხების მოწველა, სადგომების გასუფთავება და სხვა სამუშაოები. დანარჩენი ხარჯები, საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯები შედარებით მაღალი ხვედრიწონით არიან წარმოდგენილი მეცხოველეობის თითქმის ყველა დარგის პროდუქციის თვითღირებულებაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დიდია შრომითი დანახარჯები მეცხოველეობაში, ამავე დროს ადგილი აქვს მეცხოველეობის დარგზე სხვა ხარჯების გადიდებული ოდენობით მიწერის ფაქტებს.

თვითღირებულების დონეზე მოქმედებს ესა თუ ის ფაქტორი. რძის თვითღირებულებაზე წარმოების დანახარჯებისა და პროდუქტიულობის გავლენის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასზე მოქმედებს, როგორც პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლება, ასევე წარმოების ხარჯების ზრდა, მაგრამ, რადგან რძის წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდის ტემპი ნაკლებია წარმოების ხარჯების ზრდის ტემპზე 3,1-ჯერ, ამიტომ პროდუქციის თვითღირებულების გადიდება 16,7% მეორე ფაქტორის (წარმოების ხარჯების) უპირატესმა ზრდამ განაპირობა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე თვითღირებულებას შემცირებას დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ყოველ საზოგადოებრივ მეურნეობას, მის ყოველ რგოლს გააჩნია თვითღირებულების შემცირების გამოუვლინებელი რეზერვები, რომელთა ამოქმედება მნიშვნელოვნად შეამცირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულებას.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მთავარი გზაა შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ეს ორი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი მჭიდრო კავშირით ერთმანეთთან. შრომის ნაყოფიერების ზრდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას უზრუნველყოფს იმ შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს შრომის ანაზღაურებისა და პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით მატერიალური დანახარჯების შემცირება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ზრდის ტემპს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ინტენსიფიკაცია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი პირობაა. კოლმეურნეობების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, მათი მინერალური და ორგანული სასუქებით უზრუნველყოფა, მიწების ირიგაცია და მელიორაცია, უხვმოსავლიანი ჯიშებით



მემცენარეობის დარგის უზრუნველყოფა და ფერმების მაღალპროდუქტიული პირუტყვით დაკომპლექტება მნიშვნელოვნად ამაღლებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ინტენსიფიკაციის დონეს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია მატერიალური დანახარჯების ეკონომია. მემცენარეობაში სათესლე მასალაზე დანახარჯების შემცირების ერთ-ერთი მთავარი გზა არის მოსავლიანობის ამაღლება. ამ უკანასკნელზე კი დიდ გავლენას ახდენს მინერალური და ორგანული სასუქების რაციონალური გამოყენება, ნიადაგის დროული დამუშავება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გატარება და სხვ.

მეცხოველეობაში მატერიალური დანახარჯების უდიდესი ნაწილი მოდის საკვებზე, რაც გაპირობებულია კოლმეურნეობებში მცირე საკუთარი საკვებწარმოებით და გარედან ნაყიდი საკვების საკმარისად მაღალი შესასყიდი ფასებით. აღნიშნული მიგვიითებებს კოლმეურნეობებში საკუთარი საკვებწარმოების დონის ამაღლების აუცილებლობაზე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რენტაბელობა სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალისტური საზოგადოების განვითარებისათვის. იგი საზოგადოებისათვის უზრუნველყოფს დაგროვებას, რომელიც საჭიროა წარმოების განუწყვეტელი და სწრაფი განვითარებისათვის.

1975 წელს აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში მემცენარეობის დარგებიდან რენტაბელური იყო თამბაქოს, თივის, ხილის, ციტრუსების, ყურძნის, ჩაისა და დაფნის წარმოება. 1978 წელს არარენტაბელური გახდა (მარცვლეულის, კარტოფილისა და ბოსტნეულის გარდა) ხილის, ყურძნისა და ტუნგოს წარმოება.

მეცხოველეობაში ყველა დარგი არარენტაბელურია. 1978 წელს 1975 წელთან შედარებით, ზარალის თანხა აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში 28,1%-ით გადიდა. მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობა მთლიანად და მემცენარეობის ზოგიერთი დარგი ზარალიანია, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში მაპროფილებელი დარგებიდან (თამბაქო, ციტრუსები, ჩაი, დაფნა) მიღებულმა მოგებამ საკვლევ პერიოდში უზრუნველყო რესპუბლიკის კოლმეურნეობის საშუალო რენტაბელობა, უნდა ითქვას ისიც, რომ რენტაბელობის ნორმა 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით 25,1%-დან 19,8%-მდე შემცირდა, მიუხედავად ამისა არსებული დონე მაინც არადაამკამყოფილებელია.

რენტაბელობის დონის ამაღლებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთა შორის საჭიროა გამოვყთ შემდეგი:

1. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება,
2. შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლება,
3. მემცენარეობაში საპექტარო მოსავლიანობის გადიდება და მეცხოველეობაში პროდუქტიულობის ამაღლება,
4. მთლიანი და საქონლური პროდუქციის მოცულობის ზრდა,
5. წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება,
6. ფულადი და მატერიალური სახსრების ხარჯვაში ეკონომიკის რეჟიმის განხორციელება,
7. მშრომელთა მატერიალური სტიმულირების გადიდება.

აღნიშნული ფაქტორებიდან ყველაზე მთავარია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და შრომის ნაყოფიერების ამაღლება. პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების შემცირება სისტემატურად შეიძლება თუ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები უფრო სრულად და ეკონომიურად გა-

მოიყენებენ ფულად, მატერიალურ და შრომით რესურსებს, გამოავლენენ ახალ რეზერვებს და ჩართავენ მათ სამეურნეო საქმიანობაში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რენტაბელობა დიდად არის დამოკიდებული წარმოებულ მთლიანი და საქონლური პროდუქციის რაოდენობაზე, მათ ხარისხზე, მთელ პროდუქციაში უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ჰვედრიწონის ზრდის მაჩვენებელზე. ეს უკანასკნელი გადამწყვეტია, რაც უფრო მაღალ-ხარისხოვანი პროდუქციის რეალიზაცია წარმოებს, მით უფრო მაღალია სახელმწიფო შესასყიდი ფასი და, აქედან გამომდინარე, რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები. ამიტომ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთავარი ამოცანაა მემცენარეობის დარგის მაღალმოსავლიანი ჯიშებით უზრუნველყოფა, ხოლო მეცხოველეობაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მაღალი წვევადობისა და მეხორციეობის პირუტყვის მოშენებას, რაც უხვი და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღების საფუძველია.

Л. Е. ДАТУНАШВИЛИ

## ПУТИ ПОВЫШЕНИЯ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ В КОЛХОЗАХ АДЖАРИИ

Резюме

Постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР от 27 сентября 1979 года «О мерах по увеличению производства южных и субтропических культур и дальнейшему ускоренному развитию сельского хозяйства в Грузинской ССР» ставит большую задачу перед сельским хозяйством республики.

В общем объеме производства таких профилирующих культур растениеводства Грузинской ССР, как чай, цитрусы и технические культуры, колхозы Аджарской АССР занимают значительное место; например, в 1978 году колхозы Аджарии произвели чая 13,7%, цитрусов — 64%, тунга — 18,9%, табака — 20% от всей производимой в колхозах Грузинской ССР одноименной продукции.

В 1978 году в объеме произведенной общественными хозяйствами автономной республики продукции на долю колхозов приходилось 68%.

В труде намечены пути увеличения объема валовой и товарной продукции, повышения урожайности культур растениеводства и продуктивности животноводства. На основе анализа основных экономических показателей намечены пути снижения себестоимости продукции, повышения производительности труда и рентабельности.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგრარულ პრობლემათა განყოფილებამ

### თენიზე ქავთარაძე

## სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის ზომიერობის საკითხი ოჩაჩიძის რაიონში

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ობიექტური აუცილებლობა არის, რადგან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების გადამწყვეტ პირობას, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება წარმოადგენს.

როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უპირველესი ამოცანა კვლავ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება არის.

იმისათვის, რომ პარტიამ წარმატებით გადაჭრას ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობლემა, კერძოდ, მიაღწიოს ქვეყნის საიმედო მომარაგებას სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, რისთვისაც მუდამ ჰქონდეს საკმაო რეზერვები და მერე სულ უფრო წინ იაროს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების გზით, საჭიროა სოფლის მეურნეობაში გატარებულ იქნეს ღონისძიებათა მთელი სისტემა.

„მთავარი ამოცანა, რომელსაც სოფლის მეურნეობას უსახავთ — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი 1978 წლის ივლისის პლენუმზე, — ის არის, რომ მივალწიოთ ყველა დარგის ყოველმხრივ დინამიკურ განვითარებას, სურსათითა და სოფლის მეურნეობის ნედლეულით ქვეყნის საიმედო მომარაგებას“.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური საფუძველი განუხრელად ვითარდება და მტკიცდება, მრავალდარგოვანი მეურნეობანი და კონცენტრაციის დაბალი დონე კოლმეურნეობებში აფერხებენ, როგორც მემცენარეობის, ისე შეცხოველობის ინდუსტრიულ საფუძველზე განვითარებას, ამცირებენ დანახარჯების ეფექტიანობას და სერიოზულად აბრკოლებენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში. საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების პროცესში სულ უფრო და უფრო მკაფიოდ შეინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობა სწრაფად განვითარებად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და მისი მრავალდარგოვანი მეურნეობების მიერ რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას შორის. ის დაბრკოლება, რომელსაც მრავალდარგოვანი მეურნეობა უქმნის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ტექნიკურ პროგრესს სოფლის მეურნეობაში შეიძლება დაძლეულ იქნეს სამეურნეობათაშორისო კოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ფართოდ განვითარების ბაზაზე.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ახლანდელ პროცესს, რომელიც ვითარდება სამეურნეობათაშორისო კოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე, უწინარეს ყოვლისა, ახასიათებს ის,

რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებრივი ფონდები ერთიანდება მსხვილი ინდუსტრიული ტიპის სასაქონლო საწარმოს შესაქმნელად. სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებათა საფუძველზე წარმოქმნილი კონცენტრაცია ხელს უწყობს სპეციალიზაციის გაღრმავებას, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების საფუძველზე განვითარებული კონცენტრაცია იწვევს ძირეულ ცვლილებებს მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში, კოლმეურნეობრივ-საბჭოთა მეურნეობრივ საწარმოთა მასშტაბების გაფართოებას, დარგათაშორის ურთიერთობათა ახალი ფორმების წარმოშობას. იგი, ერთსა და იმავე დროს, იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას და ისეთი სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, როგორცაა საკოლმეურნეო წარმოების განსაზოგადოების დონის ამაღლება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოება, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით აღმოფხვრა და სხვ.

ცნობილია, რომ როგორც ქვეყნის მასშტაბით მთლიანად, ისე ცალკეულ რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში, მიუხედავად იმისა, ადგილი აქვს თუ არა სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებათა წარმოქმნა-განვითარებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ საქმე გვაქვს მრავალდარგიანობასთან მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებით. ამასთან ერთად, ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებსაც ახასიათებს რამდენიმე ძირითადი და დამატებითი დარგის განვითარება, ანუ ეგრეთწოდებული მრავალდარგიანობა, რადგან მეურნეობის მონოკულტურული ხასიათი ხელსაყრელი არ არის არც მიწის და არც შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.

ვიწრო ხასიათის სპეციალიზაცია უპირატესად მიზანშეწონილია და ფეხს იკიდებს მეცხოველეობაში, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა დარგის განვითარება უშუალოდ მიწის გამოყენებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, მეფრინველეობაში არის ისეთი შემთხვევები, როცა ვიწრო სპეციალიზაცია მალაღებეჭტიანობით მემცენარეობაშიც გამოიყენება. მაგალითად, მევენახეობაში, მეხილეობაში, მემარცვლეობაში და სხვ.

სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა განვითარების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მის სამეურნეო ფუნქციებში წამყვან როლს ასრულებს არა წარმოების ტექნიკური მომსახურების ძალებისა და საშუალებების განვითარება, არამედ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო დარგებისა და კულტურების პროდუქციის წარმოებისა და გადაამუშავების სფეროთა ურთიერთდაკავშირება.

ამ ასპექტში ჩვენ განვიხილეთ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების საკითხები ოჩამჩირის რაიონში სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებათა ბაზაზე.

ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების მიხედვით აფხაზეთის ასსრ რაიონები, მათ შორის ოჩამჩირის რაიონიც მიეკუთვნებიან სუბტროპიკული კულტურების წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონას.

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ოჩამ-

ჩირის რაიონს. 1978 წლის დასაწყისისათვის ოჩამჩირის რაიონში იყო 20 კოლმეურნეობა, 7 საბჭოთა მეურნეობა და 5 სამეურნეობათაშორისო საწარმო, მათ შორის 3 მეცხოველეობის მიმართულების.

1977 წლის მონაცემებით ოჩამჩირის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ხვედრითი წონა, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში, უდრის: ჩაის წარმოების 37,5%, თამბაქოს — 18,1%, ხორცის — 27,7%, რძის — 14,4%, კვერცხის — 34,9%.

1977 წელს ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობების ძირითად ფონდებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ხვედრითი წონა შეადგენდა 90,5%, არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდებისა კი — 2,2%, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითად საწარმოო ფონდებში ხვედრითი წონა უდრის: მემცენარეობისა — 64,6%, მეცხოველეობის — 12,8%, საერთო დანიშნულების კი — 22,6%.

1975—1977 წლების მონაცემებით, რაიონის კოლმეურნეობების სასაქონლო პროდუქციაში მემცენარეობის ხვედრითი წონა შეადგენდა 94,1% (აქედან, მეჩაიეობის პროდუქციისა — 76,1%, მეთამბაქოეობისა — 17,5%, კარტოფილისა და ბოსტნეულის — 0,5%), ხოლო მეცხოველეობისა კი — 5,9%. მეცხოველეობის საქონლურ პროდუქციაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილი იყო მსხვილფეხა რქოსანი მეცხოველეობა (59,6%).

განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომლებმა ბოლო ორ წელიწადში. მაგალითად, 1977 წელს, 1975 წელთან შედარებით, ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში მთლიანი შემოსავალი ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 26,5%-ით გაიზარდა, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში კი — 10,9%; ყოველ 100 ჰა სახნავზე შესაბამისად — 33,7% და 4,4%; გამომუშავებულ ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით კი 17,2% და 5,7%; რენტაბელობის ნორმა რაიონის კოლმეურნეობებში გაიზარდა 24,2%-დან (1975 წ.) 28,1%-მდე (1977 წ.) მაშინ, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში 24,0%-დან (1975 წ.) 20,2%-მდე (1977 წ.) შემცირდა.

ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობები გამოირჩევიან ფონდუკუების მაღალი დონით. 1975 და 1977 წლებში ყოველ 100 ზანეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითად ფონდებზე საშუალოდ იწარმოებოდა 77 და 99 მანეთის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, რაც 2,6% და 29,3%-ით აღემატებოდა აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობების შესაბამისი წლების მაჩვენებელს.

1977 წელს, 1975 წელთან შედარებით, ოჩამჩირის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორცის წარმოება გაიზარდა 31,0%, კვერცხისა — 30,6%. აღნიშნულ პერიოდში, ერთ ძროხაზე რძის მონაწველი გაიზარდა 1002 კგ-დან (1975 წ.) 1025 კგ-მდე (1977 წ.), სუქებაზე დაყენებული პირუტყვის ცოცხალი წონა — 234 კგ-დან (1975 წ.) — 372 კგ-მდე (1977 წ.), ღორის — 6 კგ-დან 85 კგ-მდე; სახელმწიფოზე მიყიდული ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცოცხალი წონა გადიდა 209 კგ-დან 224 კგ-მდე, ხოლო ღორის 83 კგ-დან 98 კგ-მდე.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, მეცხოველეობის დარგი, ოჩამჩირის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, კვლავ ზარალიანია და იგი კი არ მცირდება, არამედ საგრძნობლად იზრდება. რაიონის კოლმეურნეობებ-

მა მეცხოველეობის დარგიდან 1975 წელს იზარალა 130 ათასი მანეთი, 1977 წელს კი 768 ათასი მანეთი, 1977 წლის მონაცემებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოების ზარალიანობის დონე 58,9% შეადგენდა, ძროხის რძისა — 53,2%, ხოლო ღორის ხორცისა კი — 43,2%.

საზოგადოებრივ მეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის ანალიზით ირკვევა, რომ 1977 წელს 1 ც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის თვითღირებულება შედარებით დაბალი იყო მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (137,85 მანეთი) და მოქვის „ჯალის“ კოლმეურნეობაში (212,0 მანეთი), ხოლო მალალი — კოჩარას „საქართველოს“ სახელობის კოლმეურნეობაში (763,2 მანეთი) და მეცხოველეობის სამეურნეობათაშორის კომპლექსში (972,8 მანეთი) ანუ 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ.

მეცხოველეობის პროდუქტების მალალი თვითღირებულება განპირობებულია საკვების დანახარჯების მალალი ხვედრითი წონით. მაგალითად, 1977 წელს რაიონის კოლმეურნეობებში 1 ც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის თვითღირებულებაში საკვების დანახარჯებმა შეადგინა 62,5%, ღორის წონამატის თვითღირებულებამ კი — 61,4%.

თუ რამდენად დიდია საკვების დანახარჯები საზოგადოებრივ მეცხოველეობაში, ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: 1977 წელს 1 ც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის რეალიზაციის ამონაგები შეადგენდა 147 მანეთს, ხოლო ნაყიდი და საკუთარი წარმოების საკვების დანახარჯები — 200 მანეთს, ღორის ხორცის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები უდრიდა 183 მან, საკვების ხარჯები — 326 მანეთს.

მეცხოველეობის პროდუქციის მალალი თვითღირებულება განპირობებულია:

1) საკუთარი წარმოების საკვების მალალი თვითღირებულებით. მაგალითად, 1977 წელს ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში 1 ც მრავალწლიანი ბალახების თივის თვითღირებულება შეადგენდა 3,92 მანეთს, რაც სახელმწიფო შესყიდვის ფასს აღემატებოდა 67,5%-ით, ერთწლიანი ბალახების თივის ღირებულება კი — 10,74 მანეთს, ანუ სახ. შესყიდვის ფასს 8,3-ჯერ მეტს. საკვები ძირნაყოფების თვითღირებულება უდრიდა 5,14 მანეთს, რაც 9-ჯერ და მეტად აღემატებოდა სახელმწიფო შესყიდვის ფასს.

2) პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე ნორმის ზევით საკვების გადახარჯით. მაგალითად, 1977 წელს 1 ც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის წარმოებაზე დაიხარჯა 17,2 ც საკვები ერთეული, ნაცვლად ზოოტექნიკური ნორმით გათვალისწინებული 12 ც საკვები ერთეულისა, ღორის ხორცის წარმოებაზე — 24 ც საკვები ერთეული, ნაცვლად 8,4 ც-ის, რძის წარმოებაზე — 2,9 ც, ნაცვლად 1,8 ც საკვები ერთეულისა.

3) მოხმარებულ საკვებში ნაყიდი საკვების მალალი ხვედრითი წონით. მაგალითად, 1977 წელს ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობრივ მეცხოველეობაში მთლიანად მოხმარებულ საკვებში ნაყიდი საკვების ხვედრითი წონა 28% შეადგენდა.

4) ფერმების მცირე მოცულობით. მაგალითად, 1977 წელს ოჩამჩირის რაიონის ერთ საზოგადოებრივ მეურნეობაზე მოდიოდა 240 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, მათ შორის, ძროხა — 65, მაშინ, როდესაც აღნიშნული

მაჩვენებელი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეადგენდა საშუალოდ 623 და 181 სულს. მცირე ზომის ფერმებში მეტისმეტად დაბალია შრომატევადი პროცენტების მექანიზაციის დონე და სხვ.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სადღეისო ამოცანაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე დამუშავდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, გაერთიანებისა და კომპლექსის მეცნიერულად დასაბუთებული გადაადგილების და ოპტიმალური ზოძების სქემა სპაროექტო დავალების დონეზე. როგორც ცნობილია, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა შექმნა მიზნად ისახავს პროდუქციის წარმოების არა მარტი ზრდას, არამედ გაიადფებას, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის გადიდებას. სამწუხაროდ, ოჩამჩირის რაიონში სამეურნეობათაშორისო გაერთიანებები ჭერაჭერობით მიზანს ვერ აღწევენ. მაგალითად, 1977 წელს 1 ც. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის თვითღირებულება ოჩამჩირის სამეურნეობათაშორისო საწარმოში (კომპლექსში) 1,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საშუალოდ რაიონის კოლმეურნეობებში, რაც მეტად შემამშფოთებელი ფაქტია.

საჭიროა აღნიშნული საწარმოო გაერთიანების მუშაობის ორმა ეკონომიკური ანალიზი და გადაუდებელი კონკრეტული ღონისძიებების დასახვა ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისათვის.

შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში ჩაის, ციტრუსების, ეთერზეთების, ტუნგოს, კეთილშობილი დაფნის, ყურძნის, ხილისა და სხვა ძვირფასი ნედლეულის წარმოებით საქართველოს წამყვანი ადგილი უკავია. საჭიროა ამ ასპექტით განვიხილოთ ოჩამჩირის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები და გავარკვიოთ როგორია მისი გადაჭრის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები.

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებითი მრეწველობის ორგანული შერწყმისათვის, უწინარეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ოჩამჩირის რაიონში მეჩაიეობის აგროსამრეწველო გაერთიანების ფორმირება მეჩაიეობის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკების საფუძველზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების შენარჩუნებით. აღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობდა გაერთიანებაში შემავალ საწარმობთა სპეციალიზაციის გაღრმავებას, ნედლეულისა და გადამამუშავებული პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, მონაწილე მეურნეობების ეკონომიკური ღონის გამოთანაბრებას.

ოჩამჩირის რაიონში ეთერზეთების ნედლეულის წარმოებისა და გადამამუშავების დარგში ტამიშის მეურნეობა—ქარხნისა და ორი საბჭოთა მეურნეობის (მერკელისა და მოქვის) ბაზაზე შექმნილია ეთერზეთების ტერიტორიული აგროსამრეწველო გაერთიანება, სადაც წარმოების დაგეგმვა, დაფინანსება, მოგების ვანაწილება და ფონდების გამოყოფა ცენტრალიზებულია, ხოლო მასში შემავალი საბჭოთა მეურნეობები მუშაობენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ერთეულების სახით. გეგმის შესრულების მონაცემები ცხადყოფენ, რომ ბოლო წლებში იქ მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

1977 წელს ოჩამჩირის ეთერზეთების აგროსამრეწველო გაერთიანებაში მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა 104% (გამომუშავებული იქნა 592 ათასი მანეთის პროდუქცია), საქონლური პროდუქციის წარმოე-

ბის გეგმა — 108,5%, კერძოდ, რეალიზებული იქნა 774 ათ. მანეთის პროდუქცია ნაცვლად გეგმიური 713 ათასი მანეთისა.

გაერთიანებამ 1977 წელს აწარმოა 5888 კგ. ეთეროვანი ზეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5240 კგ-ისა.

საქონლური პროდუქციის თვითღირებულება გეგმიურ თვითღირებულებასთან შედარებით 13 ათასი მანეთით შემცირდა

აღნიშნული წარმატებების მიუხედავად ტამიშის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს აგარაულ-სამრეწველო ინტეგრაციის მოთხოვნებს. კერძოდ, იგი არსებითად არ წარმოადგენს სპეციალიზებულ აგრო-სამრეწველო საწარმოს, რის გამოც მასში ძირითადი დარგის სიდიდე ობტინალურ ფარგლებს მიღწეული არ არის. საკმარისია აღინიშნოს, რომ აღნიშნული გაერთიანების სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქტიაში ეთერზეთების ნედლეულის ხვედრით წონას 29% (1977 წ.) უკავია. აგროსამრეწველო ინტეგრაციის საქმიანობის ერთგვარი დადებითი შედეგები მოპოვებულია იმით, რომ ნედლეულის წარმოების ზარალიანობას ნაწილობრივ ფარავს გადამამუშავებელი მრეწველობა. ასე მაგალითად, 1977 წელს ტამიშის ეთერზეთების ქარხანა — მეურნეობაში სოფლის მეურნეობიდან გამოწვეულმა ზარალმა 364,8 ათასი მანეთი, ხოლო გადამამუშავებელი საწარმოებიდან მიღებულმა მოგებას კი 208 ათასი მანეთი შეადგინა. იმისათვის, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაც რენტაბელური იყოს, საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს გაღრმავებული სპეციალიზაცია და შესაძლებლობის ფარგლებში მეურნეობების გამსხვილებაც, რათა სოფლის მეურნეობაც გადაყვანილ იქნეს სამრეწველო საწყისებზე.

რაიონში არაღუს მერქვევობა-მეზოსტენობის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე შექმნილია აგარაულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, სადაც ვარკვეული ნაბიჯია გადადგმული ხილბოსტენულის წარმოება-გასაღების დარგში შუალედური რგოლის (დამზადების) ლიკვიდაციისა და „მინდორმაღაზის“ პრინციპით ვაჭრობის განვითარებისათვის. აღნიშნული საწარმოო არ წარმოადგენს სრული ფორმის აგროსამრეწველო გაერთიანებას, რადგან გაერთიანებაში წარმოებული პროდუქციის ნაწილის გადამამუშავება არ სწარმოებს ცეკავშირის კვების მრეწველობის განყოფილებასთან დაქვემდებარებულ ოჩამჩირის საკონსერვო ქარხნის მიერ.

აღნიშნული გაერთიანების ნაცვლად პერსპექტივაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგროსამრეწველო გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომელსაც დაუქვემდებარდება რაიონში არსებული მეზოსტენობის სპეციალიზირებული მეურნეობები, დახურული გრუნტის სასაბჭოთაო მეურნეობა, მაიკერები, შესაძლებელია ბაზები, ბოსტნეულ-ბალჩიულთ ვაჭრობის ობიექტები და საკონსერვო ქარხნები.

ოჩამჩირის რაიონის საზოგადოებრივი მეცხოველეობის სპეციალიზაციის გაღრმავებისა და კონცენტრაციის დონის შემდგომი ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტადიური სპეციალიზაციის გატარება. კერძოდ, ქლოუს საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის კომპლექსში, სადაც ამჟამად 100 სული მეწველი ძროხაა, მერქვეული პირუტყვის რაოდენობა უნდა გაიზარდოს 400 სულამდე. ამასთან ერთად, მოზარდის გამოზრდისაგან უნდა განთავისუფლდეს და მხოლოდ რძის წარმოებაზე დასპეციალდეს სოფელ ბესლახუბას მახარაძის სახელობის, სოფელ ილორის „კომკავშირის“ და სო-



ფელ კოჩარას საქართველოს სახელობის კოლმეურნეობები, მათ მეძროხეობის ფერმებში მეწველი ფურების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 200 სულამდე, ხოლო კოჩარას საქართველოს სახელობის კოლმეურნეობაში — 100 სულამდე.

როგორც ცნობილია, მეცხოველეობის გაერთიანებისათვის სათანადო საკვები ბაზაა საჭირო. ჭლოუს მეცხოველეობის კომპლექსისათვის სათანადო საკვები ბაზის შექმნის მიზნით საჭიროა მისზე მიმაგრებული 137 ჰა მიწის ფართობი გადიდდეს 350—400 ჰა-მდე. ლენინის სახელობისა (80 ჰა) და ჭლოუს კოლმეურნეობათა (120 ჰა) მიწის ფონდების ანგარიშზე, ათვისებული მიწის ფართობებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკვები კულტურების სტრუქტურის გაუმჯობესებას, შუალედური კულტურების თესვა-მოყვანას; სასილოსე მასის გადიდების მიზნით კი სოიანარევი სიმინდის ნათესების გაფართოებას.

მეღორეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებას, რომელსაც ამჟამად 20 ჰა მიწის ფართობი უჭირავს, წინასწარ აგრომელიორაციული ღონისძიებების გატარების საფუძველზე შეუძლია გაიზარდოს 120 ჰა ფართობამდე.

აღნიშნული ფართობის გამოყოფა უნდა განხორციელდეს მოქვის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობისა (60 ჰა) და არაღუს მერძევეობა—მებოსტნეობის (40 ჰა) მიწის ფონდების ანგარიშზე. საწარმოო გაერთიანებათა უნრავლეობაში საკვებით უზრუნველყოფის საკითხი არ არის სათანადოდ მოგვარებული. გაერთიანებების მომარაგება საკვებით მეზაიე ორგანიზაციების მიერ წარმოებს. ამ ოპერაციით მეზაიე ორგანიზაციები ზარალდებიან, ვინაიდან საკვების წარმოება მათ ძვირი უჯდებადათ, ხოლო საწარმოო გაერთიანებები კი ჩატარებულ საკვების ღირებულებას მათ სახელმწიფო შესყიდვის ფასით უნაზღაურებენ.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირველ ეტაპზე ოჩამჩირის რაიონის „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებასთან შეიქმნას ერთი ან ორი კომპლექსური საკვებწარმოების ბრიგადა, ხოლო პერსპექტივაში საკვებწარმოების დამოუკიდებელი საწარმოო გაერთიანება, რომელსაც დაევალება მეცხოველეობის გაერთიანებათა უზრუნველყოფა სათანადო რაოდენობის შემზადებული (უხეში, წვნიანი, კომბინირებული, გრანულირებული) საკვებით; კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კი საკუთარი წარმოების საკვების ნაჭარბს მიჰყიდონ საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის გაერთიანებებს.

სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებსა და მათ მეზაიე ორგანიზაციებს შორის მოზარდი პირუტყვისა და საკვების შესყიდვასთან დაკავშირებული ურთიერთ ანგარიშსწორების მოგვარების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საანგარიშსწორებო ფასების დაწესება, რომელიც უზრუნველყოფს მეზაიე ორგანიზაციებისათვის ამ ოპერაციებთან დაკავშირებული ნორმალური მოგების მიღებას.

ამჟამად, რესპუბლიკაში ბევრი მეზაიე ორგანიზაცია გაერთიანებებს აბარებს 20 დღის ასაკის ხზორებს სახელმწიფო შესყიდვის ფასით, რითაც ისინი დიდ ზარალს ნახულობენ. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით კარგი იქნებოდა თუ ვისარგებლებდით და პრაქტიკაში დაენერგავდით ვორონეჟის ოლქის მეღორეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება „ველიკი ოქტიბარის“ გამოცდილებას. იგი მეზაიე კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობები-

დან ღორის გასასუქებელ კონტრიგენტს იღებს დიფერენციული ფასით. 25 კგ-მდე წონის მოზარდისათვის 1 ცენტნერ ცოცხალ წონაზე უხდის 228 მანეთს, 26—30 კგ-მდე მოზარდისათვის 214 მანეთს და 30 კგ-ზე ზევით მოზარდისათვის 196 მანეთს. გარდა ამისა 1 ცენტნერი წონამატის წარმოებისათვის მეპაიე მეურნეობა ვალდებულია ჩააბაროს 6 ც საკვები ერთეული სახელმწიფო შესყიდვის ფასით.

ოჩამჩირის რაიონში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სრულყოფასთან დაკავშირებული მუშაობა ყველა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ უნდა გაიშალოს. ამისათვის კი საჭიროა გამოიყოს სათანადო კომისიები, რომლებიც ამ საქმეს ადგილებზე უხელმძღვანელებენ.

არ უნდა დაგვევიწყდეს, რომ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ახლავე, ყველა დარგის წარმოებამ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გადაინაცვლოს სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და გაერთიანებებში. რა თქმა უნდა, ეს მეტად მცდარი მიმართულებაა. პირიქით, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის განვითარების პარალელურად უნდა ხდებოდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება, მათი სპეციალიზაციის გაღრმავება, წარმოების მასშტაბების გაფართოება და ამ ნიადაგზე თითოეული დარგის კონცენტრაციის დონის ამაღლება.

Т. П. КВТРАДЗЕ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПЕРЕВОДА СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ОЧАМЧИРСКОГО РАЙОНА НА ИНДУСТРИАЛЬНУЮ ОСНОВУ

Резюме

В статье рассмотрено современное состояние экономики сельского хозяйства Очамчирского района и экономические закономерности его развития. Изучена отраслевая структура сельского хозяйства, динамика и структура основных фондов, а также валовая и товарная продукция.

Значительное место уделено вопросам изучения экономики колхозов, совхозов и межхозяйственных объединений, удельного веса Очамчирского района в общем хозяйственном объеме Абхазской АССР.

На основе анализа современного состояния сельского хозяйства изысканы неиспользованные резервы повышения эффективности производства, разработаны перспективы и намечены пути дальнейшего развития сельского хозяйства Очамчирского района на промышленной основе.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგარულ პრობლემათა განყოფილებამ

### თინათინ ქურაძე

#### ბრუნვის გადასახადის არსის საკითხისათვის

მოცემული საგნის ან მოვლენის არსის განხილვა ნიშნავს მისი არსებითი ნიშნების გამოყოფას არაარსებითი ნიშნებისაგან. ამიტომ, სოციალისტური სახელმწიფოს ბრუნვის გადასახადის ცნების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, პირველ ყოვლისა, განვსაზღვროთ მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

ბრუნვის გადასახადის განსაზღვრავად საბჭოთა ფინანსურ ლიტერატურაში მოცემულია სხვადასხვა განმარტებები, რომლებიც ამა თუ იმ ნიშანს აყენებენ პირველ პლანზე. მაგალითისათვის მოვიტანოთ რამდენიმე განმარტება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. პ. დიაჩენკოს განმარტებით, „ბრუნვის გადასახადი არის სოციალისტური საზოგადოების ფულადი დაგროვების ნაწილი, რომელიც წინასწარ მტკიცედაა ფიქსირებული საქონელთა გეგმურ ფასებში, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ცენტრალიზებული შემოსავალი და ბიუჯეტში შემოდის საქონლის რეალიზაციის შესაბამისად“<sup>1</sup>.

დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ბრუნვის გადასახადი განმარტებულია შემდეგნაირად: „სსრ კავშირის ბრუნვის გადასახადი წარმოადგენს წმინდა შემოსავლის ნაწილს, რომელიც შექმნილია მატერიალური წარმოების დარგის მუშაკთა შრომით საზოგადოებისათვის, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდის (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა) დაგროვებისა და შექმნის მიზნით“<sup>2</sup>.

ენობილი ფინანსისტი ვ. ვ. ლავროვი იძლევა შემდეგ განმარტებას: „ბრუნვის გადასახადი — უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ინსტრუმენტია სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის განხორციელებაში. ის საზოგადოების წმინდა შემოსავლის ღირებულების ნაწილია, რომელიც გეგმურად არის გათვალისწინებული და მტკიცედ დადგენილი ოდენობით შედის იმ საქონლის ფასში, რომელიც პროდუქციის რეალიზაციის კვალობაზე გადადის სოციალისტური სახელმწიფოს ე. ი. ბიუჯეტის ფინანსური რესურსების ცენტრალიზებულ ფონდში“<sup>3</sup>.

აქვე შეიძლება მოვიტანოთ პროფ. ი. დ. ზლობინის განმარტებაც: „ბრუნვის გადასახადი სსრ კავშირში — საწარმოთა ფულადი დაგროვების ნაწილია,

<sup>1</sup> Финансово-кредитный словарь, часть II, 1964, с. 71—73.

<sup>2</sup> Большая Советская Энциклопедия, т. 29. с. 80—81.

<sup>3</sup> Финансы и кредит СССР под редакцией проф. В. В. Лаврова. М., «Финансы», 1977. с. 151—153.

რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს შემოსავლად იქცევა მოგების გეგმის ფაქტიური შესრულების შესაბამისად<sup>4</sup>.

ა. სუჩკოვი განმარტავს: „ბრუნვის გადასახადი არის სოციალისტურ მეურნეობაში შექმნილი ზედმეტი პროდუქტის ნაწილი, რომელიც განსაზღვრული ოდენობით შედის საქონელთა ფასში და ამდენად გადადის ბიუჯეტში, სახელმწიფოს უშუალო განკარგულებაში“<sup>5</sup>.

ქართულ სახელმძღვანელოში მოტანილია ასეთი განმარტება: „ბრუნვის გადასახადი წარმოადგენს სოციალისტურ მეურნეობაში შექმნილი წმინდა შემოსავლის ნაწილს, რომელიც საქონლის ფასის შემადგენელ ელემენტად გვევლინება და სახელმწიფო ბიუჯეტში შედის მტკიცედ დადგენილი ოდენობით“<sup>6</sup>.

თუ დავეუკირდებით ამ მოცემულ განმარტებებს შევნიშნავთ, რომ ავტორთა უმრავლესობა ბრუნვის გადასახადს განმარტავს როგორც ნაციონალური შემოსავლის ნაწილს, როგორც სოციალისტური საზოგადოების ფულადი დაგროვების ნაწილს, როგორც წმინდა შემოსავლის ნაწილს, სოციალისტურ მეურნეობაში შექმნილი ზედმეტი პროდუქტის ნაწილს.

ბრუნვის გადასახადის ეს ნიშანი მეტ-ნაკლებად ერთნაირად არის მოცემული. სოციალისტური ფულადი დაგროვება და სოციალისტური სახელმწიფოს წმინდა შემოსავალი დაახლოებით ერთი და იგივე ცნებაა. სოციალური სახელმწიფოს წმინდა შემოსავლიდან მიიღება სოციალისტური მეურნეობის ფულადი დაგროვება და სოციალისტური მეურნეობის დაგროვება არის ზედმეტი პროდუქტის ნაწილი, რაც წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს წმინდა შემოსავალს.

ბრუნვის გადასახადის მეორე ნიშანია ამ გადასახადის საქონლის ფასთან დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხზე ვ. პ. დიაჩენკო ამბობს, რომ ბრუნვის გადასახადი არის საქონლის ფასის შემადგენელი ელემენტი. ასეთივე აზრისაა ვ. ვ. ლავროვი, რომელიც უმატებს, რომ ეს ელემენტი ვათვალისწინებულია გეგმურად. ამასვე იმეორებს ა. სუჩკოვი. ფ. მასარიგინი კი აღნიშნავს, რომ ფასის ეს შემადგენელი ნაწილი გადადის სახელმწიფო ბიუჯეტში ვაჭრობის არხის მეშვეობით, ე. ი. ფასების საშუალებით. იგივე აზრია გამოთქმული ქართულ სახელმძღვანელოში.

ბრუნვის გადასახადის მესამე ნიშნად შესაძლებელია დავსახოთ მისი გადანაწილებით მეთოდად გამოყენება. ასეთი აზრი გამოთქმული აქვს ფ. მასარიგინს, რომელიც ამბობს, რომ ბრუნვის გადასახადით ხდება აუცილებელი პროდუქტის ღირებულების გადანაწილება, არაპირდაპირი გზით. დანარჩენი ავტორები საერთოდ არ იხსენიებენ სიტყვა გადანაწილებას, მაგრამ რასაკვირველია, გულისხმობენ, რომ ის სოციალისტური მეურნეობის ფულადი დაგროვების ან სოციალისტური სახელმწიფოს წმინდა შემოსავლის ნაწილია.

მეოთხე ნიშანი იქნება თუ რომელ ფონდს მიეკუთვნება ბრუნვის გადასახადი ცენტრალიზებულსა თუ დეცენტრალიზებულს. ეს ზოგიერთ ავტორს მოხსენებული აქვს, ზოგიერთი კი მას მხოლოდ გულისხმობს, რომ იგი სახელმწიფო ბიუჯეტში გადადის ე. ი. ცენტრალიზებულ ფონდს ეკუთვნის.

<sup>4</sup> „სსრ კავშირის ფინანსები“. ავტორთა კოლექტივი. პროფ. ი. დ. ზლობინის ხელმძღვანელობით. თსუ, 1977. გვ. 249—252.

<sup>5</sup> А. Сучков, Я. Свидаерский, В. Паевский. «Государственные доходы СССР». Госфиниздат. 1960. с. 25—31.

<sup>6</sup> სსრ კავშირის ფინანსები და კრედიტი. ავტორთა კოლექტივი, პროფ. ვ. ჩანტლაძის ხელმძღვანელობით. თსუ, 1970.

ბრუნვის გადასახადის არსს რასაკვირველია განსაზღვრავს სოციალისტური საზოგადოების ბუნება და ის ფუნქციები, რომლებიც სოციალისტურ სახელმწიფოს გააჩნია საქონლურ-ფულადი ურთიერთობისა და ღირებულების კანონის სახით.

ვ. ვ. ლავროვის აზრით, ბრუნვის გადასახადი არ ეკუთვნის ფასწარმოქმნის ფაქტორს და ამიტომ ფასის ელემენტებში არ შედის; მისივე აზრით, ოგი არც საქონლის ფასის წანამატს წარმოადგენს. ეს გარემოება აპირობებს იმას, რომ სოციალიზმის პირობებში ბრუნვის გადასახადი არ არის გადასახადი ნამდვილი აზრით. ბრუნვის გადასახადი, როგორც ზედმეტი პროდუქტის ნაწილი, შედის პროდუქციის ღირებულებაში.

უკანასკნელ ხანებში სწრაფი ტემპით იზრდება შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მიიღება მოგების სახით, ბრუნვის გადასახადი კი, რომელიც წინათ სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარს შეადგენდა ახლა მის მხოლოდ 1/3 არ აღემატება.

საზოგადოების წმინდა შემოსავალი იქმნება მატერიალური წარმოების ყველა დარგში და შეადგენს ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის ნაწილს. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში შექმნილი შემოსავლის ნაწილი, ფასთა მექანიზმის საშუალებით, თავს იყრის ზოგერთ დარგში და ხდება ნაციონალური შემოსავლის ისეთი გადანაწილება, რომელიც ამოიღება ბრუნვის გადასახადის საშუალებით.

ბრუნვის გადასახადის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს რენტაბელობის რეგულირება, განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც მაღალია რენტაბელობის დონე. უმთავრესად კი ისეთი ფაქტორები, რომლებიც საწარმოსაგან დამოკიდებულნი არ არიან. გარდა ამისა, დიდია ბრუნვის გადასახადის როლი მაღალი ხარისხის საქონლის წარმოების სტიმულირებაში. ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნეს იმით, რომ განსაზღვრული ვადით და დროით ბრუნვის გადასახადის დაბეგრისაგან ანთავისუფლებენ ახალ საქონელთა გარკვეულ ჯგუფს, რომელთაც ფართო მოხმარების დანიშნულება აქვთ, ანდა ბეგრვენ შემცირებული განაკვეთებით.

ბრუნვის გადასახადის მასტიმულირებელმა როლმა პროგრესული ზემოქმედება იქონია ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე. ეს ზემოქმედება დადასტურებულია პრაქტიკულადაც.

სათინანსო ორგანოებს ევალებად სისტემატურად შეამოწმონ, კონტროლი გაუწიონ და გამოავლინონ მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრუნვის გადასახადის გადამხდელი საწარმოების გეგმის შესრულებაზე.

ბრუნვის გადასახადი თავის გამოხატულებას ჰპოვებს საბითუმო ფასში და გამოდის როგორც სხვაობა მრეწველობის და საწარმოს საბითუმო ფასებს შორის. მას უმთავრესად ახდევინებენ იმ საწარმოსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს აწარმოებენ და ასაღებენ. როგორც წესი, მძიმე მრეწველობის დარგები ბრუნვის გადასახადით არ იბეგრება, გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც თავიანთ ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწევიან ფართო მოხმარების საქონლის წარმოებასაც. ამ მხრივ, ერთგვარად დამახასიათებელი არის ბრუნვის გადასახადის რეალიზაციის სტრუქტურა, რომელსაც გვაძლევს ფ. ს. მასარივინი. ბრუნვის გადასახადით იბეგრება მსუბუქი და კვების მრეწველობის საქონლის 70%-ზე მეტი, მძიმე მრეწველობის საქონ-

ლისა — 10%, დამამზადებელი ორგანიზაციების საქონლისა — 10%, სახელმწიფო კოოპერაციული ვაჭრობის საქონლის პროდუქციისა — 10%.

ახალ ეკონომიკურ პირობებში ბრუნვის გადასახადი ასრულებს მთელ რიგ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციებს. ის გამოდის, როგორც ფართო მოხმარების საგანთა მიწოდება-მოთხოვნის რეგულირების ინსტრუმენტი. ამიტომ, ზოგი საქონელი, მაგალითად, თამბაქო და არაყი ბრუნვის გადასახადის უფრო მაღალი განაკვეთით იბეგრება, რაც შეეხება ბავშვთა მოხმარების, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებს, მათზე მოთხოვნის სტიმულირების მიზნით ხდება მათი ბრუნვის გადასახადის განაკვეთების შემცირება, შეღავათიანი განაკვეთების დაწესება. აქედან ჩანს, რომ სოციალისტური სახელმწიფო ბრუნვის გადასახადს იყენებს, როგორც ინსტრუმენტს სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათის მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბრუნვის გადასახადი სოციალიზმის პირობებში არის ზედმეტი პროდუქტის ან წმინდა შემოსავლის ნაწილი. ზედმეტი პროდუქტების არსებობა დამახასიათებელია ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისათვის. ზედმეტი პროდუქტის აუცილებლობაზე ლაპარაკობს კ. მარქსი: „... მუდამ შეიძლება გავაგლოთ განსხვავება შრომის იმ ნაწილსა, რომლის პროდუქტსაც უშუალოდ მწარმოებელი და მის კმაყოფაზე მყოფნი (angehorigen) ინდივიდუალურად მოიხმარდნენ და, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ იმ ნაწილს, რაც მწარმოებლურ მოხმარებაზე მიდის, — შრომის მეორე ნაწილს შორის, რომელიც მუდამ ზედმეტი შრომაა, რომლის პროდუქტი მუდამ ემსახურება საერთო საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სულ ერთია, როგორც არ უნდა ნაწილდებოდეს ეს ზედმეტი პროდუქტი და ვინც არ უნდა მოქმედებდეს ამ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა წარმომადგენლის სახით“<sup>7</sup>.

კ. მარქსი ასაბუთებს, რომ ზედმეტი პროდუქტის არსებობა აუცილებელია ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში. ამის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს, მით უმეტეს, ვერ განვითარდება.

კ. მარქსი მეორე ადგილზე წერს: „ზედმეტი შრომა საერთოდ, როგორც მოცემულ მოთხოვნილებათა ოდენობის გადამეტებული შრომა, ყოველთვის უნდა არსებობდეს“<sup>8</sup>.

ეს აზრი კიდევ უფრო განვითარებულია და დასაბუთებულია „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო ფერდინანდ ლასალის მცდარი დებულების წამოყენებით. მარქსის ამ ნაშრომს ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევს, აღნიშნავს იმას, თუ სოციალისტური საზოგადოება როგორ უნდა ეწეოდეს მეურნეობას<sup>9</sup>.

„გოთას პროგრამის კრიტიკის“ მიხედვით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს საზოგადოების არსებობის, მისი წინსვლისა და განვითარებისათვის აკლდება ზედმეტი პროდუქტი, რომელიც გამოიყენება მოხმარებულ წარმოების საშუალებათა, ასანაზღაურებლად, წარმოების გასაფართოებლად და სათადარიგო ანუ დასაზღვევო ფონდის შესაქმნელად, რაც ხმარდება უბედულ-

<sup>7</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნ. 2, 1959, გვ. 521.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 447.

<sup>9</sup> В. И. Ленин. Полн. собр. соч. т. 44, с. 151.

რი შემთხვევების, სტატიური მოვლენებით გამოწვეული ზიანის და სხვათა შემთხვევებში. მეორეს მხრივ, ზედმეტი პროდუქტი გამოიყენება „საერთო არაწარმოების კუთვნილი მმართველობის ხარჯებისათვის, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაქმყოფილებლად დანიშნული ხარჯები სწავლა-განათლებისათვის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის და მესამე — ფონდი შრომის უნარმოკლებულთათვის“<sup>10</sup>.

ზედმეტ პროდუქტს, რაც ზედმეტი ღირებულების სახით არსებობს, კაპიტალიზმის პირობებში ექსპლოატაციური ბუნება აქვს, მას კაპიტალისტთა კლასი ითვისებს. ზედმეტი პროდუქტი სოციალისტური საზოგადოებრიობაში სულ სხვა ბუნებისაა. წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება დამყარებულია მუშაძალის და წარმოების საშუალებების შეერთების ახალ წესზე. აქ სამუშაო ძალა საქონელი არ არის, ის ბაზრის საშუალებით არ შეიძინება. იგი არის ამხანაგური თანამშრომლობა და მუშაკთა ურთიერთდამხმარება და გვევლინება, როგორც ერთობლივი შრომის შეთანხმებული განაწილება. ამიტომ, ერთობლივი პროდუქტის სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი სულ სხვაა.

სოციალისტური საზოგადოების ერთობლივი პროდუქტი შექმნილია თავისუფალი ექსპლუატაციისაგან განთავისუფლებული შრომით. ამიტომ, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი საზოგადოების ყველა წევრის კუთვნილებაა. სოციალისტურად განსაზოგადოებრივებული შრომით შექმნილი პროდუქტი იმთავითვე უშუალოდ საზოგადოებრივია. ამ პროდუქტის წარმოებასა და განაწილებას საზოგადოება გეგმურად არეგულირებს. სოციალისტური საზოგადოების ნაციონალური სიმდიდრის მთავარი ნაწილი შედგება სოციალისტური საზოგადოების წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნებისაგან.

სოციალიზმის პირობებში არსებობს სოციალისტური დაგროვების ორი ფორმა: ბრუნვის გადასახადი და მოგება. ბრუნვის გადასახადი გვევლინება როგორც სახელმწიფოს ცენტრალიზებული შემოსავალი, მოგება კი, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად—ერთი ცენტრალიზებულ ფონდში გადადის საბიუჯეტო გადასახდელების სახით, მეორე დეცენტრალიზებულ ფონდს შეადგენს და ცალკეულ საწარმოთა განკარგულებაში რჩება. ორი არხის სისტემის გამოყენება შესაძლებელს ხდის მოხერხებულად წარმოებდეს რეგულირება საზოგადოების წმინდა შემოსავლის განაწილების პროცესში, რაც უზრუნველყოფს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების შეხამებას თითოეული საწარმოს ინტერესებთან, აგრეთვე ერთიანი გეგმის განხორციელებას. წმინდა შემოსავლის ორი ფორმით — ბრუნვის გადასახადისა და მოგების სახით არსებობა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს სოციალიზმის პირობებში. ის ხელს უწყობს სოციალისტური ეკონომიკის სიმტკიცეს და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კომუნისმში თანდათანობით გადასასვლელად.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულებები ბრუნვის გადასახადის შესახებ. ეს სხვადასხვა კონცეფცია ბრუნვის გადასახადის საკითხში ემყარება რიგი ეკონომიკური საკითხის სხვადას-

<sup>10</sup> კ. მარქსი, „გოთას პროგრამის კრიტიკა“, თბ., 1932, გვ. 18—19.

ხვაგვარ გაგებას, მაგალითად, აუცილებელი და ზედმეტი შრომის, აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის ფასწარმოქმნის და სხვა საკითხების სხვადასხვა გაგებას. ამ ნიადაგზე და თვით ბრუნვის გადასახადის ეკონომიკური ბუნების დამახასიათებელი სხვადასხვა საკითხების სხვადასხვაგვარი გაგების საფუძველზე დაისახა სხვადასხვა კონცეფცია.

ერთ-ერთ გავრცელებულ და სწორ შეხედულებას წარმოადგენს ბრუნვის გადასახადის დახასიათება, როგორც საზოგადოების წმინდა შემოსავლის გარკვეული ფორმისა. ეს შეხედულება არ ცნობს სოციალისტური საზოგადოების ბრუნვის გადასახადს, როგორც გადასახადს, უარყოფს მას, როგორც არაპირდაპირ გადასახადს, როგორც აქციოს. ამ შეხედულებას იზიარებენ და ანვითარებენ ცნობილი საბჭოთა ფინანსისტები: ა. გ. ზვერევი, ი. დ. ზლობინი, ს. ა. სიტარინი, გ. ლ. რაბინოვიჩი, ა. ვ. ბაჩურინი, ა. კონდრაშევი და სხვ.<sup>11</sup>

მეორე კონცეფციის თანახმად სოციალისტური საზოგადოების ბრუნვის გადასახადი შეიცავს არაპირდაპირი გადასახადის ელემენტებსაც. ის გამოხატავს არა მარტო წმინდა შემოსავლის პირველადი ფორმის ელემენტებს, არამედ მოსახლეობის შემოსავლის გადანაწილებასაც განსაკუთრებით იმ საქონელთა მიმართ, რომელთა რეალიზაცია წარმოებს ღირებულების ზევით აღმატებული ფასებით. ამ შეხედულებას ემხრობა: მ. პ. პლიშევსკი, დ. ა. ალახვერიანი, ა. ს. სმირნოვი, რ. გ. კარაგეზოვი, ს. რ. სტრუმილინი, ფ. ს. მასარიგინი.<sup>12</sup>

ზოგიერთი ფინანსისტის, მაგალითად ა. ი. აჩიშკინის აზრით, ბრუნვის გადასახადი არის უნივერსალური აქციზი, ის ფასწარმოქმნის ფაქტორად გვევლინება.<sup>13</sup>

კაპიტალისტური საზოგადოების ბრუნვის გადასახადსა და სოციალისტური საზოგადოების ბრუნვის გადასახადს შორის არსებითი განსხვავებაა, რაც განპირობებულია ძირითადად განსხვავებული წარმოებრივი ურთიერთობებით, და ორი სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სახელმწიფოთა ბუნებით და ფუნქციებით.

კაპიტალისტური სახელმწიფო ნამდვილად ემყარება გადასახადს, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა ექსპლოატაციის დამატებით ფორმას ნაციო-

<sup>11</sup> А. Г. Зверев. Национальный доход и финансы СССР. Госфиниздат. М., 1964, с. 134; И. Д. Злобин. Платежи предприятий в бюджет в новых условиях. «Финансы СССР», 1965, № 1. А. С. Ситарин. Чистый доход и бюджет. М., 1964, с. 730; Г. А. Рабинович. Экономическая природа налога с оборота и пути его совершенствования. М., 1965, с. 6, 16; А. В. Бачурин. Прибыль и налог с оборота в СССР. М., 1955, с. 22; А. Кондратов. Стоимость и цены в социалистическом обществе «Вопросы экономики», 1957, № 5.

<sup>12</sup> Б. П. Плышевский. Распределение национального дохода в СССР. М., 1960; Д. А. Алахвердян. Национальный доход СССР. М., 1968, с. 106; А. С. Смирнов. Экономическое содержание налога с оборота. М., 1963, с. 42, 275; Р. Г. Карагезов. Прибыль в системе экономических категорий социализма. М., 1964, с. 71; С. Г. Струмилини. Проблемы социализма и коммунизма в СССР. Сбор. соч. т. 5, М., 1965, с. 149. Реформа ставит проблемы. М., 1968, с. 11; Ф. С. Массаригин. Финансовая система СССР. М., 1968, с. 95.

<sup>13</sup> А. И. Анчишкин. Налог с оборота—конкретная форма прибавочного продукта социалистического производства. М., 1962, с. 46.



ნაღური შემოსავლის იმ ნაწილის იძულებით ამოღებას, რომელიც ძირითადი ექსპლუატაციის შემდეგ აძლიერებს მშრომელთა ჩაგვრას. ის ეხება მუშების, მოსამსახურეების და გლეხების შემოსავალს. იქ ბრუნვის გადასახადი, როგორც არაპირდაპირი გადასახადის გარკვეული ფორმა, მიიღება ფასების აწევით ღირებულებაზე ზევით.

1930 წლის საგადასახადო რეფორმის შემდეგ, საბჭოთა სინამდვილეში არაპირდაპირი გადასახადები არ არსებობს. მანამდე არსებული არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგრული იყო ფუფუნების და არა პირველი მოთხოვნილების საგნები. ამდენად, ის გადასახადები მშრომელებს არ ეხებოდა, რადგან მშრომელები მომხმარებლები იყვნენ პირველი, აუცილებელი მოთხოვნილების და არა ფუფუნების საგნებისა.

ბრუნვის გადასახადი არსებობს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სხვადასხვა სახელწოდებით. საფრანგეთში და გერ-ში მას უწოდებენ ბრუნვის გადასახადს, ინგლისში — საყიდლის გადასახადს, აშშ-ში — გასაყიდლის გადასახადს და სხვა.

ბრუნვის გადასახადი არსებობს ყველა სოციალისტურ ქვეყანაში. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მას უწოდებენ წარმოებრივ მოსაკრებელს. საზღვარგარეთულ სოციალისტურ ქვეყნებში ბრუნვის გადასახადის ორგანიზაციის პრინციპები თითქმის ერთნაირია. მის გადამხდლებად გამოდიან სოციალისტური სექტორის საწარმოები და ორგანიზაციები. გადასახადს იხდიან სამრეწველო და დამამზადებელი ორგანიზაციები. გადახდევინების წესი ასეთია, რომ ორგანიზაციები თვითონ ანგარიშობენ გადასახდელის ოდენობას და შეაქვთ ბიუჯეტში.

ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და რიგ სხვა ქვეყნებში, მრეწველობის ზოგიერთ დარგში შექმნილია გამსაღებელი ბაზები და ისინი ითვლებიან ბრუნვის გადასახადის გადამხდლებად. დასაბეგრ ბრუნვად აქ ითვლება ამონაგები, რომელსაც ისინი იღებენ საკუთარი წარმოების ან დამზადების საქონლის გაყიდვიდან. ზოგიერთ სახელმწიფოში დასაბეგრ ბრუნვად ითვლება აგრეთვე რეალიზებულ მომსახურებათა ღირებულებაც. ბრუნვის გადასახადი ძირითადად ბეგრავს დამზადებულ ნაწარმს, რომელიც მოხმარებისთვის არის დანიშნული.

ჩინეთში ბრუნვის გადასახადი ბეგრავს წარმოებასა და საშუალებებსაც. ქვეყნების დიდ უმრავლესობაში ბრუნვის გადასახადი წარმოების საშუალებებს არ ბეგრავს, ზოგან კი ბეგრავს განსაზღვრულ კონტიგენტს დაბალი განაკვეთებით.

ბრუნვის გადასახადი დამყარებულია ერთგზის დაბეგვრაზე ყველა ქვეყანაში. უნგრეთში ბრუნვის გადასახადს აქვს ოთხი სახეობა: ა) ბრუნვის გადასახადი წარმოებრივი დანიშნულებით რეალიზებულ პროდუქტიაზე. გადამრეწვეტი მნიშვნელობა აქვს ამ სახეობას. ბ) ბრუნვის გადასახადი ფასების გამოთანაბრების დანიშნულებით. ფასთა გამოთანაბრების ბრუნვის გადასახადი გადახდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა მყიდველს (მაგალითად სახელმწიფოს, საწარმოს, კოოპერაციას ან კერძო პირს) სხვადასხვა ფასად მიეყიდება. გარდა ამისა, ბრუნვის გადასახადის ამ სახეობას ბიუჯეტში გადააქვს იმ საწარმოთა დამატებითი ამონაგები, რომელთა პროდუქციის თვითღირებულება მოცემული დარგის თვითღირებულებაზე გაცილებით დაბალია. გ) ბრუნვის გადასახადს ახდევინებენ ფუფუნების საგნებზე საცალო ვაჭრობის ქსელში იმისაგან დამოუკიდებლად მანამდე იყო თუ არა

სხვა გადასახადებით დაბეგრული. დ) არის აგრეთვე ბრუნვის გადასახადი მომსახურებაზე.

მონოლოეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოყენებულია პროცენტული განაკვეთები ბრუნვის მიმართ. ჩინეთში გამოყენებულია უპირატესად განსაზღვრული პროცენტი რეალიზაციის თანხის მიმართ.

პოლონეთში, რაც შემთხვევაში, ბრუნვის გადასახადი ინგარიშება საშუალო პროცენტის მიხედვით მთელი ბრუნვის მიმართ. აქ ბრუნვის გადასახადს ახდენენ ბეკაღურად, რაც შეეხება სპირტის, არაყის, თამბაქოს, მარილის, საფუარის და შაქრის დარგებში ბრუნვის გადასახადის გადახდა წარმოებს გადასახდელის გადახდის მომენტში.

რუმინეთში გადახდის ვადა უმეტეს შემთხვევაში ხუთდღიანია. რაც შეეხება ლენის, თამბაქოს მრეწველობას და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ორგანიზაციებს, ბრუნვის გადასახადს ახდენენ ყოველდღიურად.

მონოლოეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბულგარეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში ბრუნვის გადასახადი გადახდის ვადების მიხედვით იყოფა არა დარგობრივ ჯგუფებად, არამედ შესატანი გადასახადის ზომის მიხედვით. რაც უფრო დიდია შესატანი თანხა, მით უფრო მცირეა გადახდევინების დრო.

იუგოსლავიაში არის რამდენიმე სახეობის ბრუნვის გადასახადი: ა) რეალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე 1%-ის ოდენობით. ბ) საქონელთა დიფერენციალური განაკვეთებით; ასეთი არის გადასახადი საკავშირო რესპუბლიკური და სათემო. არსებობს დამატებითი გადასახადი ცალკეულ საქონლიდან—ფუფუნების საგნების დაბეგრა. ახდენენ აგრეთვე ბრუნვის გადასახადის მომსახურებაზე 10% ოდენობით მათი ღირებულებიდან. ვინაიდან იუგოსლავიაში საქონელთა დიდ უმრავლესობაზე ცენტრალიზებულად დაწესებული ფასები არ არის, ამიტომ იქ ბრუნვის გადასახადი გვევლინება როგორც მათი ფორმირებისა და რეგულირების ერთ-ერთი საშუალება<sup>14</sup>.

საბჭოთა კავშირში, როგორც აღნიშნული გვექონდა, ბრუნვის გადასახადი არის ისეთი გადასახდელი, რომელიც არ წარმოადგენს გადასახადს ნამდვილი აზრით.

მიუხედავად ამისა, ნ. კოხელსკი ამტკიცებს, რომ ბრუნვის გადასახადი განსაზღვრულ ფარგლებში შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც არაპირდაპირი გადასახადი. ეს ეხება ზოგიერთ სამომხმარებლო საგანს, როგორც არის ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, რაც შეადგენს აუცილებელი პროდუქტის ნაწილს.<sup>15</sup>

ამ მოსაზრებას იზიარებს ბ. პ. პლიშევსკიც, რომლის მტკიცებით ბრუნვის გადასახადი შეიცავს საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ელემენტს, როგორც არის წარმოების მატერიალური დანახარავები.<sup>16</sup>

<sup>14</sup> А. Смирнов. Экономическое содержание налога с оборота. 1963; Мирощенко С., В. Порядок исчисления и уплаты налога по промышленным товарам, 1963; Жданов В. Планирование налога с оборота. 1962; Бутаков Д., Бочкова В., Щавель И. Финансы стран народной демократии. 1959; Дьяченко В. П. Налог с оборота. Финансово-кредитный словарь. т. II. 1964.

<sup>15</sup> Н. Козельский. Вопросы распределения национального дохода СССР. Сборник статей «Вопросы социалистического производства», 1958, с. 253.

<sup>16</sup> Б. П. Плышевский. Распределение национального дохода в СССР. М., 1960.

საბჭოთა ეკონომისტების შეხედულება ბრუნვის გადასახადზე, როგორც არაპირდაპირი გადასახადის შემცველი ელემენტების შესახებ, სწორი არ არის. ვერ ჩაითვლება მართებულად ის აზრი, რომ ბრუნვის გადასახადი არის როგორც საბიუჯეტო ზედმეტი პროდუქტის ღირებულების ამოღება, ასევე ნაციონალური შემოსავლის გადანაწილების საშუალებაც.

ეს განაწილება ხორციელდება არა მარტო საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვეგანყოფილებას შორის, არამედ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ნაწილს და გლეხთა შემოსავლებისა და ფართო მოხმარების საქონელთა მიღველებს შორისაც.

ასეთი შეხედულება, ჩვენი აზრით უსაფუძვლოა; პირიქით ბრუნვის გადასახადი არის წყარო მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა, რაც განსაზღვრულია სოციალიზმის ძირითადი კანონის მოთხოვნილებებით.

ზოგიერთ საქონელზე ფასების გადიდება გეგმიან მეთრუნობაში ნეიტრალიზებულია იმით, რომ ზოგიერთ სხვა საქონელზე ფასები დაწეულია ღირებულების ქვევით და მასზე დანახარჯები ანაზღაურებულია ბიუჯეტიდან.

3. ე. კუჩკინს და ნ. ნ. მოროზოვს თავიანთ შრომაში მოტანილი აქვთ მავალითები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სხვადასხვა საქონელზე ფასების აწევდაწევის შედეგად საზოგადოებრივი მასშტაბით საერთოდ ფასების შემცირება ხდება.<sup>17</sup>

3. ლ. რაბინოვიჩი აკრიტიკებს ეკონომისტთა შეხედულებას, რომელიც ბრუნვის გადასახადს აქციზის ბუნებას აწერს. მისი აზრით, ეს ეკონომისტები გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ მოსახლეობის წილი ნაციონალურ შემოსავალში განისაზღვრება მხოლოდ მათი პირადი ინდივიდუალური შემოსავლებით.<sup>18</sup>

მოსახლეობას საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიდან ბევრი რამ უკან უბრუნდება ბრუნვის გადასახადის და მოგების ანგარიშით. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები აკმაყოფილებენ მოსახლეობის კულტურულ და მატერიალურ მოთხოვნილებებს უფასოდ ან მცირედი საფასურით — შეღავათიანად. ასეთი მომსახურება მოსახლეობის მიმართ ბიუჯეტში ათეული მილიარდებით განისაზღვრება.<sup>19</sup>

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომელიც ხმარდება მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას წარმოადგენს მოსახლეობისათვის დამატებით შემოსავალს ხელფასის ზევით. ასეთი ფონდები XXIV და XXV პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებებით თანდათან იზრდება და ათეული მილიარდობით განისაზღვრება. ეს სოციალიზმის პირობებში აუცილებელი ტენდენციაა. ამიტომ, გაუმართლებელია იმ ფინანსისტთა შეხედულება, რომელნიც ბრუნვის გადასახადში აქციზურ ბუნებას ხედავენ. ბრუნვის გადასახადის ვარკვეული ნაწილი მოსახლეობას პირდაპირ უბრუნდება სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათ.

17. П. Е. Кучкин, И. Н. Морозов. Чистый доход социалистического общества. М., 1974, с. 161.

18. Г. А. Рабинович. Экономическая природа налога с оборота и пути его совершенствования. М., 1965. с. 35.

19. См. Финансовые проблемы в свете решений XXIV съезда КПСС. М., 1972.

5. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1981, № 2

ბათა დაკმაყოფილებისა და მათი მატერიალური კეთილდღეობის ზრდის შედეგად. აგრეთვე, იმ მხრივ, რომ ამ ბიუჯეტური სახსრებით ხდება დაფინანსება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, რომლის ზრდა-განმტკიცება თანდათან გვაახლოვებს კომუნიზმს.

ჩვენს პირობებში, აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტს შორის ორგანული კავშირი არსებობს, რაც ემყარება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებასა და რეალიზაციას.

ი. ა. ანჩიშკინის აზრით, ბრუნვის გადასახადი გეგმაზომიერად აყალიბებს საცალო ფასების დონესა და სტრუქტურას. ბრუნვის გადასახადი არეგულირებს ფასების საერთო დონეს, ფასთა შეფარდებას მოხმარების საგანთა ცალკეულ ჯგუფებს შორის, უზრუნველყოფს მიწოდება — მოთხოვნის შესაბამისობას, როგორც მოხმარების საგანთა მთელი ჯამის ასევე მოხმარების ცალკეული საგნების მიმართ. ამასთან, ბრუნვის გადასახადი მოხმარების ზოგიერთ საგანთა მოთხოვნას ზღუდავს და ზოგიერთს ასტიმულირებს.

გ. ლ. რაბინოვიჩი აკრიტიკებს ა. ანჩიშკინს და აღნიშნავს, რომ თუ სახელმწიფო გააუქმებს ბრუნვის გადასახადს ის არავითარ გავლენას არ მოახდენს ფასების დონეზე. ამიტომ, ბრუნვის გადასახადი არ წარმოადგენს ფასწარმოქმნის ფაქტორს. ის არის წმინდა შემოსავლის ერთ-ერთი ფორმა.

რაც შეეხება საკითხს ბრუნვის გადასახადის ეკონომიკური ბუნების შესახებ, როგორც ეს მოცემულია ზოგიერთ შრომაში, რაბინოვიჩის შრომას თვით სათაურად ჰქვია „ბრუნვის გადასახადის ეკონომიკური ბუნება და მისი გაუმჯობესების გზები“, ასე იყო ხოლმე აღნიშნული სასწავლო პროგრამაშიაც. უნდა ითქვას, რომ იგი მეცნიერულად გამართული და მოხერხებული არ არის. როდესაც ვლაპარაკობთ ბრუნვის გადასახადის ეკონომიკურ ბუნებაზე იგულისხმება, რომ მას აქვს კიდევ სხვაგვარი ბუნება არაეკონომიკური და გვინდამისგან განსხვავებით ცალკე გამოვყოთ ეკონომიკური ბუნება. რა უნდა იყოს ეს სხვა ბუნება ბრუნვის გადასახადისა, რომლისაგან გამოიყოფა ეკონომიკური ბუნება? ეს სხვა მათი წარმოდგენით, არის ბრუნვის გადასახადის ფინანსური ბუნება.

ასეთი გაგება ემყარება იმ ძველ გაგებას ფინანსების ბუნებისა, რომელიც გავრცელებული იყო 1905-იან წლებამდე ჩვენს ფინანსურ ლიტერატურაში.

ეს შეხედულება ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ფინანსები არის ზედნაშენის კატეგორია. ვინაიდან საკითხი ეხება სახელმწიფო ფინანსებს და სახელმწიფო კი თავისთავად არის ზედნაშენური კატეგორია, ამიტომ ეს შეხედულება სახელმწიფო ფინანსების კატეგორიებს განიხილავდა როგორც ზედნაშენურ მოვლენებს. ამ თვალსაზრისზე დგომისას საჭირო იყო წინ წამოწევა ბრუნვის გადასახადის სხვა თავისებურებათა ე. ი. ეკონომიკური ბუნებისა, ამგვარად გამოდის ეკონომიკა სხვაა, ფინანსები სხვა; ბრუნვის გადასახადს აქვს ეკონომიკური ბუნება და ფინანსური ბუნება. 1950-იან წლებამდე ასე იწერებოდა: ეკონომიკა და ფინანსები, მამსაღამე ფინანსები არ ნიშნავდა ეკონომიკას.

ი. ა. კირილოვი თავის შრომაში<sup>20</sup> წერდა: „სახალხო მეურნეობის დარგთა

<sup>20</sup> И. А. Кириллов. Роль финансов отраслей народного хозяйства в кругообороте производственных фондов обращения. «Проблемы советских финансов», 1960, с. III.

ფინანსების წარმოებრივ ფონდთა წრებრუნვაში მონაწილეობის ფუნქცია არ უნდა ავტრიოთ ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშობა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პროცესებში; წარმოებრივი ორგანიზაციის და მზა პროდუქციის გასაღების პროცესებში. აქ არის ზღვარი დარგის ეკონომიკასა და ამავე დარგის ფინანსებს შორის“ (ხაზგასმა ჩვენია, თ. ა.).

ამგვარად ი. ა. კირილოვის მიხედვით, დარგის ეკონომიკა სხვა არის და დარგის ფინანსები კი სხვა.

არაეკონომიკურ, ზედნაშენურ მოვლენად მიიჩნევა ფინანსებს ა. ი. ბუკოვეცკი, რომელიც წერდა: „კ. მარქსი და ფ. ენგელსი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდნენ ფინანსური მეურნეობისადმი, არ სურდათ მათზე შეჩერება, როგორც ზედნაშენზე, რომლის ბედი იმ საფუძვლის ბედით განისაზღვრება, რაზედაც ის აღმოცენდა“.<sup>21</sup>

ასევე ზედნაშენურ კატეგორიად თვლიდა ფინანსებს პროფ. ნ. ნ. ლუბიმოვი. ის წერდა „... რევოლუციური მარქსიზმის შესწავლა ერთადერთ მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს „ზედნაშენური კატეგორიების“ — სახელმწიფო ფინანსების დარგშია“<sup>22</sup>.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვსარგებლობთ აკად. ვ. ჩანტლაძის შრომებით, რომელმაც ამ უსწორო შეხედულებას ყურადღება მიაქცია იმთავითვე და შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ფინანსები ბაზისის ელემენტია, ეკონომიკის ნაწილია, სპეციფიკურ წარმოებრივ ურთიერთობას გამოხატავს. ვ. ჩანტლაძე ჯერ კიდევ 1930 წელს გამოქვეყნებულ თავის შრომაში წერდა: „... კ. მარქსის სისტემაში ფინანსური მეცნიერება პოლიტიკური ეკონომიკის ნაწილია...“ გადასახადი როგორც ეკონომიკური კატეგორია, მიწის რენტა, ვიდრე სასესხო კაპიტალი და სხვა“.<sup>23</sup> მეორე შრომაში, რომელიც გამოქვეყნებულია 1976 წელს ნათქვამია „კ. მარქსის ფინანსური მოძღვრება მისი ეკონომიკური მოძღვრების განუყოფელი ნაწილია. ფინანსური კატეგორიები წარმოადგენენ ეკონომიკურ კატეგორიათა გაშლილ ფორმას“.<sup>24</sup> ასევე 1958 წელს გამოქვეყნებულ თავის შრომაში ვ. ჩანტლაძე წერს: „ფინანსური ურთიერთობა არის წარმოებრივი ურთიერთობის ნაწილი, წარმოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკური სახე“<sup>25</sup>. ასეთი აზრი მას გამოთქმული აქვს სახვა მომდევნო შრომებშიაც.

დღეს, ვარდა ვ. მ. ტოჩილინიკოვისა საბჭოთა ლიტერატურაში არავის სადავოდ აღარ მიაჩნია, რომ ფინანსები ეკონომიკაა.

ზემოთ მოხსენიებულ მოსაზრებაზე დამყარებით უნდა დავასკვნათ, რომ შეხედულება ბრუნვის გადასახადის ეკონომიკური ბუნების გამოცალკავებულად განზიღვის შესახებ სწორად არ მიგვაჩნია.

ბრუნვის გადასახადი არის ეკონომიკური კატეგორია და მისი არის სხვა არა არის რა თუ არა წარმოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკური

<sup>21</sup> А. И. Буковецкий. Введение в финансовую науку, 1929. с. 174.

<sup>22</sup> Авторский коллектив под руководством проф. Н. Н. Любимова. Финансы капиталистических государств, 1937, М., с. 5.

<sup>23</sup> ვ. ჩანტლაძე. ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრებაში. (ყურნ. საქართველოს ეკონომისტი, № 7, 1930 წ.).

<sup>24</sup> ვ. ჩანტლაძე. ფინანსების ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ სისტემაში. თსუ შრომები, XXIX გვ. 29.

<sup>25</sup> ვ. ჩანტლაძე. ფინანსური მეცნიერების საგანი (საქართველოს ეკონომისტი, № 6, 1958 წ.). Вопросы теории финансов», 1979, с. 17—18, 86, 253—254.

ფორმა. ამიტომ, ბრუნვის გადასახადს არა აქვს მეორეგვარი ბუნება, რომელსაც გამოეყოფოდეს ეკონომიკური ბუნება. იგი არის ერთიანი, მას განვიხილავთ როგორც სოციალისტური დაგროვების ერთ-ერთ ფორმას, როგორც ნაციონალური შემოსავლის ნაწილს, ზედმეტი პროდუქტის ნაწილს, ფასის შემადგენელ ელემენტს, ნაციონალური შემოსავლის გადანაწილების საშუალებას, როგორც ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს გადასახდელსა და სხვა. მხოლოდ აბსტრაქციის გზით შესაძლებელია ბრუნვის გადასახადის ესა თუ ის დამახასიათებელი ნიშანი გამოყოფილ იქნეს, კონკრეტულობაში კი ისინი ერთ მთლიანობას გამოსახავენ. ამგვარად, ბრუნვის გადასახადი იმდენადვეა ფინანსური კატეგორია, რამდენადაც ეკონომიკური. ბრუნვის გადასახადი, როგორც ფინანსური კატეგორია, არის ეკონომიკური კატეგორიის სპეციფიკური ფორმა.

Т. Г. КУРДАДЗЕ

## К ВОПРОСУ О СУЩНОСТИ НАЛОГА С ОБОРОТА

Резюме

В статье рассмотрены вопросы налога с оборота как экономической категории, которая определяется самой природой социалистического общества, приведены разные определения налога с оборота, данные в советской финансовой литературе, отличие советского налога с оборота от капиталистического, показана роль налога с оборота в период развитого социализма и т. д.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აღრიცხვის და ფინანსების პრობლემათა ჯგუფში.

### თენიზი კანელაიკი

#### სოფლის მიწრნეობის ინტენსიფიკაციის საკითხისათვის

თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის და სერტოდ ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს წარმოების ინტენსიფიკაცია. ამ მიმართულებამ აღიარება პპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში. მისი უპირატესი მნიშვნელობა დასაბუთებულია სკკპ XXIV და XXV ყრილობათა მასალებში. XXV ყრილობამ დაადგინა: მეათე ხუთწლეულში ქვეყნის სოფლის მეურნეობა მიიღებს გაცილებით მეტ კაპიტალურ დაბანდებას, ვიდრე წინა პერიოდში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მე-8, მე-9, და მე-10 ხუთწლეულებში სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო კაპდაბანდება 384 მილიარდს აღემატება, მაშინ, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე, ამ მიზნით სულ 491 მლრდ მან. იყო დახარჯული. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდასთან ერთად, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება სულ უფრო მეტი ახალი ძირითადი საწარმოო ფონდები. მაგალითად, 1965 წელს, 1940 წელთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 4,6-ჯერ, 1970 წელს — 6,6 და 1976 წელს — 11,8-ჯერ<sup>1-3</sup>.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება გულისხმობს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტრაქტორების, მანქანების, მისაბმელების, მინერალური სასუქების, ქიმიკატების და მრეწველობის სხვა ნაწარმის ოპტიმალური მოცულობით მიწოდებას, რაც შექმნის ხელსაყრელ პირობებს სასოფლო-სამეურნეო ინტენსიფიკაციის დაჩქარებისათვის. ამის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული სკკპ XXIV ყრილობის მასალებში, სადაც განსაზღვრულია ინტენსიფიკაციის ძირითადი მიმართულებანი, როგორცაა მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ქიმიზაცია, კომპლექსური მექანიზაცია, მიწების ფართო მელორაცია და ასე შემდეგ<sup>4</sup>.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. ამ უკანასკნელის განვითარება მნიშვნელოვნად აჩქარებს სასოფლო-სამეურნეო ინტენსიფიკაციის პროცესს. აღნიშნულის შესახებ კ. მარქსი წერდა: კვალწარმოება წარმართება“.... ინტენსიურად, გაფართოებული მასშტაბით, თუ წარმოების საშუალება უფრო ეფექტიანი ხდება“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Народное хозяйство СССР в 1975 г. М., «Статистика», 1976, с. 510.  
<sup>2</sup> Народное хозяйство СССР за 60 лет. М., «Статистика», 1977, с. 290.  
<sup>3</sup> Материалы XXV съезда КПСС. М., Политиздат, 1976., с. 144.  
<sup>4</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები საქ. კპ. ცკ გამოცემლობა, 1971, გვ. 326.  
<sup>5</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II. 1957, წ. გვ. 213.

ჩვენი საზოგადოების მწარმოებლური ძალების და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე პირობებში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტენსიფიკაციის და მისი მიმართულებებისა და ფაქტორების სწორ განსაზღვრას. ტერმინი „ინტენსიფიკაცია“ გულისხმობს წარმოების ისეთ პროცესს, რომლის შედეგად იზრდება მისი ინტენსიობა. ინტენსიობა ლათინური ტერმინია და ნიშნავს დაძაბვას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის თვით პროცესი რთულია, მასზე მოქმედებენ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული მიმართულებები და ფაქტორები, კ. მარქსი და ვ. ლენინი, როდესაც ამ პროცესს იხილავდნენ, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობდნენ მიწის ერთი და იმავე ფართობზე კაპიტალის კონცენტრაციას<sup>6</sup>.

„ეკონომიური აზრით კი, — წერდა კ. მარქსი, — ჩვენ ინტენსიურ კულტურად ვგულისხმობთ მხოლოდ კაპიტალის კონცენტრაციას, ერთსა და იმავე მიწის ფართობზე, ნაცვლად მისი განაწილებისა ერთიმეორის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთებს შორის“<sup>7</sup>.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი, უფრო მწარმოებლური საშუალებებით აღჭურვას, რომლის შედეგად, ერთსა და იმავე მიწის ფართობზე, მისი უფრო ხარისხიანი დამუშავებისა და ინტენსიური გამოყენების პირობებში იქმნება მეტი რაოდენობით პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პროცესში მიწის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესებას. მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია დაკავშირებულია მიწათმოქმედების მაღალ კულტურასთან. იგი დამოკიდებულია, როგორც ტექნიკური აღჭურვილობის დონეზე, ასევე წარმოების ორგანიზაციის, მართვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დონესა და რიგ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, მიწათმოქმედების კულტურა დაკავშირებულია, როგორც წარმოების იარაღების რაოდენობასა და ხარისხთან, ასევე მათ რაციონალურ გამოყენებასა და ფუნქციონირებაზე. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია შეიცავს ერთმანეთისაგან განუყრელ ისეთ პროცესებს როგორცაა: მიწის ერთეულ ფართობზე კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება, წარმოების იარაღებისა და შრომის საშუალებების ხარისხობრივი გაუმჯობესება, წარმოების მართვისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა და უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბევრი დაიწერა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ, ჯერ კიდევ მაინც არ არსებობს შეხედულებათა ერთიანობა, როგორც თვით ინტენსიფიკაციის პროცესზე, ისე მის განმსაზღვრელ ფაქტორებზე და მაჩვენებლებზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესი უმეტეს შემთხვევაში განიმარტებოდა, როგორც კაპიტალის და საშუალებათა ზრდის ტექნიკური პროცესი, ხოლო სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს და ფაქტორებს ყურადღება თითქმის არ ეთმობოდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესი არ შეიძლება განხილულ იქნეს

<sup>6</sup> კ. მარქსი, კაპიტალი ტ. I, 1954, გვ. 852; ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 22, გვ. 60.

<sup>7</sup> კ. მარქსი, კაპიტალი ტ. III. ნაწ. II, 1954, გვ. 267.



როგორც წმინდა ტექნიკური პროცესი და ყურადღება არ მიექცეს მასზე სოცი-  
 ალურ-ეკონომიკური ფაქტორების არსებით გავლენას, კერძოდ, ისეთი ფაქტო-  
 რებისა როგორცაა: საკუთრების ფორმები და ეკონომიკური დაინტერესების  
 სისტემა, წარმოების და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფაქტორები, მარ-  
 თვის სრულყოფა, მეურნეობათაშორისო კოოპერირების და აგროსამრეწველო  
 ინტეგრაციის პროცესი, საწარმოო კოლექტივების ორგანიზაციისა და მათი სო-  
 ციალური განვითარების პრინციპები.

რიგ შემთხვევაში, ცნებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკა-  
 ცია და ინტენსიობა ლიტერატურაში გაიგივებულია, რაც არასწორად მიგვაჩნია.  
 ინტენსიფიკაციის პროცესების ანალიზის დროს, ინტენსიობის ცნებაში იგულო-  
 ხნდება წარმოების ინტენსიფიკაციის მიღწეული დონე, ხოლო ინტენსიფიკაცია  
 ნიშნავს ამ დონის გაღრმავებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლებია: მთლიანი  
არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა პიროვნული მიმართულება საკმაოდ ნათლად გამოიკვეთება მათი ანტისაზოგადოებრივი ქცევის მოტივაციაში. სწორედ მოტივი შეადგენს მოქმედების შინაგან ლერქს, რომლის ფსიქოლოგიური შინაარსი მოიცავს ასევე მიზნებისა და საშუალებების ურთიერთდამოკიდებულებას, მისი გადაწყვეტის ამოცანებსა და ხერხებს<sup>11</sup>. „დანაშაულის მოტივი — ესაა საზოგადოებრივად საშიში ქცევისადმი შეცნობილი მისწრაფება, რომლის საფუძველია გაუქუღმართებული ან ზოგჯერ ნორმალური, მაგრამ ყოველთვის ანტისაზოგადოებრივი ხერხებით დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილება“<sup>12</sup>. მოზარდილი დამნაშავეებისათვის დამახასიათებელი მოტივების — ანგარების, შურისძიების, ექვიანობის, ხულიგნური ქვენა გრძნობის და სხვ. გარდა არასრულწლოვანებში ადგილი აქვს ასოციალური ქცევების საშუალებით დაკმაყოფილების წმინდა ბავშვურ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. რამდენადაც არასრულწლოვანთა დანაშაულების უმრავლესობა ქურდობაა, ანგარების მოტივი ჭარბობს მოტივთა საერთო ნაკრებში და შეადგენს დაახლოებით 60%-ს. ამავე დროს, ასაკობრივ-ფსიქოლოგიური პოზიციების თავისებურებებთან დაკავშირებული მოტივები, როგორცაა დამახინჯებულად გაგებული „გმირობა“, „გამბედაობა“, მეგობრებისადმი „დახმარება“ და ა. შ. შეადგენენ დაახლოებით 2 — 6%. უნდა აღინიშნოს, რომ ანგარებითი დანაშაულების მოტივები აქ მოიცავენ სხვა შინაარსს, ვიდრე მოზარდილ დამნაშავეებთან. უმეტესწილად, ესაა მოღურე ტანსაცმლის, სპორტული დანიშნულების ნივთებისა და ა. შ. შესაძენად საშუალებათა გამოძენის სურვილი.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში არსებული შეხედულება იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანთა ბევრი დანაშაულისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის გარკვეული შეუსაბამობა იმ მიზნებთან, რომლებსაც ისინი უშუალოდ უყვანებდნენ თავიანთ ქმედობას.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური სფეროს მახასიათებელთა მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათთვის ნიშანდობლივია არა პოზიტიური ინტერესებისა და მოთხოვნილებების უქონლობა, არამედ შეგნებაში მათი დამახინჯებული გარდატეხა. მათი უმრავლესობა პიროვნებაში უპირველეს ყოვლისა აფასებს პატიოსნებას, ერთგულე-

<sup>11</sup> С. Л. Рубинштейн. Проблемы общей психологии. М., 1979, с. 153.

<sup>12</sup> Н. А. Дремова. Мотив и цель в преступлениях несовершеннолетних. Автореферат канд. дисс., М., 1972, с. 9.



ბას, შეგნებულობას და ა. შ. მაგრამ მოზარდთა შეგნებაში ამ ღირსებების შეცნობა დამახინჯებულია.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა პიროვნების დახასიათებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მონაცემები მისი ქცევის შესახებ დანაშაულის ჩადენამდე, რამდენადაც სწორედ აქ გამოვლინდება პიროვნების დამახასიათებელი ყველაზე არსებითი ნიშნები.

შესწავლილი მოზარდების რიცხვიდან დანაშაულის ჩადენამდე არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 57%, მესამედზე მეტის მიმართ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მიერ მიღებული იყო სხვადასხვა ზომები, 8% გაიგზავნა სპეციალურ სასწავლო-აღმზრდებლობით დაწესებულებებში, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ღონისძიებები არ იყო სათანადოდ ინდივიდუალიზირებული, მათ ვერ აღკვეთეს დანაშაულის ჩადენა.

ყოველი მეხუთე მოზარდი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე სისტემატურად თვრებოდა, მათგან, 9% მუშაობის ან სწავლის პერიოდში.

სისხლის სამართლებრივი დახასიათება მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სამართალდამრღვევის პიროვნებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესაფასებლად. შერჩევით გამოკვლევის მონაცემებით, გასამართლებულ მოზარდებში ბევრად ჭარბობს იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, რაც განპირობებულია თვით არასრულწლოვანთა დამნაშავეობის სტრუქტურით. გასამართლებულთა შორის მძიმე დანაშაულების (განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, გაუპატიურება, ყაჩაღობა) ჩამდენთა ხვედრითი წილი შეადგენს მხოლოდ 13%.

ზემოქმედების სხვა ზომის გამოყენებით სისხლის სამართლის სასჯელიდან განთავისუფლებული არასრულწლოვანები განსახილველ ასპექტში განსხვავდებიან გასამართლებულთა კონტინგენტისაგან. ჩადენილი მძიმე დანაშაულები აქ უმნიშვნელო წილს შეადგენენ.

არასრულწლოვან რეციდივისტთა პიროვნებისათვის ნიშანდობლივია უარესი სისხლისსამართლებრივი მახასიათებლები. მათი 60% ახალი დანაშაულის ჩადენამდე განთავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი სასჯელიდან (მათ შორის ყოველი მეორე გაიგზავნა სპეციალურ სასწავლო-აღმზრდებლობით დაწესებულებაში), სამი მეოთხედის მიმართ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს აღრე გამოყენებული ჰქონდათ ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიებები.

არასრულწლოვანთა მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა აფართოებს მათი დანაშაულებრივი საქმიანობის სფეროს. თუ პირველ შემთხვევებში მათ მიერ უმეტესად ჩადენილი იყო ქურდობები, განმეორებით დანაშაულთა შორის ქურდობის წილი მცირდება და იზრდება ყაჩაღობის (8%), ძარცვის (6,5%), ზულივანობის (7%), ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ გამოყენების (7%) შემთხვევები.

რეციდივისტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობის წინასწარ განზრახული ხასიათი, ისე როგორც ალკოჰოლური და ნარკოტიკული სიმთვრალის დროს ჩადენილ დანაშაულთა ხვედრითი წილის გაზრდა, მიგვანიშნებს მათ მიმართ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებუ-

ლი კონტროლის არასაკმაო ინტენსივობაზე. როგორც ჩანს, ადრე დანაშაულის ჩამდენი პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე მყოფი მოზარდის ყოფაქცევის სწრაფი გაუარესების შემთხვევებში აუცილებელია არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორის გარდა მათთან მუშაობაში ჩაებას სისხლის სამართლის სამძებროს სპეციალიზირებული მუშაკიც, ასევე აუცილებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

Ю. И. ТКЕШЕЛАШВИЛИ

## КРИМИНОЛОГИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ЛИЧНОСТИ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ ПРАВОНАРУШИТЕЛЕЙ

Резюме

Внешние условия существования преступности всегда опосредствуются и дополняются внутренними, т. е. определенными особенностями личностных характеристик преступников. Преступление представляет собой результат взаимодействия внешних и внутренних условий (имеется в виду социальная среда и личность).

Говоря о взаимодействии, необходимо учитывать, что данные, характеризующие социальную среду и личность, взаимно влияют друг на друга в рамках единого процесса в конкретных условиях места и времени. Личность является активным компонентом в этом взаимодействии. Поэтому полные данные о личности преступника позволяют значительно повысить эффективность предупредительной работы равно как и точность мер воздействия.

В настоящей статье использована интерпретированная сообразно поставленным задачам методика, разработанная во Всесоюзном институте по изучению причин и разработке мер предупреждения преступности. После проведения исследований программировался сравнительный анализ данных о личности по различным группам несовершеннолетних с асоциальным поведением. Выделены следующие группы: несовершеннолетние, состоящие на профилактическом учете в органах МВД, несовершеннолетние правонарушители, освобожденные от уголовного наказания с применением иных мер воздействия; несовершеннолетние, осужденные судами к различным мерам наказания; несовершеннолетние рецидивисты.

Сравнение личностных характеристик несовершеннолетних по этим группам, а в разрезе групп — и по территориальным зонам позволило дополнительно получить данные для оценки степени остроты обстановки и специфических обстоятельств, на нее влияющих. В свою очередь эти моменты требуют учета и в комплексном — региональном и зональном — планировании, и в организации специальной профилактики.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის  
 განყოფილებამ

## რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

### მონობრავია პოლიტიკური ეკონომიის აბსტრაქტურ მეთოდოლოგიურ საკითხებზე<sup>1</sup>

პროფ. გ. თოდუას სარეცენზიო წიგნის კვლევის ობიექტი ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის მიჯნაზეა. ავტორის მიზანია გვიჩვენოს პოლიტიკონომიურ კვლევაში დიალექტიკური მეთოდის, დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიებისა და კანონების გამოყენების აქტუალობა და კონკრეტულადაც დაადასტუროს იგი. წიგნიც ასეა აგებული — ყოველ თავში, როგორც წესი, ამ პრობლემის ცალკე საკითხია წარმოდგენილი. პირველ თავში განხილულია ეკონომიკური კატეგორიების დიალექტიკურ-ლოგიკური განსაზღვრების, სისტემაში მათი განფენისა და სხვ. საკითხები; მეორე თავში განალიზებულია ისტორიული და ლოგიკური მეთოდების, ხოლო მესამეში — კვლევისა და გადმოცემის წესების გამოყენება პოლიტიკურ ეკონომიაში; მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თავები ეძღვნება დიალექტიკური მატერიალიზმის სამი უზოგადესი კანონის გამოყენებას პოლიტიკონომიურ კვლევაში; ბოლო, მეშვიდე თავის სათაურია — კატეგორიების დიალექტიკურ-ლოგიკური ურთიერთკავშირის ძირითადი ფორმები კ. მარქსის „კაპიტალიზმი“.

საბოლოო მიზანი ცხადია, ეკონომიკური კატეგორიების კვლევა, სისტემაში მათი ადგილისა და მათი ურთიერთგადასვლის დადგენა, მაგრამ მსჯელობის ზოგადობა იმდენად მაღალია, თანაც, იმდენად ვრცელი და აუცილებელი ადგილი აქვს დათმობილი ამოსავალი ფილოსოფიური დებულებების გარკვევას, რომ მონობრავია პოლიტიკური ეკონომიის ფარგალს სცილდება. ეს მით უფროა ასე, რომ ასეთ კვლევას ფილოსოფიისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

წიგნის არქიტექტონიკა და განხილულ საკითხთა თანაფარდობა სხვაგვარიც რომ ყოფილიყო, პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიურ საკითხთა კვლევა მაინც მუდამ ფილოსოფიის საზღვარზეა. ამგვარი კვლევის აქტუალობა დღეს საეკონომიკურ არ უნდა იყოს, რადგან სოციალიზმის წარმოებითი ურთიერთობის შემდგომი სწრაფი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ეკონომიკურ კატეგორიათა ლოგიკური სისტემის დროული დაზუსტება. ეს პროცესი ამჟამად ყველაზე ინტენსიურია საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში. როგორც ცნობილია, იგი მეტისმეტად შრომატევადია, საბოლოო შედეგს კი ძუნწად და გვიან იძლევა; და მაინც შეცდომა იქნებო-

<sup>1</sup> Г. С. Тодуа, Актуальные проблемы диалектической взаимосвязи экономических категорий, Издательство Тбилисского университета, Тбилиси, 1979. Редакторы: Академик АН ГССР А. Л. Гуния, проф. Б. И. Лутидзе.

და გვეფიქრა, რომ ჩვენ, ქართველ ეკონომისტებს, უფლება გვაქვს გამოვკლდეთ მას, რომ თითქმის შეგვიძლია „იოლი გზით“ ვიაროთ და მივიღოთ მხოლოდ მისი პროდუქტი, „ჩვენი საქმე“ კი უფრო რესპუბლიკის კონკრეტული ეკონომიკის ანალიზია. ასეთი გზა კვლევისა და სწავლის პროცესთა დიალექტიკური ერთიანობის უგულვებელყოფა და ქართული მეცნიერული აზრის თვითგვემა იქნებოდა; საექვოა, ვინმე ღრმად დაეუფლოს კვლევის უახლეს მეთოდებსა და ხერხებს, თუ ისინი „მზა რეცეპტებად“ მიიღო, მხოლოდ ამოიკითხა ნაბეჭდი პროდუქციიდან და თავისი აზრი არ შეუჭერა კომპეტენტურ, ცოცხალ აზრს თავისსავე კოლექტივში ან რეგიონში მაინც. თავისთავად ცხადია, კვლევის მეთოდოლოგიური, თეორიული და კონკრეტულ-პრაქტიკული მიმართულებები ერთიმეორეს უნდა ავსებდეს, ემსახურებოდეს და ამდიდრებდეს, მეთოდოლოგიური კვლევა იმთავითვე პრაქტიკულ მიზნებს უნდა იყოს დაქვემდებარებული და მისი აკვარგეიანობა საბოლოო ანგარიშით ამ თვალსაზრისით უნდა ფასდებოდეს.

გ. თოდუამ, არსებობდა, პირველმა სცადა, პოლიტიკურ ეკონომიაში ფართოდ გამოეყენებინა ის უძვირფასესი მასალა, რომელიც ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში დაგროვდა კ. მარქსის „კაპიტალის“ მიხედვით დიალექტიკის კატეგორიების ანალიზის სფეროში. ამ მხრივ, მისი შრომა განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგან ეს სფერო ყველაზე მეტად მოითხოვს ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის მიჯნაზე ნაშრომების შექმნასა და აღნიშნული გამოცდილებისათვის ფართო გზის მიცემას, ეს კი—უაღრესად ღრმა გააზრებასა და მძიმე შრომას.

მონოგრაფიაში ავტორი არკვევს ეკონომიკურ კატეგორიათა დიალექტიკურ-ლოგიკურ რაობას, ხაზს უსვამს მათ შემეცნებით ღირებულებას, იმას, რომ კატეგორიათა აღმოჩენა მხოლოდ პრაქტიკის შემეცნების საფუძველზეა შესაძლებელი, რომ მათი განვითარების საფუძველია მათში ჩაქსოვილი დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც რეალურ სინამდვილეში არსებულ დაპირისპირებულთა ერთიანობას ასახავს (გვ. 9). საინტერესო და ღრმაა ცნებისა და კატეგორიის იგივეობისა და განსხვავების შესახებ ავტორისეული მსჯელობა. ცნებების დიალექტიკური განსაზღვრა იწყება უახლოესი გვარისა და სპეციფიური ნიშნის გარკვევით, მაგრამ განსაზღვრის ამ წესში კატეგორია ვერ თავსდება. კატეგორიები არ არიან ერთიმეორესთან გვარ-სახეობით დამოკიდებულებაში, ასეთ შემთხვევაში მეცნიერება კატეგორიათა არითმეტიკული ჯამი იქნებოდა და საგანზე მთლიანი წარმოდგენანი დაიკარგებოდა (გვ. 16—17). სამწუხაროდ, ეს მოთხოვნა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, ყოველთვის არაა დაცული კატეგორიათა განსაზღვრისას. „ეკონომიკურ ცნებათა და კატეგორიათა გადმოცემა, წესრიგი, მათ ნებისმიერ დადგენას კი არ ნიშნავს, არამედ თითოეული მათგანის ადგილის დადგენას მათს ლოგიკურ სისტემაში, იმის ახსნას, თუ რისი განვითარებაა მოცემული კატეგორია და რაში იპოვის გამოხატულებას მისი შემდგომი განვითარება“ — და ა. შ. (გვ. 146) ეს და სხვა მსგავსი მსჯელობანი სისტემაში კატეგორიის მოძრაობისა და სხვ. შესახებ ფილოსოფიური ზოგადობისაა, მაგრამ მათი მყარი საფუძველი, ვფიქრობთ, ჯერ-ჯერობით მხოლოდამხოლოდ პოლიტიკურმა ეკონომიამ მოგვცა. ვინაიდან კ. მარქსმა დაგვიტოვა „კაპიტალის“ ლოგიკა, კატეგორიათა ისეთი გენეტიკურ-სისტემური ანალიზი, რომლის ბადალი ჯერ არც ერთ სხვა მეცნიერებას არ მოეპოვება.

ის, რასაც ავტორი ბურჟუაზიული მეცნიერების ნაკლოვანებად მიიჩნევს (19), მხოლოდ ბურჟუაზიულ მეცნიერებას არ ეხება. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშიც ხშირად ისე გამოიყენებენ სტრუქტურულ-ფუნქციურ ანალიზს (რომელიც არკვევს მთლიანობის დამოკიდებულებას ცალკეულ ნაწილებთან), რომ ამ ანალიზს საფუძვლად არ უდებენ მთლიანის წარმოშობის გენეტიკურ პროცესს. ამასთან დაკავშირებით, ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს იმ ეკონომისტებს, რომლებიც უარყოფენ სოციალიზმის ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების ერთიანი სისტემის არსებობის შესაძლებლობასა და აუცილებლობას და ამტკიცებენ რამდენიმე ლოგიკური სისტემის არსებობის შესაძლებლობას სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე.

წიგნში ბევრია საინტერესო, აქტუალური საკითხი. მაგალითად, კარგია კ. მარქსის „კაპიტალიზმი“ მოცემული ღირებულებების ფორმის განვითარების მეთოდოლოგიური განზოგადება (გვ. 116, 148—153), რაც ესოდენ საჭიროა პოლიტეკონომიური კვლევის შემდგომი განვითარებისათვის. საინტერესოა დასმული კვლევა-ძიებისა და გადმოცემის წესთა თანაფარდობის საკითხიც. ავტორის აზრით, ლოგიკური მეთოდის ეს ორი მხარე განსხვავებულია ერთიანის შიგნით. იგი მიუთითებს, რომ დ. რიკარდომ კვლევის მეთოდი არსებითად გადმოცემის მეთოდზე დიკვანა და ამით კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის განვითარება ჩიხში მოამწყვდია (გვ. 58). ვფიქრობთ, უფრო საინტერესო იქნებოდა ამ თეზისის გაშლა იმათ კრიტიკასთან კავშირში, ვინც თანამედროვე პირობებშიც აიგივებს მათ, რამეთუ ჩვენმა ეკონომიკურმა ლიტერატურამ ბევრი დაკარგა მათი პრაქტიკული გაიგივების გამო.

საერთოდ, თითქმის ყოველი პრობლემის ანალიზს დართული აქვს კლასიკური და ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა (სათანადო ადგილებზე კი — ფილოსოფოსთა) შეხედულებების მოკლე მიმოხილვა, რაც წიგნს უფრო საინტერესოს და სასარგებლოს ხდის.

მიუხედავად წიგნის აღნიშნული ზოგადმეთოდოლოგიური ასპექტებისა, მას თავიდან ბოლომდე ერთიან ხაზად გასდევს სწორედ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა კვლევა. უწინარეს ყოვლისა, ამას მიეკუთვნება ამოსავალი ურთიერთობის საკითხი, როგორც კ. მარქსის „კაპიტალიზმი“, ისე სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში.

უკვე კარგა ხანია, რაც საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარება პოვა ამოსავალი წარმოებითი ურთიერთობის, როგორც მარტივი ურთიერთობის დახასიათებამ. ახლა აღარც იმაზე დაიბენ, რომ თვით „მარტივის“ ცნება შეფარდებითია. ამოსავალი ურთიერთობა მართლაც მარტივია წარმოებით ურთიერთობათა მოცემულ სისტემაში შემავალი სხვა ურთიერთობების მიმართ. თვით მას კი რთული სტრუქტურა აქვს. ასეთი სირთულე წარმოშობს იმის განსაზღვრის აუცილებლობას, თუ საიდან, რომელი კუთხიდან დაიწყოს ამოსავალი ურთიერთობის შესწავლა. აღნიშნული მოშენების უგულებელყოფა ზოგიერთი მკვლევარის მიერ იმას განაპირობებს, რომ ამოსავალი წარმოებითი ურთიერთობის შესწავლის საკითხს ხშირად აიგივებენ გადმოცემის ამოსავალი პუნქტის საკითხთან. ავტორს მოჰყავს ამ მეცნიერთა შეხედულებანი და ასკვნის, რომ არ შეიძლება სისტემის

ამოსავალ კატეგორიად საცვლელ-ღირებულებისა და სხვ. ჩათვლა, იგი მხოლოდ კაპიტალიზმის ამოსავალი ურთიერთობის ანალიზის საწყის პუნქტს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს ავტორისეული სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის მნიშვნელობა: იგი სოციალიზმის ამოსავალი ურთიერთობის საწყისებს პირველყოფილ-თემურ წყობილებაში ეძებს; ეს გარემოება ხაზს უსვამს წარმოების ურთიერთობის ერთიანობას, იმას, რომ ამ ურთიერთობის უზოგადესი აბსტრაქტული მხარეები იგივეურია ყველა ფორმაციაში.

პირველყოფილ თემში, ავტორის აზრით, არსებობს სოციალიზმის ისეთი საწყისები, როგორცაა კოლექტივიზმის, ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უმარტივესი ფორმები, რომლებიც, თემური საკუთრების საფუძველზე წარმოიშვა და რაც მთავარია, ადამიანის, ინდივიდის კვლავწარმოება, როგორც წარმოების მიზანი (გვ. 69).

შემდგომ, ავტორი უფრო ავითარებს ამ აზრს. „კაპიტალიზმი, — წერს იგი, არის ყველა იმ ურთიერთობის უარყოფა, რომელთა დროსაც წარმოების მიზანი მოხმარება იყო, ხოლო უარყოფის უარყოფაა სოციალიზმი, რომლის დროსაც მოხმარება (ინდივიდის კვლავწარმოება) კვლავ ხდება უმაღლესი მიზანი (გვ. 112).

მიუხედავად ასეთი ანალიზის დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობისა, მაინც უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები მართლაც არის სოციალისტური (კომუნისტური) წარმოების ურთიერთობის ისტორიული წინამორბედი, ლოგიკურად იგივეურცაა მასთან იმ აზრით, რომ უარყოფის უარყოფის გზით უბრუნდება თავის თავს, მაგრამ ვფიქრობთ, სოციალიზმის ამოსავალ ურთიერთობას ისინი არ წარმოადგენს. უწინარეს ყოვლისა, ავტორს, როგორც ჩანს, მხედველობის გარეთ დარჩა კაპიტალიზმის ამოსავალი ურთიერთობის სიმარტივის ის ზომა, რომ იგი თავისთავად არ მოიცავს ამ წარმოების წესის მიზანს; კოლექტივიზმის, ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობა კი, ავტორისეულ ბოლო პუნქტს თავიც რომ ვანებოთ, იმთავითვე წარმოების სპეციფიური მიზნითაა გამსჭვალული. ამიტომ ისინი იმთავითვე სოციალიზმის ძირითადი (და ამიტომ ყველა სხვა) ურთიერთობის ნიშნებია, მახასიათებლებია.

ავტორი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ეკონომიკურმა უჯრედმა უნდა გაიაროს გადასვლითი განვითარების მეტად ხანგრძლივი გზა, სანამ იგი მიაღწევს მრავალმხრივ განვითარებულ კონკრეტულ საფეხურს (გვ. 65). მართლაც ასეთია საქონელი, რომელიც ღირებულების ფორმის განვითარების გზით გადადის ფულში და შემდეგ, კიდევ ხანგრძლივი გზის გავლით, კაპიტალად იქცევა. უჯრედის ეს ნიშან-თვისება მხედველობის გარეშე რჩებათ იმათ, ვისაც სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის დაწყება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტით, ეროვნული შემოსავლით ან სოციალისტური პროდუქტით სურს. მაგრამ იცავს თუ არა მას თვით ავტორი ამოსავალი ურთიერთობის შემოთავაზებულ მოსაზრებაში? ვანა კოლექტივიზმი და სხვ. და სხვ. ვითარდება ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში? მათი განვითარების ისტორიულ-ლოგიკური ძაფი წყდება მანამ, სანამ საკუთრების საზოგადოებრივი ფორმა არ აღდგენილა; ეს უკანასკნელი კი, ავტორის აზრით, სოციალიზმის ძირითად ურთიერთობას წარმოადგენს. გამოდის, რომ ჯერ ძირითადი ურთიერთობა უნდა აღდგეს და შემდეგ მი-

სი ის ნიშნები განვითარდეს ახალ საფუძველზე, რაც სარეცენზიო წიგნის ავტორის ამოსავალ ურთიერთობად მიაჩნია. ავტორის მიერ ჩამოთვლილი ნიშნები ამოსავალი ურთიერთობისა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის შემდეგ გადავიდა თავის დაპირისპირებულობაში, „დაიკარგა“ ისტორიის სცენიდან, ამოსავალი ურთიერთობა კი „დაკნინებულ“-დაქვემდებარებული სახით მაინც უნდა რჩებოდეს და თავისებურად ვითარდებოდეს კიდევ, ბოლოს კი, როგორც მიზეზი ახალი წარმოების წესის აღმოცენებისა და მისი მოახლოების მაცნე, თავსაც იჩენდეს, თუნდაც როგორც მხარედი ტენდენცია.

ამ პუნქტს, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამოსავალი ურთიერთობის გამოყოფისას. იგი მოთხოვნის, ე. ი. ზოგადმეთოდოლოგიური დებულების ფორმით მიელს წიგნშია მოცემული, მაგრამ პრაქტიკულად არაა რეალიზებული. კოლექტივიზმის ურთიერთობა არ ყოფილა სოციალიზმის წარმოშობის მიზეზი, იგი არ აძლევს პირველ ბიძგს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სისტემის ქმნადობასა და განვითარებას. იგი არ გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა დაეწყოთ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის შემდგომი სრულყოფა, რომელ რგოლს უნდა ჩავჭიდოთ ხელი — იგი მიგვითითებს ყველაფერზე, მის ყველა მხარეზე. ამოსავალი ურთიერთობის გამოყოფას კი სწორედ ის უზარმაზარი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ წარმოებითი ურთიერთობის სისტემის კვლავ წარმოების რთულ პროცესში მიზეზობრივი ჯაჭვის პირველი რგოლი დაგვანახოს და ამით მთელი სისტემის შემდგომ გეგმაზომიერ სრულყოფას შეუწყოს ხელი.

წიგნის ერთ-ერთ უღაო ღირსებად უნდა ჩაითვალოს კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი განყოფილების კატეგორიათა ისტორიულ-ლოგიკური მიმართების სწორი განსაზღვრა დანარჩენი კატეგორიებისადმი, რამდენადაც, სამწუხაროდ, ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში ძალზე ხშირად მათი მიმართების სწორი გაგება ირღვევა. „მარტივი საქონელი და ფული, — წერს ავტორი, — „კაპიტალში““ ვანხილულია როგორც კაპიტალის განუვითარებელი საფეხურები, რადგან კაპიტალის გარეშე მისი განუვითარებელი საფეხურების გაგება შეუძლებელია... სწორედ კონკრეტული აძლევს აზრს აბსტრაქტულს. რამდენადაც აბსტრაქტული კონკრეტულის ცალმხრიობაა, იგი უნდა ვეესმოდეს როგორც კონკრეტულის მომენტი, რომელსაც დამოუკიდებლობა ვერ მიეცემა, რადგან ამ შემთხვევაში მას სხვა აზრი ექნებოდა“ (გვ. 23).

ამასთან, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ „კაპიტალის“ პირველი კატეგორიები არ ასახავს კაპიტალიზმამდელი საქონელწარმოების განვითარებას, მის საფეხურს, რაზეც სავსებით სწორად მიუთითებს ავტორი. ერთი და იმავე განვითარებული კონკრეტული მთლიანობის ამსახველი კატეგორიების სუბორდინაცია ისეთია, რომ მარტივი, აბსტრაქტული კატეგორიები ლოგიკური აუცილებლობით გამოვლინდებიან როგორც თავდაპირველად განუვითარებელი კონკრეტულის, შემდეგ კი — განვითარებული კონკრეტულის გამოხატულება (გვ. 59).

და მაინც, მეტისმეტად მკვეთრია დებულება, თითქოს ამოსავალ ურთიერთობას არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა (გვ. 66). ცხადია, იგი განვითარებული კონკრეტულის მარტივი მხარეა, მაგრამ კაპიტალიზმის ამო-

სავალი ურთიერთობა, როგორც ცნობილია, არსებობს კაპიტალიზმამდე. აქ მისი დანიშნულება, მისი ფუნქციები არაა ჯერ ისეთი, როგორც კაპიტალიზმის დროს, არაა დახვეწილი, კლასიკური ფორმით წარმოდგენილი, მაგრამ დამოუკიდებელი არსებობა მაინც სახეზეა. ვფიქრობთ, ასეთი მეთოდოლოგიური დებულების წამოყენება ავტორს დასჭირდა სოციალიზმის ამოსავალი ურთიერთობის თავისეული კონცეფციის გასამართლებლად. არსებითად იმავე დებულებას იგი ადასტურებს 113-ე გვერდზე. სოციალისტური ეკონომიკიდან გამოცალკევებული აბსტრაქტული, — წერს იგი, — სინამდვილეში არ არსებობს განვითარებული კონკრეტულისაგან დამოუკიდებლად. მას რეალურად შეესატყვისება ზემოაღნიშნული უმარტივესი ურთიერთობები, რომლებიც კაცობრიობის გარიჟრაჟზე არსებობდა.

რასან ისტორიული ზიდი მათ შორის არ არსებობს, ლოგიკური კავშირიც გაწყვეტილი გამოვიდა — უმარტივესი ურთიერთობები საზოგადოების გარიჟრაჟზე ის არ აღმოჩნდა, საიდანაც სოციალიზმი წარმოიშვა უშუალოდ.

113-ე გვერდზე ავტორი წერს: „როგორც ვხედავთ, ადამიანთა საზოგადოების გარიჟრაჟზე არსებული წარმოების მიზანი, ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობის ძალით, უარყოფის უარყოფის გზით მიისწრაფის სრულიად ახალი, უმაღლესი სოციალისტური წარმოების მიზნისაკენ. ამიტომ, აღნიშნული ფაქტები კი არ უნდა უგულებელვყოთ, ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ დავადგინოთ, თუ როგორ შეუძლია ამ უმარტივეს კონკრეტულობას მივიდეს სოციალიზმამდე უარყოფის უარყოფის გზით“. ამ დებულებაში ჩანს ისიც, რომ ავტორი თვითონ გრძნობს თავისი კონცეფციის ნაკლოვანებას (რამაც ჩვენი შენიშვნები გამოიწვია) და ჩანს საკითხის მიხედვით დასმის მნიშვნელობაც. მართლაც, ჩვენს სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში მეტისმეტი სიფრთხილით ეკიდებიან წარმოებითი ურთიერთობის სოციალიზმამდელი ფორმებიდან სოციალიზმის ფორმების გამოყვანას. ავტორი ერთ-ერთი პირველია, ვინც ასეთი გაშლილი ანალიზი მოგვცა. იმისათვის, რომ ასეთი ანალიზის მნიშვნელობა ეჩვენებინა, ავტორს უნდა განეხილა მისი დამაბრკოლებელი გარემოებანი. (შესატყვის ავტორთა ჩვენებით), უნდა ეთქვა ისიც, თუ ვინ სცადა მის გარდა ასეთი ანალიზი დარს მიაღწია.

მთლიანად, წიგნი თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე, სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნის საფუძველზეა შესრულებული. ჩინებული ანალიზია მოცემული, მაგალითად, ეკონომიკური „უჯრდის“ კონცეფციებისა 64—69 გვერდებზე, მაგრამ ეს ანალიზი (განსაკუთრებით — გეგმაზომიერების კონცეფციისა) მოკლეა; ეს ითქმის საქონლის არსისა და მის მიმართ სახმარი ღირებულების კატეგორიის დამოკიდებულების ანალიზზეც. ავტორი ამტკიცებს, თითქოს საქონლის სახმარ ღირებულებას კ. მარქსი საზოგადოებრივ სახმარ ღირებულებას უწოდებდა (გვ. 115—116). ჩვენ ვიზიარებთ ავტორის მოსაზრებას, რომ არ შეიძლება სახმარი ღირებულების მთლიანი მიკუთვნება საქონლის, როგორც ნივთის, თვისებებისადმი, მაგრამ „კაპიტალის“ დასაწყისში იგი სწორედ ასეა წარმოდგენილი (და სავსებით. სამართლიანადაც), რამაც ეკონომიკურ ლიტერატურაში საკითხის მრავალგვარი ინტერპრეტაცია გამოიწვია. საჭიროა ამ ფაქტის



ახსნა მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველზე, უგულებელყოფა კი არ შეიძლება.

ავტორის ასეთი პოზიცია გამოდის მეტად საჭირო და აქტუალური მეთოდოლოგიური დებულებიდან იმის შესახებ, რომ „ეკონომიკურ კატეგორიათა განსაზღვრება უნდა წარმოადგენდეს დაპირისპირებულთა ერთიანობას. რომელიც ორი, ურთიერთსაყენისადმიდევო სჯელობითაა გამიანატული. როდესაც ვამბობთ, „წარმოების ფასი ღირებულების გარდაქმნილი ფორმა“ ვიყენებთ ორ სჯელობას: 1. წარმოების ფაა არის ღირებულება; 2. იგი არის გარდაქმნილი ღირებულება, ე. ი. არ არის იგი“ (გვ. 130—131). მაგრამ ამ სწორი პოზიციის ავტორისეული მიყენება საქონლის არსის განმარტებისადმი საკამათოა. კერძოდ, ავტორის აზრით, 1. „საქონელი არის სახმარი ღირებულება; 2. საქონელი არის ღირებულება. ცალ-ცალკე არცერთი მათგანი არ გამოხატავს საქონლის არსს, მაგრამ მათი ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, საქონლის არსია“ (გვ. 131).

თუ გავიხსენებთ, როგორ განმარტავს ავტორი სახმარ ღირებულებას, გასაგები გახდება, რომ მას საქონლის არსის ამგვარად წარმოდგენისას მხედველობაში აქვს არა ნივთობრივი და საზოგადოებრივი-თვისებების ერთიანობა, არამედ საქონლის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფენომენის განსაზღვრება. ავტორს მიაჩნია, რომ „საქონელს ისტორიულად სპეციფიკური საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება რომ არ ახასიათებდეს, მისი ორი მხარე არ იქნებოდა თავის თავში დაპირისპირება“ (გვ. 116).

გამოდის, თითქოს ღირებულების კატეგორია არასაკმარისად გვიხასიათებს საქონლის, როგორც ეკონომიკური მოვლენის არსს და ამ ნაკლს „ავსებს“ საზოგადოებრივი სახმარი ღირებულების განსაზღვრება. თუმცა ავტორი ღრმად და სწორად მსჯელობს აღნიშნულ კატეგორიათა ურთიერთგადასვლაზე (იხ. გვ. 116 და სხვ.), მაგრამ ზემოთ მოტანილი დებულებები მანინც არასწორად მიგვაჩნია; ვფიქრობთ, მათში ამ კატეგორიათა ჭეშმარიტი ურთიერთდაქვემდებარება არაა გათვალისწინებული და საქონლის საზოგადოებრივი განსაზღვრულობანი ვერტიკალურ კი არა, ჰორიზონტალურ განლაგებაშია წარმოდგენილი, როგორც თითქოს და „თანასწორუფლებიანი“ მომენტები (იგივე მეორდება 63, 70, 154 და სხვა გვერდებზე).

ჩვენი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ღირებულებაა ის თვისება, რაც პროდუქტს საქონლად ხდის, სწორედ იგია საქონელწარმოების გაბატონებული კატეგორია, საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება კი საქონელწარმოების პირობებში მისდამი დაქვემდებარებული მომენტია. ვფიქრობთ, მეთოდოლოგიური კვლევის ამ გზით განვითარება საშუალებას მოგვცემს სწორად განვსაზღვროთ საზოგადოებრივი სახმარი ღირებულების კატეგორიის ადგილი და როლი როგორც სასაქონლო, ისე სხვა ფორმის წარმოების კატეგორიათა სისტემაში.

გარკვეულ ნაკლოვანების გრძნობას ტოვებს სოციალიზმის ძირითადი ურთიერთობისა და საყოველთაო არსის ამსახველი კატეგორიის ავტორისეული პოზიციაც. წინასწარ შევნიშნავთ: ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ავტორმა მკვეთრად ვერ გამიჯნა სოციალიზმის ძირითადი ურთიერთობა და მისი ამსახველი კატეგორია ამოსავალი ურთიერთობისაგან. რადგან თვით ამოსავალ ურთიერთობაში მოაქცია ის ნიშნები, რაც ძირითადს ახასიათებს. აქ კიდევ ერთხელ ჩანს, რომ სოციალიზმის საწყისების ავტორისეულ ძიებას

პირველყოფილ-თემურ წყობილებაში უფრო მეტი მნიშვნელობა ძირითადი ურთიერთობის კვლევისას აქვს, ვიდრე ამოსავლისა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ავტორის შემდეგი დებულება: სოციალისტური ეკონომიკის საყოველთაო არსის, როგორც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებისა და მისგან გამომდინარე მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობებზე მსჯელობის შემდეგ (გვ. 31) ავტორი დაასკვნის: „სწორედ სოციალიზმის საყოველთაო წარმოებითი ურთიერთობებია არსებითად პირველი შედეგი მის ამოსავალ წარმოებით ურთიერთობათა, ანუ საყოველთაო არსის კატეგორიაში ასახული ეკონომიკური უჯრედის, მრავალმხრივი განვითარებისა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია დავადგინოთ არა ამოსავალ და ძირითად, არამედ ამოსავალ და საყოველთაო წარმოებით ურთიერთობათა სუბორდინაციული კავშირები. ეს მოგვეცემს საშუალებას გამოვიკვლიოთ ძირითადი წარმოებითი ურთიერთობებიც, რომლებიც ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში წარმოგვიდგებიან წარმოების საშუალებებზე საკუთრების ობიექტური ურთიერთობის სახით“ (გვ. 32, ხაზგასმა ჩვენია — მ. გ. ე. მ.).

მოტანილ ციტატაში, ვფიქრობთ, რამდენიმე გაუგებრობასა და უზუსტობას აქვს ადგილი. 1. ყურადღებას იქცევს ამოსავალი ურთიერთობის, საყოველთაო ურთიერთობისა და ძირითადი ურთიერთობის მრავლობითში ხმარება. შესაძლოა ეს შემთხვევითი, ან კორექტურული შეცდომა იყოს, მაგრამ იგივე მეორდება წიგნში მრავალჯის (მაგალითად, 140-ე გვერდზე ავტორი წერს, რომ სოციალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და ძირითად წარმოებით ურთიერთობებს შორის წინააღმდეგობაა). სხვათა შორის, ვერც ამ დებულების დედაარსში დავეთანხმებით ავტორს.

შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ავტორი ხშირად ამ ურთიერთობათა სხვადასხვა ნიშანს ჩამოთვლის. მაგალითად, კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება მას მიაჩნია კაპიტალიზმის საყოველთაო არსის ამსახველ კატეგორიებად (გვ. 22), მაგრამ კაპიტალი იმ „ვიწრო“ აზრით, რომლითაც ავტორი მას აქ ხმარობს — თვითმხარედი ღირებულებაა და მისი განსაზღვრება არსებითად ზედმეტი ღირებულების იგივეურია.

2. წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმას ავტორი ჯერ საყოველთაო ურთიერთობას მიაკუთვნებს, შემდეგ კი მას ძირითად ურთიერთობას უწოდებს.

3. ბუნდოვანია საყოველთაო ურთიერთობის გამოყოფის პრინციპი. თუ იგი ის არის, რასაც ავტორი საყოველთაო არსის კატეგორიაში ასახავს, მაშინ ის ყოფილა სწორედ ძირითადი ურთიერთობა, რომელიც აერთიანებს კატეგორიათა სისტემას ერთ მთლიანობად, განურჩეველი ერთიანობის სახით. როგორც ჩანს, თავი იჩინა იმან, რომ ძირითადი ურთიერთობა თავისი სტრუქტურით რთულია, გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ამოსავალი ურთიერთობა. ამიტომ მას ავტორმა საყოველთაო ურთიერთობა უწოდა, მის ყველაზე მთავარ ელემენტს კი — წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმას — ძირითადი ურთიერთობა.

და ბოლოს, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იმავე 32-ე გვერდზე ავტორი წერს: „სოციალიზმის საყოველთაო კატეგორია, რომელიც მთელ ამ მრავალმხრიობას ასახავს, შეიძლება გუწოდოთ საზოგადოებრივ-

სახალხო ფონდებს...“ როგორც ჩანს ავტორი ყველა იმ ნიშნს, რაც მან ამო-  
სავალი, ძირითადი და საყოველთაო ურთიერთობის ანალიზისას ჩამოთვალა, ამ  
კატეგორიაში აჯამებს. ჩვენთვის ძნელია აღქმა, თუ როგორ ასახავს ეს კატე-  
გორია ყოველივე თქმულს, ყოველ შემთხვევაში, ალბათ მისი „გახსნა“  
უფრო ფართო უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქ-  
ცევს ავტორის შენიშვნა, რომ ამ კატეგორიათა ანალიზი უფრო ფართოდ  
ცალკე წიგნში იქნება განხილული (გვ. 33), რაც უდაოდ დიდ ინტერესს იწ-  
ვევს.

ძალზე სადაოა მონოგრაფიაში მოცემული ზოგი მეთოდოლოგიური დე-  
ბულება. მაგალითად, გვ. 11-ზე ავტორი სამართლიანად აღნიშნავს ცოდნის  
შეფარდებითობას, იმას, რომ გონება შემეცნების პროცესში სულ უფრო  
ღრმად სწვდება ეკონომიკურ მოვლენათა არსს. მაგრამ ავტორს მიაჩნია,  
თითქოს ამის შედეგად, ჩვენს მიერ აღრე შემეცნებული არსებითი ნიშნები  
არაარსებითი ან ნაკლებადარსებითი გახდა. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ასეც  
ხდება, მაგრამ ცალკეული შემთხვევა ამ მსჯელობაში გააბსოლუტებულია.  
ჯერ-ერთი, ყოველ მოვლენას, როგორც ასეთს, აქვს „ძირი“, ყველაზე  
ღრმა არსი, რომელიც მისი მოძრაობის ბირთვს წარმოადგენს; მასზე ღრმად  
„წასვლა“ უდაოდ შესაძლებელია, მაგრამ ამით ვცილდებით მოცემული  
მოვლენის თვისებრივ განსაზღვრულობას. მასასადამე, აღრე შემეცნებუ-  
ლი არსებითი ამ შემთხვევაში არაარსებითი, ნაკლებადარსებითი არ ხდება.  
ვფიქრობთ, ავტორისათვის, რომელიც ცდილობს, ეკონომიკური კატეგო-  
რიები საყოველთაო არსის (ე.ი. სწორედ მოცემულ მოვლენის „ბირთვის“)   
გარშემო განალაგოს, ეს თავისთავად გასაგები რამ არის; საკითხი უფრო  
მას ეხება, თუ როგორაა გააზრებული ეს განლაგება. აქ მივადექით საკით-  
ხის მეორე მხარეს. იმავე გვერდზე ავტორი წერს, რომ იმპერიალიზმის  
ეპოქაში მონოპოლიებმა მთლიანად დათრგუნეს თავისუფალი კონკურენ-  
ცია და არსებითი გახდნენ კაპიტალიზმისათვის. ისმის კითხვა, იმპერია-  
ლიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის, არსის შემეცნება  
ხომ არ არის უარყოფა კაპიტალიზმის საერთო არსისა, ე. ი. იმისა, რომ იგი  
ზედმეტი ღირებულების წარმოებაა? ცხადია არა! მაშ, ხომ არ გახდა ახა-  
ლი არსი უფრო სიღრმისეული, და ძველი — „ნაკლებარსებითი“?

იმპერიალიზმი კაპიტალიზმის ზედნაშენია, ამიტომ ყოველი მატერიალის-  
ტი ფილოსოფოსი ან პოლიტეკონომისტი ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს  
და ამით დაადასტურებს აქ განხილული ავტორისეული დებულების ნაკლო-  
ვანებას, თუკი... თუკი ეს მეცნიერი წინასწარ არაა „შეიარაღებული“ ჩვენს  
შესაბამის ლიტერატურაში უკანასკნელ ათწლეულებში დამკვიდრებული ზო-  
გიერთი მეთოდოლოგიური „მიღწევით“. სარეცენზიო წიგნში კი ვკითხუ-  
ლობთ: „ნაკლებად კონკრეტული ცნებები და კატეგორიები ექვემდებარება  
უფრო კონკრეტულს, და ამიტომ ეს უკანასკნელი უფრო ღრმა და ძირითადი  
ცნებები და კატეგორიებია“ (გვ. 13).

გამოდის, თითქოს იმპერიალიზმის არსის უფრო კონკრეტული კატე-  
გორია უფრო ღრმაა, ვიდრე კაპიტალიზმის არსისა და, თანაც, იქვემდებარ-  
ებს მას. აქედან ხომ არ გამომდინარეობს თავისუფალი კონკურენციის  
„მთლიანად დათრგუნვის“ თეზისი? უნდა აღენიშნოთ ისიც, რომ ავტორს  
მონოპოლის კატეგორია იმპერიალიზმის საყოველთაო არსის ამსახველ კა-

ტეგორიად მიაჩნია (გვ. 24), რაც პირდაპირ კავშირშია ზემოაღნიშნულ დებულებასთან. ერთ გარკვეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ერთი საყოველთაო არსის ამსახველი კატეგორია (ძირითადი კატეგორია) უნდა ჰქონდეს. თუ კაპიტალი თავისუფალი კონკურენციისდროინდელი კაპიტალიზმის საყოველთაო არსის ამსახველი კატეგორიაა, ხოლო მონოპოლია კი იმპერიალიზმისა, აქედან გამომდის, რომ ერთ ფორმაციას (მოცემულ შემთხვევაში კაპიტალიზმს) აქვს არა ერთი, არამედ ორი ძირითადი კატეგორია, ან კიდევ თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი ერთი ფორმაციის ორი სტადია კი არ არის, არამედ სხვადასხვა ფორმაციებია. არც ერთი და არც მეორე დებულება სწორი არ არის. მაშასადამე, ზომის შიგნით ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს საყოველთაო არსის ამსახველი კატეგორიის შეცვლა.

ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა ბევრი საკითხის ანალიზისას იჩენს თავს და იწვევს იმას, რომ მრავალ ორიგინალურ და სწორ დებულებას წიგნში თან ახლავს ჩვენი აზრით არასწორი მსჯელობაც. მაგალითად, ავტორი თვლის, რომ ეკონომიკურ კანონებში უფრო ღრმად ხდება ზოგადი კავშირების გააზრება, ვიდრე კატეგორიებში, რომლებიც მათი დადგენის საფუძვლებს შეადგენენ (გვ. 21), რომ საყოველთაო არსის ამსახველი კატეგორია პირველი რიგის არსია, რომელიც თავის თავში შეიცავს მეორე რიგის, უფრო ღრმა არსს — ძირითადი ეკონომიკური კანონის შინაარსს (გვ. 22), რომ, მაშასადამე, იგი ასახავს ძირითად ეკონომიკურ კანონს (გვ. 21) და არა — პირიქით. ჩვენ კი ვფიქრობთ, სწორედ რომ პირიქითაა, კატეგორიები უფრო აბსტრაქტული და ამიტომ უფრო სიღრმისეული ცნებებია. კანონები კი კატეგორიათა მიზეზ-შედეგობრივ, ე. ი. უფრო კონკრეტულ, კავშირებს ასახავს.

იმავე საფუძვლიდან გამომდინარეობს ავტორისეული მსჯელობა, თითქოს მონოპოლიის კონკრეტული ფორმების სიმრავლეში (სამრეწველო, საბანკო, ფინანსური, საერთაშორისო, ნედლეულის, კოლონიური და სხვ.) ყოველი შემდგომი უფრო განვითარებული ფორმა დაქვემდებარებული სახით შეიცავს წინამდებარესს (გვ. 24); თანაც, როგორც ჩანს (გვ. 25), ავტორს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ე. წ. „პირველი განსაზღვრული არსი“ (რაშიც იგი სამრეწველო და საბანკო მონოპოლიის კატეგორიებს გულისხმობს) უფრო უშუალო, მოვლენათა ზედაპირთან უფრო ახლო მიდგომ კატეგორიად მიაჩნია, ვიდრე ფინანსური კაპიტალის კატეგორია.

ასეთი მსჯელობის ფილოსოფიურ განზოგადებად უნდა ჩაითვალოს მტკიცება, თითქოს აბსტრაქტულ-ცალმხრივი ყოველთვის შინაარსეული კერძოა, კონკრეტული კი — შინაარსეული ზოგადი, რადგან იგი ცალმხრიობათა ერთიანობაა (გვ. 155).

ავტორისეული მეთოდოლოგიური პოზიცია მოცემულ საკითხში არაა შემთხვევითი ან გამონაკლისი. მას გარკვეული საფუძველიც აქვს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მართლაც არსებობს ნაკლებად განვითარებული და მეტად აბსტრაქტული კატეგორიები, რომლებიც ექვემდებარება უფრო განვითარებულსა და კონკრეტულ კატეგორიებს. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მარტივი მომენტები შერწყმისას წარმოშობენ თვისებრივად ახალ არსს ან თვისებრივად ახალ საფეხურზე აპყავთ მთელი ეს სისტემა. ასეთი მო-

მენტი ექვემდებარება მათი შერწყმის შედეგად წარმომდგარ ახალ ბირთვს, წარმოქმნის კერძო მომენტებს მის შინაარსში; მაგრამ ეს უკანასკნელი თავის მხრივ ბატონობს ყოველივეზე, რაც მისგან წარმოსდგა. სამრეწველო და საბანკო მონაპოლის კატეგორიები, შერწყმის შედეგად, ექვემდებარებიან ფინანსური კაპიტალის კატეგორიას; მაგრამ ამ უკანასკნელის მეშვეობით მათზე კვლავ კაპიტალის როგორც თვითმზარდი ღირებულების, კატეგორია ბატონობს. თვით იმპერიალიზმის, როგორც მონოპოლისტური კაპიტალიზმის (როგორც კაპიტალიზმის ზედნაშენის) თვისებრიობაში, მისი ზომის შიგნით კი არ არსებობს კატეგორია, რომელსაც ფინანსური კაპიტალი ექვემდებარებოდეს. ამოსავალი ურთიერთობის არსის ამსახველი კატეგორია, კაპიტალიზმისათვის — ღირებულება, სისტემის ბირთვს — თვითმზარდი ღირებულების კატეგორიას ექვემდებარება, ეს უკანასკნელი კი ბატონობს ყველაფერზე მოცემული სისტემის შიგნით.

რაც მთავარია, განხილული შედარებით მარტივი კატეგორიები უფრო სიღრმისეულია, ვიდრე მათგან წარმომდგარი განვითარებული კატეგორია. ამ უკანასკნელი ფაქტის უგულვებელყოფამ, უფრო ზუსტად, მისმა არასწორმა გაგებამ (ღირებულების წარმოსახვამ კაპიტალის არსზე უფრო ზედაპირულ კატეგორიად) თავდაყირა დააყენა ჩვენს ფილოსოფიურ და პოლიტიკონომიურ ლიტერატურაში შემდგომი კატეგორიების ურთიერთმიმართების გააზრებაც. ისე გამოვიდა, თითქოს საშუალო მოგების კატეგორია უფრო სიღრმისეულია, ვიდრე ზედმეტი ღირებულებისა და ა. შ. ამას აქვს თავისი მიზეზი, რისი გარკვევაც სცილდება რეცენზიის მიზანს<sup>2</sup>. ჩვენ ისედაც გავცდით რეცენზიის ფარგალს და კონცეფტუალურ დავაში გადავიდით, რადგან როგორც აღვნიშნეთ, სარეცენზიო წიგნში კი არ დაიბადა აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა, არამედ განმეორდა მხოლოდ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავტორისეულ პოზიციაზე ამჟამად მეტნაკლებად დგას საბჭოთა ფილოსოფოსთა და პოლიტიკონომთა დიდი უმრავლესობა, შედარებით თანმიმდევრულად კი მას იცავენ ზ. ორუჯევი, ვ. ვაზიულინი, ვ. შკრედოვი და სხვ. ასე რომ მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, თუ რომელი კონცეფციაა სწორი. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ავლნიშნავთ, რომ ამ ავტორთაგან ვერცერთი ვერ იცავს აღნიშნულ მეთოდოლოგიურ ხაზს თანმიმდევრულად. მაგალითად, სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ: „დიალექტიკური მეთოდი აუცილებლად გულისხმობს სინთეზურობას, მოითხოვს თეორიის ისეთ განვითარებას, რომლის დროსაც ყოველი მომდევნო საკითხი შინაგანად ექვემდებარება წინამაველს“ (გვ. 5). ხომ არ მიაჩნია ავტორს, რომ აქ დაქვემდებარების სხვა წესი არსებობს და ონტოლოგიამო სხვა?

საჭიროდ მიგვაჩნია შევხებით შემდეგ ავტორისეულ მსჯელობასაც.

„დაპირისპირებულთა ერთიანობის ორი მხარეა, — წერს ავტორი, — თვისებრივი თვალსაზრისით ორივე ახალია. ისინი ერთი და იმავე კონკრეტულის სრულფასოვან მომენტებს წარმოადგენს. ამიტომ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ აზრს, რომლის მიხედვითაც სასაქონლო წარმოება სოციალიზმის დროს წინა ეპოქებისაგან ნემკვიდრეობით მიღებული მოვლენაა, და რო-

<sup>2</sup> ნაწილობრივ ეს საკითხი გარკვეულია სტატიაში — М. Гвелеснани, К вопросу логики «Капитала» К. Маркса, «Экономические науки», 1976, № 9.

გორც ასეთი, წინააღმდეგობაში მოდის უშუალოდ საზოგადოებრივ, გეგმაზომიერ ურთიერთობასთან“... და ა. შ. (გვ. 129).

„სინამდვილეში, — აგრძელებს ავტორი, — გეგმაზომიერებასაც და საქონლურობასაც სოციალიზმის დროს ახალი, სოციალისტური შინაარსი აქვთ. მათ შორის წინააღმდეგობა არაა წარმოშობილი განსხვავებულ ფენომენტთა გაერთიანებით, იგი იმთავითვე არსებობდა ერთიანის გაორებაში, სადაც გეგმაზომიერება განვითარების აქტიური, წამყვანი მხარეა. საქონლურობა კი მისდამი დაქვემდებარებული მომენტი. გეგმაზომიერება და საქონლურობა სოციალიზმის დროს არსებითად განსხვავებულნი არიან იგივეობის შიგნით“ (გვ. 129 — 130).

ავტორი აქ მართებული და ამჟამად მიმდინარე დისკუსიებისათვის უაღრესად საჭირო მეთოდოლოგიური პოსტულატიდან გამოდის, მაგრამ ეს პოსტულატი იმ წინააღმდეგობას ეხება, სადაც განვითარება ორივე დაპირისპირებული მხარის თავისებურ განვითარებას მოასწავებს. სოციალიზმის განვითარება, გეგმაზომიერი ურთიერთობის სრულყოფა საქონლურობის შევიწროებასა და გამოდევნას იწვევს. საკითხის ასე დასმა მოითხოვს ეკონომიკურ კატეგორიათა წინააღმდეგობის გადაჭრის ევოლუციური და რევოლუციური გზების ანალიზზე გასვლას, რაც მონოგრაფიაში არაა გაკეთებული.

შენიშვნები გვაქვს ნაშრომის არქიტექტონიკის მიმართაც.

დიალექტიკის სამი უზოგადესი კანონიდან პირველობა დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს ეკუთვნის (იგია პირითადი, მთელი მოძრაობის ბირთვი), რაც სამართლიანადაა ხაზგასმული წიგნში, მაგრამ იგი ბოლოსაა განხილული. თუ ასე უფრო მოსახერხებელი იყო და მიზეზი ესაა, ავტორს უნდა ეთქვა. ვფიქრობთ, ასეთი სტრუქტურა უფრო ავტორის იმ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური შეხედულებიდან გამოვიდა, რომლის მიხედვითაც ბირთვი, ყველაზე ღრმა არსის ამსახველი მხარე უფრო კონკრეტულია, იქვემდებარებს მარტივ მხარეებს; მაშასადამე, დანარჩენი ორი კანონი უფრო მარტივი გამოვიდა და ანალიზიც მათგან დაიწყო.

წიგნში გაპარულია ცალკეული ბუნდოვანი გამოთქმები, რედაქციული და კორექტურული უზუსტობანი (იხ. მაგალითად, გვ. 23, 115, 117, 118, 143 და სხვ.)

წინამდებარე რეცენზიაში ჩვენ შევეცადეთ საკამათო საკითხები წამოგვეწია. ცალკე აღებულ მხოლოდ ამ საკითხთა ანალიზიც კი გვიჩვენებს მათი ავტორისეული ინტერპრეტაციის და არგუმენტაციის მნიშვნელოვან სამეცნიერო ღირებულებას. თუ ჩვენ მას ზოგ რამეში არ ვეთანხმებით, ეს წიგნის პრობლემატურობაზე მეტყველებს და სრულებით არ აკნინებს მის მიეცნიერულ ღირებულებას. ამიტომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ პროფ. გ. თოდუას მონოგრაფია უდაოდ დიდი შენაძენია რესპუბლიკის სამეცნიერო ლიტერატურისათვის და მას ექნება გარკვეული მნიშვნელობა საკავშირო მასშტაბითაც.

მ. გველესიანი  
 ე. მამკავიშვილი

632/180



წიგნი 70 კვ.

Индекс 76 196

Handwritten blue scribble

Handwritten red scribble